

ციხესიმაგრე

№ 111 / 15 - 21 ოქტომბერი / 2012

უნდა იყოს თუ არა განათლება უფასო? **გვ. 08**

ქართული დემოკრატია წინ მიღევთ **გვ. 10**

თეა ფულუკიანის პრიორიტეტები **გვ. 14**

კონკურენციის ახალი პოლიტიკა **გვ. 22**

საწვავის პიზნესიდან საპატიოროებე **გვ. 26**

პრძოლა „რუსთავი 2“-ისათვის **გვ. 32**

კულტურული პოლიტიკის მოლოდინები **გვ. 42**

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2 ლარი



მთავრობის მარზის გამოცემა
ბეჭოვა "მილიონების შასანაჩერებლად"
გვ. 18



ეცალე დაინახო გეფე

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი

ლიკა ზაკაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი

ნინო ბექიშვილი

რედაქციის ხელი:

ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ გარდაშვილი,
თათა ხალიანი, ანი ჭანკოტაძე,
თინა ყიფშიძე, გომრიგი გოგუა,
გომრიგი ჭეშვილი, სოფო აფანაშვილი,
ეკა მალალაძე, ლევან ახალია,
სალომე ცეცხლაძე

კონტრიბუტორი:

კახა თოლორდავა, ნინო ჯაფარიძე,
ჯობ ქერიგი, ბექა ქურჩული,
პაატა ქურდაძე

რედაქტორი:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხული

გრაფიკული დაზიანი

თორნიკე ლორთქებიანიძე

რედაქტორ-სტილისტი ნინო ბექიშვილი
კორექტორი თამარ ლონდაძე

გამომცემობა:

დირექტორი
ქეოვან ბაბუნაშვილი

გაყიდვებისა და გიზნესის

განვითარების მინისტრი

რესურს ბარათშვილი

გაყიდვების მინისტრი:

სოფო პაულინაშვილი

მარკეტინგის მინისტრი:

ელენე ხარაზაშვილი

დისტრიბუტორი:

მიხეილ მაჟურიშვილი

შურალის გამოწერის მსურველები

დაზიანების შემთხვევაში: 247 10 05.



დაიწყო საზოგადოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესები და ეს „ლიბერალის“ ამ ნომერშიც კარგად ჩანს.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური მხარეები მედიაზე გავლენას ვერ თმობენ, პირიქით, მაქსიმალურად ცდილობენ მედია-რესურსების კონცენტრაციას, გაჩნდა შანსი, რომ დაიწყოს ბრძოლა მედიის რეალური თავისუფლებისათვის. „რუსთავი 2“, როგორც რევოლუციური ხელისუფლების პლატფორმი და მისი ძალაუფლების სიმბოლო, თავისუფალი სასამართლოს პირობებში, შესაძლოა, მის დამფუძნებლებსა და მფლობელებს დაუუბრუნდეთ. როგორც დათო დვალი ამბობს: „მინდა, უსამართლობის განცდის მოსამარტინებლად ყველაფერი გავაკეთოთ. თანაც, ხინჯად მაქეს დარჩენილი იმ იდეების განხორციელება, რაც მაშინ გვქონდა – „რუსთავი 2“-ის საზოგადოების სამსახურში ჩაყნება, ჯანსაღი, თავისუფალი ტელევიზიის არსებობა – აი, ამის მიღწევა გვინდა. გვინდა შევემნათ ტელევიზია, რომელიც იქნება თავისუფალი, ყველასთვის ღია და არ იქნება პროპაგანდის მანება“.

მიუხედავად იმისა, რომ დვალი და აქმიძე არ ასახელებენ, კონკრეტულად რომელი მაღალჩინისნები ახორციელებდნენ მათზე ზენოლას, სტუდია „მონიტორის“ უურნალისტურ გამოძიებაში ეროსი კინმარიშვილი ჯერ კიდევ 2008 წელს ამხელს მათ: ზურაბ ადეკვილი, ირაკლი ოქრუაშვილი და ვანო მერაბიშვილი.

იწყება მოძრაობა საზოგადოებრივი მაუწყებლის სისტემური რეფორმისთვისაც. სამწუხაოდ, საზოგადოებრივი მაუწყებელი 8 წლის თავზეც პოლიტიკური გავლენის სფეროში რჩება და შესაბამისად, არც პულსი ესინვერბა.

გაჩნდა იმედი სამართლიანი სასამართლოსიც. თევა წულუკიანი, ლიკა ზაკაშვილის კითხვაზე, როდის გახდება პროკურატურის დეტატისაგან თავისუფალი სასამართლო რეალური და ხელშესახები, ასე პასუხობს: „ეს უკვე თვალსაჩინოა. შეგიძლიათ მიბრძანდეთ სასამართლოებში. ნახავთ, რომ მოსამართლებმა, როგორც 9 წლის განმავლობაში ნაცემმა ბავშვებმა, კარები ჩაკეტეს, ტელეფონები გამორთეს და პროკურორების ზარებს აღარ პასუხობენ, პროკურორები კიდევ ბოლო დღეებში აღარ რეკავენ. ეს ზესტად ვიცი. ეს ნიშნავს, რომ ისინი უკიდურეს გაჭირვებაში არიან... დემოკრატიულ ქვეყნაში საერთოდ არაფერია უფრო კეთილშობილური, ვიდრე მოსამართლეობა. ამიტომ მოსამართლებს ვერ შევეხებით“.

საზოგადოებრივი ჯგუფები აქტივურობენ ომბუდსმენის კანდიდატურების ნომინაციებზეც, რაც ძალიან ჯანსაღი პროცესია.

თუმცა, იმისათვის, რომ ძალიან მაღე ისევ არ დავკარგოთ ყველა ახლად გაჩნდილი შანსი, ყოველდღიური სიფხიზლე და შრომაა საჭირო. მოქალაქეებს არდადეგებს არავინ გამოგვიცხადებს.

შორენა შავერდაშვილი



მთავრობის მოწილის შეხვედრი - ბეჭოა "მილიციაბის შესანახუნებლად"

პირველი ოქტომბრის საპრლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ, „ერთანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მთავრობიდან ოპოზიციაში გადაინაცვლა. პარტიის ლიდერების განცხადებით, ისინი გამარჯვებულ „ქართულ ოცნებას“ ახალი მთავრობის ჩამოყალიბებაში სრულ თავისუფლებას მისცემენ, თუმცა ოპოზიციაში ბრძოლას მათ ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი რესურსით გააგრძელებენ.

ყოფილი მმართველი პარტიის წარმომადგენლები 2014 წლამდე რჩებიან დედაქალაქისა და რეგიონების საკრებულოებში, პარტიის ლიდერი, პრეზიდენტი მიხელ სააკშვილი კი დღევანდელი კონსტიტუციით, ფაქტობრივად, განუსაზღვრელი ძალაუფლებითაა აღჭურვილი.

მიუხედავად ამისა, „ქართული ოცნება“, ისევე როგორც პოლიტოლოგთა ნაწილი, მიიჩნევს, რომ ყოფილ მმართველ პარტიას საბრძოლველად ძალები აღარ დარჩა.

გიორგი გოგუა
გვ.18

თევ ნებაინის პირობის ხელისხმაბი

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი და ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატი თევ ნულუკიანი, დიდი ალბათობით, საქართველოს ახალი ოსტიციის მინისტრი იქნება. რა შეიცვლება სისხლის სამართლის კოდექსში? გაუქმდება, თუ არა საპროცესო შეთანხმება, რას ფიქრობს ნაფიც მსაჯელთა ინსტიტუტზე და როდის გაიხსნება სასამართლო დარბაზები მედიისთვის? ამ თემებზე „ლიბერალი“ თევ ნულუკიანს ესაუბრა.

ლიკა ზაკაშვილი
გვ.14

პარალელი - ისევ პოლიტიკის ბავრის ქვეშ

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების გარდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ე.წ. „მეოთხე ხელისუფლებას“, მედია სფეროსაც შეეხო.



„უურნალისტური ეთიკის ქარტიის“ საბჭოს თავმჯდომარის – ზეიად ქორიძის თქმით, დღეისათვის არსებული მდგომარეობით, ერთი მხრივ, საქართველოს პრეზიდენტი, მეორე მხრივ კი, „ქართული ოცნება“ პოსტ-საარჩევნო გარემოში საკუთარი ელექტორატისთვის იბრძვიან.

გიორგი ჭეიშვილი
გვ.36

ნაცურალი პოლიტიკის მოცოდნები

როგორი იყო კულტურის პოლიტიკა საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ და რამდენად ზაყოფიერი გამოდგა გაელილი ცხრა წელი ქართული კულტურისათვის? ხელოვნებათმცოდნები და კრიტიკოსები უკვე ყოფილი ხელისუფლების ძირითად აქცენტებს აფასებენ, ხოლო კულტურის ახალი მინისტრი გურამ იდიშარია ახალი კონცეფციისა და პრიორიტეტების შესახებ საუბრობს.

ლაშა ქავთარაძე
83.42

ფოტოჩრდილება

რუსთავის მაჟალურის კარსანა



თემო ბარძიმაშვილი
83.50-55

გამოცემა:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ქლენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
შურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ჩატვა:

სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორსაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ნომერი:



ფოტო მარიამ გაგავა
გიორგი საცალო

- 04 მოელედ
- 06 რიცხვები, ციტატები
ორი აზრი
- 08 უნდა იყოს თუ არა განათლება
უფასო?
- კომენტარი**
- 10 ქართული დემოკრატია წინ მიიწვევს
პოლიტიკა
- 18 მთავრობიდან ოპოზიციაში – ბრძოლა
„მიღწევების შესანარჩუნებლად“
ეკონომიკა
- 22 კონკურენციის ახალი პოლიტიკა
უურნალისტური გამოძიება
- 26 საწვავის ბიზნესიდან საპატიმრომდე
ინტერვიუ
- 32 ბრძოლა „რუსთავი 2“-ისათვის
მედია
- 36 ტელემედია – ისევ პოლიტიკური
გაფლენის ქვეშ
საზოგადოება
- 39 სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამები
გრძელდება
- 42 კულტურული პოლიტიკის მოლოდინში
- 46 სახელმწიფო შემწებიდან სახელმწიფოს
ვალდებულებებამდე
კომენტარი
- 56 ქართული გაკვეთილები
- 58 პოლიტიკა და დემოციურატია
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 60 რიტმი, ტემპი და ქალაქი

ფუსი ჩაითვის აქთ-აქთი ხევი ბართავისაფიცას



მოსკოვის სააპელაციო სასამართლომ რუსული პანკ-ჯგუფის, „პუსი რაიონის“ ერთ-ერთი წევრი, ეკატერინა სამუცევიჩი სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლა. მას ორი წლით თავისუფლების ადგევთა პირობითი საჯელით შეეცვალა.

სამუცევიჩის სასამართლომ ორი წლით დაუნიშნა გამოსაცდელი დრო. დანარჩენ ორ წევრს, ნადეჟდა ტოლოკონნიკოვას და მარია ალიოხინას განაჩენი სასამართლომ ძალაში დატოვა. ისინი სასჯელს საპატიმროში ორი წლით მოიხდიან.

სამუცევიჩის, ტოლოკონნიკოვას და ალიოხინას აგვისტოში ორ-ორი წლით პატიმრობა, რელიგიური სიძულვილით მოტივირებული ხულიგნობის ბრალდებით მიესავათ. „ფუსი რაიონის“ წევრებმა თებერვალში მოსკოვის საკათედრო ტაძარში პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის სანინალმდევო პერფორმანსი შეასრულეს – „ლვითისმშობელო განდევნე პუტინი“.

სასამართლოს განცხადებით, სამუცევიჩის გათავისუფლების მიზეზი ის გახდა, რომ ის მაცხოვრის ტაძრიდან დაცვამ პერფორმანსის დაწყებამდე გამოაძევა და პერფორმანსში მონაწილეობა ვერ მიიღო.

„ფუსი რაიონის“ წევრებზე კვირის დასაწყისში, რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმაც გააკეთა განცხადება. მისი თქმით, „ფუსი რაიონ-

თის“ წევრებმა მიიღეს ის, რასაც იმსახურებდნენ.

პუტინის განცხადების შემდეგ, პანკ-ჯგუფის წევრების ახლობლებმა და ადვოკატებმა სასამართლოს საქმეებში პოლიტიკის ჩარევაზე საუბარი ღიად დაიწყეს. სამუცევიჩის მამამ როიტერონ საუბარში განაცხადა, რომ „პუტინის კომენტარის შემდეგ, საერთოდ არ ვფიქრობ, რომ ადვოკატებს რამის გაკეთება შეუძლიათ“.

ანგელა მახაიის ვიზიტი საბაზენიაში

გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის ვიზიტი საბერძნეთში ათიათასობით ადამიანმა გააპროტესტა.

სამშაბათს პოლიციამ ცრემლსადენი გაზის გამოყენებით დაშალა მომიტინებები, რომლებიც ცდილობდნენ იმ ადგილის ბლოკირებას, სადაც მერკელი საბერძნეთის პრემიერს, ანტონიო სამარასს ხვდებოდა. ნიღბიანმა ახალგაზრდებმა პოლიციას ბოთლები ესროლეს და წინააღმდეგობა გაუწიეს.

იმ დროს, როდესაც მერკელი სამარასს პროგრესული რეფორმების გატარებისთვის მადლობას უზიდა, მომიტინებები აპროტესტებდნენ ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმებს, ხარჯების შემცირებასა და ვალების აღებას. ერთ-ერთი მომიტინგის ფლაერზე ეწერა: „თქვენ არავინ გპატიუებთ, იმპერიალისტები შორს!“ „არა მე-4 რაიხს!“.

მერკელმა განაცხადა, რომ „საბერძ-



ნეთმა ძალიან ბევრს მიაღწია, უამრავი რამ არის კიდევ გასაკეთებელი. გერმანია და საბერძნეთი მჭიდროდ ითანამშრომლებენ მომავალში“.

შეგახსენებთ, 2009 ბოლოს დაწყებული ეკონომიკური კრიზისითვის ათენს თავი დღესაც არ დაუღწევია. ამ საკითხთან დაკავშირებით, საბერძნეთში განსხვავებული მოსაზრებებია, ერთი ჯგუფი მხარს უჭერს ევროკავშირის ჩარევას, კრედიტების აღებას, ხარჯების შემცირებას, ხოლო მეორე, სირიზას მემარცხენე პარტია ამის წინააღმდევ გამოდის და ევროკავშირიდან გასვლას ითხოვს.


ბაჟეიინისა და ეიი ბიტანეთის შეთანხმება

დიდი ბრიტანეთი ბაჟრეინს საგარეო აგრესისგან დაცვას დაპირდა.

ხელშეკრულებას ხელი ლონდონში, 11 ოქტომბერს მოეწერა. შეთანხმების თანახმად, ორივე მხარე ითანამშრომლებს სხვადასხვა სამხედრო სფეროებში, იქნება ეს ტრენინგები, პერსონალის გაცვლა და სხვა ტექნიკურ-მეცნიერული კოოპერაცია. ბაჟრეინის საგარეო საქმეთა მინისტრმა, შეიხ ხალიდ ბინ აჰმად ალ-ხალიფაშ და ბრიტანეთის თავდაცვის ხელმძღვანელმა ფილიპ ჰემონდმა, ცერემონიულ გარემოში მოაწერეს ხელი, რომელსაც ბაჟრეინის სამეფო პრინცი, სალმან ბინ ჰამად ალ-ხალიფა ესწრებოდა.

ბაჟრეინის მმართველები ირანს ხშირად ადანაშაულებენ ქვეყანაში არეულობის პროვოცირებისთვის, ამ ხელშეკრულების დადების მოტივაცია სწორედ თეირანისგან მომდინარე საფრთხე გახდა.

„არაბული გაზაფხულის“ ტალღა ბაჟრეინსაც მოედო. იქ სიტუაციის განმუხტვა საუდის არაბეთისა და კატარის სამხედრო ძალების დახმარებით მოხდა, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მანამაში სამეფო ოჯახი სუნიტური მიმართულების ისლამს მისდევს, ხოლო მოსახლეობის უმეტესობა შიიტია.



სწორედ ეს უკანასკნელი ითხოვდნენ დემოკრატიულ რეფორმების გატარებას და სამხედრო ტახტის დემონტაჟს. საპროტესტო გამოსვლები დღესაც გრძელდება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის რეგიონში ძალთა ბალანსს.

ჰაზბოლას იდეის ცაილობოთის ჩამობლებას ბამოცხვანება



ჰაზბოლას ლიდერის პასან ნასრალას განცხადებით, ისრაელის ტერიტორიაზე ჩამოგდებული უპილოტო თვითმფრინავი ირანული ნარმობებისა და ებრაულ საპარო სივრცეში

ლიბანიდან შეაღწია.

როიტერზე დაყრდნობით, ისრაელის არმიამ შაბათს უპილოტო თვითმფრინავი თავის საპარო სივრცეში ჩამოაგდო.

„უპილოტო თვითმფრინავი გაიგზავნა ლიბანის ტერიტორიიდან, ასობით კილომეტრი გადაკვეთა, სანამ მტრის საზღვარს გადაკვეთავდა და მიაღწია რკუპირებულ პალესტინის ტერიტორიამდე“ – ხუთშაბათს, სატელევიზიო მიმართვაში განცხადა შეის ნასრალამ. მისივე განცხადებით, უპილოტო თვითმფრინავმა სენიტიური ადგილების დაზერვა შეძლო.

„ეს არ არის პირველი და არ იქნება ბოლო. ჩვენ მივაღწევთ ისრაელის ყველა ზონას“, – დასძინა მან.

ნასრალამ უარყო სირიის როლი

უპილოტო თვითმფრინავთან დაკავშირებით.

იოსებების ეახბში ნობერის პერი მო იან ბალენას

ჩინელმა ავტორმა, მო იანმა მიიღო 2012 წლის ნობელის პრიზი ლიტერატურისთვის. მო იანი ავტორის

ფსევდონიმია და ნიშნავს – „არ ისაუბრო“. მო იანს უამრავი მოკლე მოთხოვნა აქვს გამოქვეყნებული, მისი პირველი ნამუშევარი კი 1981 წელს გამოქვეყნდა.

შვედურმა აკადემიამ აღიარა მო იანის ნაშრობი „ჰალუცინაციური რეალიზმი“ რომელიც ხალხური ზღაპრების, ისტორიას და თანამედროვეობას აერთიანებს. პრიზი შეფასებულია 1.2 მილიონი დოლარით.

57 წლის მწერალი ჩინეთის პირველი მოქალაქეება, რომელმაც ლიტერატურის დარგში ნობელის პრიზი მიიღო. მოს განცხადებით, ის სახლში მამასთან ერთად იჯდა, როცა დაჯილდოვების შესახებ გაიგო. □



რიცხვები, ციტატები

13 ოქტომბერს ჰოსპისისა და პალიატიური მზრუნველობის საქართველოს დღე აღინიშნება. 2012 წელს ამ დღის დევიზია „ცხოვრება სიცოცხლის ბოლომდე: პალიატიური მზრუნველობა ხანდაზმულთათვის“.

90% ადგილობრივად წარმოებული ჩაი ექსპორტზე გადის. დღეისათვის კი საქართველოში ქართულ ჩაის შიდა პაზრის 10% უჭირავს.

8,535 მილიარდი ლარით 2013 წლის ბიუჯეტის წინამართ საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 7 234.0 მლნ. ლარია, 2012 წელს შემოსავლების ნაწილის მოცულობა 7 053 628 4 მლნ ლარი იყო.

5 თეთრით მოიმატა ქარხნული პურის ფასმა, ხოლო თონის პურრმა – 10 თეთრით. ხორბლისა და პურ-პროდუქტების მნარმანებელთა ასოციაციაში ამბობენ, რომ მთავარი მიზეზი მსოფლიო ბაზარზე ხორბლის მარაგის სერიოზული კრიზისია.

10 ოქტომბერს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ სკანდალური პანკ-ჯგუფის წევრების საკასაცო სარჩელი განიხილა. ჯგუფის ორი წევრის - მარია ალიო-ხინას და ნადეჟდა ტოლოკონიკოვას მიმართ პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენი უცვლელად დატოვეს, ხოლო ეკატერინა სამუცევის პირობითი ვადით შეუცვალეს და სასამართლო დარბაზიდანვე გაათავისუფლეს.

„ჩვენ, როგორც პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება და მე, როგორც პრეზიდენტი და კონსტიტუციის გარანტი, უზრუნველვყოფ, რომ გადასვლა მოხდეს ექსცესების გარეშე და ქართველი ხალხის და დემოკრატიული პროცესების დემოკრატიულ ჩარჩოებში შენარჩუნების ინტერესთა გათვალისწინებით“.

მიხეილ სააკაშვილი



„ის, რომ ჩვენ მოვახერხეთ და მთელი წლის განმავლობაში ღირსეულად ვპასუხობდით ოპონენტების უღირს ქცევას, გახლავთ დღევანდელი შეხვედრის მიზეზიც. ჩვენ ოპონენტებს მოვექცევით არა ისე, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც ამას იმსახურებს ჩვენი ქვეყანა, საქართველოს მოსახლეობა და ჩვენი კულტურა“.



ბიძინა ივანიშვილი

„დღემდე სასჯელალსრულება ორიენტირებულია არა ადამიანის რესოციალიზაციაზე და პატიმართა საზოგადოებაში ღირსეულად დაბრუნებაზე, არამედ პიროვნების განადგურებაზე. ჩვენ ამას შევცვლით“.



სოზარ სუბარი

„მინდა გამოვხატო პატივისცემა ყველას მიმართ, ვინც ჩვენ წინააღმდეგ მისცა ხმა. პატივს ვცემ თქვენს დემოკრატიულ არჩევანს, კენჭისყრაში მონაწილეობას და სამოქალაქო შეგნების მაღალ დონეს, რომელიც დღეს გამოავლინეთ, მიუხედავად ბოლივარისეული რევოლუციის პროგრამასთან უთანხმოებისა“.

უგო ჩავესი



KIA Sportage



iPhone 4



iPad 3G



MacBook Pro

MOBILE BANKING INTERNET BANKING

ისარგებლეთ და მოიგეთ მარტივად



თიბისი პანკი
T B C B A N K

227 27 27 | * 27 27

www.tbconline.ge www.tbcmobile.ge

დიახ

ლევან აბაშიძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაულტეტის
სტუდენტი. „ლაპორატორია 1918“-ის წევრი.

თანამედროვე საზოგადოებაში განათლება გრძელვადიანი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ამიტომ ის ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომ საზოგადოებრივ პროდუქტად უნდა იქცეს – საბავშვო ბალიდან და სკოლიდან დაწყებული პროფესიული და უმაღლესი განათლებით დამთავრებული.

დღეს საქართველოში მშობლების ფინანსური და სოციალური მდგომარეობა კვლავ განსაზღვრავს განათლების სახესა და ხარისხს. ასეთი ვითარება მნიშვნელოვნად ზღუდავს სოციალური მობილობის შესაძლებლობას, განათლების სისტემას სოციალური უთანასწორობის კვლავწარმოების მექანიზმად აქცევს და შესაბამისად, საზოგადოების განვითარებას აფერებს.

ყველა ცივილიზაციული, განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფო (როგორც ეს კონტინენტურ ევროპასა და სკანდინავიაში ხდება) განხყობილი უნდა იყოს საიმისოდ, რომ განათლება ალარასოდეს ალარ უნდა იყოს დამოკიდებული ოჯახის ფინანსურ მდგომარეობაზე. განათლება არ არის სამომხმარებლო საქონელი, განათლება არის ადამიანის ფუნდამენტური სოციალური უფლება, რომლის უზრუნველყოფის გარანტი სახელმწიფო უნდა იყოს, რადგან ჩვენ განათლება გვჭირდება არა მხოლოდ მოგებისა და ბიზნესის კეთებისათვის, არამედ სოციალური ინტეგრაციისა და ქვეყნის განვითარებისათვის.

მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც ჩვენ ცხოვრება გვინევს პოსტ-ინდუსტრიულ ეპოქაში, სადაც განათლება და ინოვაცია წარმოების, ინფორმაციისა და განვითარების მთავარი მოტორია. გლობალიზაციისა და ე.ნ. ცოდნის ეკონომიკის პირობებში მუდმივად იზრდება უთანაბრობა მსოფლიოს სახელმწიფოებს შორის. მარკეტიზაციისა და ნეოლიბერალიზმის პირობებში საქართველოს ძევლი ხელისუფლება საქმარის თანხას არ დებდა განათლებაში და მიიჩნევდა, რომ ინდივიდმა თვითონ უნდა მოაგვაროს ეს პრობლემა. შესაბამისად განათლებისა და გლობალიზაციის პროცესის სიკეთებით ვერ სარგებლობენ ის ადამიანები, ვისაც ფული არა აქვს.

დღეს საქართველოში ფასიანი განათლების დამკვიდრებამ დიდი სირთულეები შექმნა, განსხვავებით იმ მდიდარი სახელმწიფოებისგან, სადაც მოსახლეობას სწავლაში ფულის გადახდის საშუალება აქვს. ამგვარად, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, აქვს ორი არჩევანი: ან ვზრდით განათლებისა და მეცნიერების ხარჯებს და ვცდილობთ კონკურენცია გავუნიოთ სხვა ქვეყნებს, ან ვყალიბდებით მესამე სამყაროს ჩამორჩენილ ქვეყნად.

სწორედ ეს არის ის მთავარი მიზეზები, რის გამოც აუცილებელია სახელმწიფომ თანაბარი შესაძლებლობების განათლების სისტემის შექმნა უზრუნველყოს, რომელიც მნიშვნელოვანილად უფასო იქნება. ■



ცნების თანაფას

■ განათლება ალარასოდეს ალარ უნდა იყოს დამოკიდებული ოჯახის ფინანსურ მდგომარეობაზე. განათლება არ არის სამომხმარებლო საქონელი, განათლება არის ადამიანის ფუნდამენტური სოციალური უფლება, რომლის უზრუნველყოფის გარანტი სახელმწიფო უნდა იყოს, რადგან ჩვენ განათლება გვჭირდება არა მხოლოდ მოგებისა და ბიზნესის კეთებისათვის, არამედ სოციალური ინტეგრაციისა და ქვეყნის განვითარებისათვის.



რა ანათლება არ?

■ სახელმწიფო დაფინანსებაზე

ორიენტირებული განათლების სისტემა
არის არასტაბილური მოდელი, რომელიც

სახელმწიფოში ეკონომიკურ კრიზისსა
თუ რყევებზეა დამოკიდებული, ეს არის
ის კომფორტი, რომელიც ეკომონიკურად
ძალიან ძლიერმა ქვეყანამ უნდა
გააკეთოს.

პრ

გიორგი მელაძე

საზოგადოებრივი მაუწყებლის მმართველი საბჭოს წევრი

ჩემი აზრით, განათლება კერძო ფულით უნდა ფინანსდებოდეს. სახელმწიფოს ფულით დაფინანსებული სწავლა მეტად რისკიანია და სტაბილურობის გარანტიას არ იძლევა.

მე მისწავლია საზღვარგარეთ, სადაც სწავლის ფულს კერძო კომპანია იხდის, ყოველთვის არსებობს სქემები, სისტემები, რომელიც ნიჭიერი ადამიანების განათლების სფეროში შესვლას ხელს უწყობს. ეს განათლების სისტემის თვითგადარჩენის მექანიზმია და შეუძლებელია ის გაძლიერდეს, თუ თვითონ სტუდენტი ნიჭიერი არაა.

ამიტომ განათლების სისტემას მხოლოდ და მხოლოდ ფულის მოზიდვის კერძო ინტერესი არ ამოძრავებს. მას თვითგანვითარების მექანიზმი შეიგნით აქვს ჩადებული. ანუ, ამ დროს მინიმალურია შანსი, რომ ნიჭიერი ადამიანი ვერ მოხვდეს განათლების სისტემაში.

მაგალითად, ჰარვარდის უნივერსიტეტის გარკვეულ ფაკულტეტებზე თითქმის 50% თვითონ უნივერსიტეტის მიერ ფინანსდება. უნივერსიტეტს თვითონ აინტერესებს სტუდენტების ინტელექტუალური რესურსი, რადგან ეს მერე მისივე გაძლიერების და წინსვლის გარანტია. ინსტიტუტები თვითონვე ქმნიან პირობებს ნიჭიერი ადამიანებისთვის, ეს მათივე ინტერესია.

იმისთვის, რომ განათლების სისტემა ძლიერი და მდგრადი იყოს, საჭიროა ამ მოდელის კერძო დაფინანსებაზე მორგება. კერძო პირებს ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა დააფინანსონ განათლება. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ყველას აქვს განათლების სისტემაში მოხვდირის შანსი. ასევე, აღსანიშნავია, რომ სწავლა მხოლოდ საქართველოში მიღებულ განათლებას არ ნიშნავს. დღეს ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს წავიდეთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ნებისმიერ ადგილზე ვისწავლოთ.

უმაღლესი განათლება ეს არის, უნივერსალური ღირებულება. ამიტომ, ჩვენ კარგად უნდა განვსაზღვროთ, რაზე ვსაუბრობთ. ჩემი აზრით, საუკეთესო განათლების მიღება სწორედ კერძო მხარდაჭერის პირობებშია შესაძლებელი. სახელმწიფო დაფინანსებაზე ორიენტირებული განათლების სისტემა არის არასტაბილური მოდელი, რომელიც სახელმწიფოში ეკონომიკურ კრიზისა თუ რყევებზეა დამოკიდებული, ეს არის ის კომფორტი, რომელიც ეკომონიკურად ძალიან ძლიერმა ქვეყანამ უნდა გააქეთოს. მაგალითად, გერმანია თავის თავს იმის უფლებას აძლევს, რომ ჰერნდეს ეს მოდელი და ამით, სხვათა შორის, საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილიც სარგებლობს. მაგრამ კიდევ ვიმეორებ, გერმანია ეკონომიკურად ძალიან ძლიერი ქვეყანაა და აქვს იმის შესაძლებლობა, ამ განათლების ინსტიტუტებისთვის გარკვეული მდგრადობა უზრუნველყოს. დღეს გერმანიაშიც სემესტრული გადასახადებიც დაწესდა, რომელიც მანამდე არ იყო, რადგან, ხედებიან, კერძო ფული, ეს არის სტაბილური და მუდმივად არსებობს. ■

კახთაცი ევროპისას ნინ მიზნებს

ჯობ ჰენიგი
პრეზიდენტის
ინსტიტუტისა
და კონგრესის
შემსწავლელი ცენტრის
მოწვევული წევრი



ნინო ჯაფარიძე
ჯორჯ მეისონის
უნივერსიტეტის
საერთაშორისო
საქმეთა განყოფილების
ლექტორი



საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალურ მოძრაობაზე პიძინა ივანიშვილის ალიანსის, „ქართული ოცნების“ ტრიუმფალური გამარჯვებით და, რაც მთავარია, პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ დამარცხების საჯაროდ აღიარებით საქართველოში დემოკრატიამ ერთი დიდი ნახტომით წინ წაინია. ამასთან, მომხდარი თითქმის ყველასათვის ძალიან სასარგებლოა.

ეს, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ხალხისათვისაა სასიკეთო. მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლის ვარდების რევოლუცია არაკონსტიტუციური იყო, მან ფართო მხარდაჭერა მოიპოვა. მას შემდეგ სააკაშვილის მიერ გატარებული „მოდერნიზაციის“ პოლიტიკის წყალობით აღმოიფხვრა კორუფცია, შეწყდა ელექტრონერგიის ქრონიკული უკმარისობა და შეიქმნა ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელი პირობები. იმ ქვეყნის მთავრობა, რომელიც პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მეორე ვადის ბოლოსათვის კრახის წინაშე იდგა, ამ მიღწევებისათვის შექებას ნამდვილად იმსახურებს.

თუმცა, ამ პოლიტიკის განხორციელების მეთოდები უკვე კარგა ხანია ავტორიტარიზმისაკენ გადაიხარა. პატიმრებზე აღმაშფოთებელი ძალადობის აშსახველი რამდენიმე ვიდეოჩანანერი საარჩევნო კამპანიის ბოლოსათვის გამომზეურდა, მაგრამ

დიდი გაოცება აღბათ არ გამოუწევია. შეიძლება ასეთი მეთოდები უშუალოდ ხელისუფლების მითითებით არც გამოიყენებოდა, მაგრამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მართვის სტილი ძირითადად დაშინების პოლიტიკას ემყარებოდა და ამდენად, ძალის ბოროტად გამოყენებაც, სამწუხაროდ, გარდაუცალი იყო. საზოგადოებრივი აზრის გამოყითვებმა არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე ნაციონალური მოძრაობის პოპულარობის მკეთრი ვარდნა უჩვენა, ეს კი აღბათ იმის მანიშნებელია, რომ ხსენებულმა ვიდეოჩანანერებმა არჩევნების შედეგებზე დიდი გავლენა იქონია, რაც გასაკვირი სულაც არ არის.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში საზოგადოება და ეკონომიკა წნევის ქვეშ აღმოჩნდა. სააკაშვილი ლიბერტარიანულ იდეაბს დამაჯერებლად ქადაგებს, სინამდვილეში კი სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში საგრძნობია, ხოლო საქართველო კვლავაც მსოფლიოში ერთ-ერთ ულარიბეს ქვეყნად რჩება. პრესა მკაცრ კონტროლებებაა. დაშინების ეს პოლიტიკა არჩევნებმა შეაჩერა არა იმიტომ, რომ ივანიშვილი ანგელოზი ან კარგი ბიზნესმენია, არამედ იმიტომ, რომ ხმა ხალხმა აიმაღლა.

ივანიშვილის პირადი ქონების საკითხი არჩევნებში უმნიშვნელო ნამდვი-



ლად არ ყოფილა, მაგრამ ეს სულაც არ ამცირებს ხალხის მიერ ყველა მონაცემის მიხედვით თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში გამოხატული ნების მნიშვნელობას. ქვეყანაში რამე პოლიტიკური ცვლილება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ პოლიტიკური კამპანია დამოუკიდებლად და ქვეყნის გარედან შემოსუ-

ლი ფულით დაფინანსდებოდა, რადგან ქვეყნის შიგნით პოლიტიკოსების დაფინანსება შანტაჟის, საგადასახადო ინსპექციისა და გაყინული საბანკო ანგარიშების მეშვეობით საქართველოში მეთოდურად ისჯება.

სააკაშვილი გამჭრიახი პოლიტიკოსია და ამ დროისთვის მაინც უნდა გაეგო, რომ ივანიშვილთან განცდილი

მარცხი შეიძლება ყველაზე დადებითი რამ იყოს, რაც კარგა ხნის განმავლობაში თავს გადახდენია. პოლიტიკაში წინსვლა სააკაშვილმა შევარდნაძის მფარველობიდან მოულოდნელი გამოსვლის შემდეგ დაიწყო და ოპოზიციაში თავს შესანიშნავად გრძნობს. სწორედ ოპოზიციაში ყოფნისას შეუძლია ბოლო ხანებში გაჩენილი ბევრი



„ქართული ოცნების“ მხარდამჭერები საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას აღნიშნავენ, 1 ოქტომბერი 2012

მცრის შემორიგება და საფრთხეში ჩავარდნილი თავისი მემკვიდრეობის დაცვა.

ამასობაში კი ორი ლიდერი იძულებული იქნება თანამშრომლობის გზები გამონახოს. ხელისუფლების გაყოფა ხომ ჯანსაღი მოვლენაა, თანაც სწორედ ის, რაც საქართველოს ასე სჭირდება. ბედის ირონიაა, რომ სააკშვილის მიერ განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებსაც მისთვის მომავალ წელს მეორე და უკანასკნელი საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ აღმასრულებელ ხელისუფლებაში პრემიერ-მინისტრის გაძლიერებული თანამდებობისაკენ უნდა გაეხსნა გზა, ახლა იგანიშვილის პოლიტიკური გავლენის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. შესაძლებელია სიტუაცია ჩიხში მოექცეს, თუმცა მოლაპარაკებების შედეგად მხარეთა შორის შეთანხმება უფრო მოსალოდნელია, რადგან თანამშრომლობა ორივეს სჭირდება. სხვა შემთხვევაში, ვერცერთი ვერაფერს მიაღწევს.

დემოკრატიულად პოლიტიკური ნების გამოხატვა შეერთებული შტატებისთვისაც გამარჯვებაა. საქართველოში ძალაუფლების მშვიდობიანად გადაცემა რეგიონში სტაბილურობის განმტკიცებას უწყობს ხელს და ღირებულ პრეცედენტსაც ქმნის. მეზობელ ავტოკრატიულ ქვეყნებს საქართველოსაგან ბევრი რამ აქვთ სასწავლი. დემოკრატია აქ მართლაც წინ მიინებს და არა გარეშე ჩარევის ან რევოლუციის, არამედ პოლიტიკური კულტურის განუხერელი განვითარების წყალბით, რაც ინსტიტუტების მშვიდი, მაგრამ მიზანმიმართული მშენებლობისა და ადამიანის უფლებების დაცვასა და არჩევნებზე მეთვალყურეობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

სააკშვილის მიერ განხორციელებული ვარდების რევოლუციის შემდეგ მთელი მსოფლიოს თვალში დაგროვილი კაპიტალი საქართველომ 2008 წელს რუსეთთან წარმოებული კატასტროფული ომის შედეგად და პრეზიდენტ ჯორჯ ბუმთან სააკშვილის

ახლო ურთიერთობის გამო გაფლანგა, მაგრამ თუ არსებულ შესაძლებლობებს სათანადოდ გამოიყენებს, მსოფლიო პოლიტიკაში მოსალოდნელზე უფრო მნიშვნელოვანი პოზიციების მოპოვებას საქართველო კვლავაც შეძლებს. სტაბილური დამოუკიდებელი დემოკრატიული ქვეყანა შეერთებულ შტატებსაც სტირდება როგორც მაგალითი არაბული ქვეყნებისათვის. ამერიკას არ სურს არაბებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ თავისი პოლიტიკით ვაშინგტონი მასზე დამოკიდებული სახელმწიფოების შექმნას ცდილობს.

■ ივანიშვილის პირადი

ქონების საკითხი არჩევნებში უმნიშვნელო ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ ეს სულაც არ ამცირებს ხალხის მიერ ყველა მონაცემის მიხედვით თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში გამოხატული ნების მნიშვნელობას.

დაბოლოს, არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებით რუსმა ხალხმაც გაიმარჯვა, ოლონდ არა პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. იმპულსურ სააკშვილს, როგორც საქართველოს ერთადერთ სახეს, პუტინი ვეღარ ამოეფარება და უტიფარ ყოფილ კოლონიად და რუსეთის საქმებში ჩარევის მიზნით შეერთებული შტატებისათვის აუცილებელ ფორპოსტად საქართველოს ნარმოჩენაც გაუჭირდება. მოსალოდნელია, რომ საქართველოსთან ურთიერთობების დალაგების ინტერესი თვით რუსეთშიც გაიზრდება.

ივანიშვილს რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაცია უნდა. ეს მარ-

თლაც ძალიან სასურველია, რადგან ამ ორმა ქვეყანამ თანაცხოვრების გზები როგორდაც უნდა გამონახოს. სააკშვილი ივანიშვილს დაცინვით „რუსეთის დამქაშად“ მოიხსენიებდა, თუმცა ამ უკანასკნელს რუსეთის მიმართ მაამებლობის არაფერი ეტყობა და საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის აუცილებლობასაც გამუდმებით უსვამს ხაზს.

ცხადია, მოვლენების არასასურველი მიმართულებით განვითარება გამორიცხული ჯერაც არ არის. საერთაშორისო თანამეგობრობამ ყურადღება არ უნდა მოადუნოს და ივანიშვილის იმ უარყოფითი ინსტინქტების შეზღუდვა უნდა სცადოს, რომელთა გავლენითაც ის სააკშვილის დროზე ადრე გადადგომას მოითხოვს ან „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მომხდარი ანგარიშსწორების გამორიებით იმუქრება.


საერთაშორისო თანამეგობრობა ყურადღებით უნდა მოეკიდოს გარედან ინტერვენციის პრობლემას, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რომ მან საქართველოსგან თავისუფალი და სამართლიანი პოლიტიკური გარემოს შენარჩუნება მოითხოვოს. მაგალითად, არჩევნების წინ მთავრობა სამოქალაქო საზოგადოების ზენოლას დაჟყვა და საინფორმაციო საშუალებებისთვის დაწესებული შეზღუდვები გააუქმა, მაგრამ ამ გადაწყვეტილების მოქმედების ვადა უკე ამოწურულია და აუცილებელია მისი გაგრძელება იმისათვის, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ინფორმაციის სხვადასხვა წყაროზე ხელი კვლავაც მიუწვდებოდეს.

მთლიანობაში კი ჩატარებული არჩევნების შედეგად საქართველოს პოლიტიკაში დაიწყო ახალი ხანა, რომელსაც ყველა ასე მოუთმენლად ელოდა. მისი შედეგი ყველასათვის სასარგებლო იქნება.

გამოქვეყნებულია „ნიუ-იორკ თაიმსში“, 2012 წლის 4 ოქტომბერს. ინგლისურიდან თარგმნა ნორკანკიაბ.

ოპერატორულად მანახლებადი ახალი ამბები,
სიუზეტები, მაღაცემები და ანონსები.

tv9.ge/facebook



ესაღი დაინაო მეტი

აქვე შეგიძლია უყურო პირდაპირ ეთერს, დაათვალიერო ფოტო და ვიდეო არქივი და
გაეცნო ჩვენს ორგანიზაციაში არსებულ ვაკანსიებს.



თუა წელასინის პეიონისტაზე

ინტერვიუ „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერსა და იუსტიციის მინისტრობის კანდიდატ
თეა წულუკიანთან

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი და ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატი თეა წულუკიანი, დიდი ალბათობით, საქართველოს ახალი იუსტიციის მინისტრი იქნება. რა შეიცვლება სისხლის სამართლის კოდექსში? გაუქმდება თუ არა საპროცესო შეთანხმება, რას ფიქრობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე და როდის გაიხსნება სასამართლო დარბაზები მედიისთვის? ამ თემებზე „ლიბერალი“ თეა წულუკიანს ესაუბრა.

იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის ძის ძირითადი სფეროებიდან ერთ-ერთია მოქალაქეთა მომსახურება. სტრატეგიული მიზნის მისაღწევად შემუშავდა იუსტიციის სახლის კონცეფცია, რომელიც მომხმარებლის სერვისთან და ინფორმაციასთან წარმოიშვა გამარტივების თვალსაზრისით, რამდენიმე უწყების საქმიანობას ერთი შენობის ფარგლებში, ერთ სივრცეში აერთიანებს. როგორ აფასებთ საქმიანობის ამ ნაწილში განხორციელებულ პროექტებს?

იუსტიციის სამინისტროში მომსახუ-
რების სფეროს, როგორც სტურუქტუ-
რის შეგნით, ასევე, პიარის თვალსა-
ზრისითაც ძალიან დიდი ყურადღება
ექცეოდა. მოქალაქეებზე ზრუნვა
ჩემთვის პრიორიტეტია და ამიტო-
მაც მე მიყიდე გადაწყვეტილება, რომ
პირადად მივსულიყავი და შეკვე-
დროდი ქალაქონ თინა ბურჯალიანს,
რისი საჭიროებაც არ იყო, შემეძლო
გამეგზავნა ჩემი ნდობით აღჭურვილი
პირი.

იუსტიციის სახლებზე ბევრი კითხვა
დაისვა, შეინარჩუნებთ თუ არა, მო-
გწონთ თუ არა, გაგრძელდება თუ არა
და ა.შ. თინა ბურჯალიანმა გადმომცა
2013 წლის ოცამდე ასაშენებელი იუს-
ტიციის სახლების ნუსხა, მათ შორის
იუსტიციის სახლი ლაზიკაში. ვერ
დაგდირდებით, რომ ეს უკანასკნელი
აშენდება, მაგრამ დანარჩენებს გადა-
ვხედავთ. უნდა გაირკვეს, არის, თუ
არა ყველას აშენება საჭირო. თავად
იდეა, რა თქმა უნდა, კარგია, ეს არც
ჩემი გამოგონებაა და არც ადეიტივილის
და არც იმ გენოსის, რომელსაც ჯერ-
ჯერობით კვლავაც პრეზიდენტი ჰქვია.
ეს არის აპრობირებული მეთოდი ციფრ-
ლიზაციულ ქაღალდში.

თუმცა, დარწმუნებული ვარ, ეს,
ერთი შეხედვით, გამართული სისტე-
მაც გასაუმჯობესებელი და გადასახე-
დი იქნება. მაგალითად, მე ყოველდღე
მისვამენ შეკითხვას, არის, თუ არა
ჩიპიანი აიდი ბარათების პოლიტიკა
გადასახედი. ხელისუფლება საერთოდ
იმის ხელისუფლებაა, რომ ამ მოცე-
მულობას გაუწიოს ანგარიში და ისე
მოაგვაროს ყველა საკითხი, რომ არც

ერთი რელიგიური ჯგუფის უფლებაა არ
შეიღავოს. თუ კითხვის ნიშნები აქვთ
მორჩმუნებს ადიდი ჩიპთან დაკავშირე-
ბით, უნდა გაიმართოს ფართო საზო-
გადღებრივი მსჯელობა. ჯერ გავიგოთ
რა საფუძველი აქვს შიშს. მე ვარ
მორჩმუნებ, მაგრამ არ მეშინა ჩიპიანი
აიდი ბარათის. არიან მორჩმუნები,
რომელსაც გარკვეული სკეპტიციზმი
აქვთ, რატომ? და თუ მაინცდამაინც
ისინი დარჩებინ თავისი სკეპტიციზმში,
მაშინ უნდა განვიხილოთ, თუ როგორ
მივცემ მათ არჩევნის სამუალყბა.

არასრულწლოვანთა მართლმასჯელება სისხლის სამართლის რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ამ სფეროში რეფორმებს წინა მთავრობა, მათ შორის იუსტიციის სამინისტროც, UNICEF-თან მჯიდრო თანამშრომლობით ახორციელებდა. შეიცვლება თუ არა ამ მიმართულებით რაოდე იუსტიციის სამინისტროში თქვენი მისალის შემთხვევა?

მითი, რომ არასულწლოვანთა
სისხლის სამართლებრივ პასუხისმ-
გბლობაში რაღაც გარდაიქმნა, ან
გაუმჯობესდა, საზოგადოებისთვის და
წმინდასა მას შემოვა აუნიარა. რო-

თეა სალაქიანის ბურგეზე

თე წულუკიანი 1997-1998
წლებში საქართველოს საგარეო
საქმეთა სამინისტროსთან არსებულ
საგარეო პოლიტიკის კვლევისა და
ანალიზის /კუნთრში მუშაობითა.

2000 წლის სექტემბერში იგი
ადამიანის უფლებათა ეკორძეული
სასამართლოს შტატიანი თანა-
შპრომელი გახდა. 2005 წელს
უფროსი იურისტის საკლასო ჩინი
მიიღო. 2006 წლიდან სასამარ-
თლოს რეგლამენტის კომიტეტის
წევრი გახდა, ხოლო 2009 წლიდან –
მომხსენებელი ერთი მოსამართლის
მიერ განსახილველ საქმეებზე. 2010
წლის 24 ოქტომბერს იგი გადადგა
დაკავებული თანამდებობიდან და
საქართველოში დაბრუნდა.

დესაც ვნახეთ, თუ როგორ ექცევოდნენ
ციხეში არასრულწლოვნებს. ამიტომ
მე უშესგავსობად მიმართია კომენტარი
ვაკეთი იმაზე, რა იყო უარყოფითი, რა
- დადებითი. დღეს ჩემთვის ნათელია,
რომ იყო ერთი რიგითი ფასადი და არ
მინდა წარმოვიდგინო, რომ „იუნისეფი“
ამას ეჭვობდა. ძალიან მინდა მინს-
ტრის რანგში შევხვდე იმ ადამიანებს,
ვინც ამაზე მუშაობდა, მსურს დავუსვა
მათ მთელი რიგი შეკითხვები.

იგივე შემიძლია ვთქვა ჩემს ძველ
სამსახურზე ევროსაბჭოში. ზუსტად
ვიცი, თუ რა თანხები დაიხარჯა
დანიელების მიერ იმისთვის, რომ სა-
ქართველოში ციხის თანამშრომლების
გადამზადება მომხდარიყო, მაგრამ რა
რეფორმა ჩატარდა, ვნახეთ. ეს იყო
რეფორმა, რომელიც დამთავრდა კო-
ცხებით. არასრულწლოვნები აუცილე-
ბლად იქნება ერთ-ერთი პრიორიტეტი
და მჭიდრო თანამშრომლობა მექნება
სოზარ სუბართან, რომელიც, დარწმუ-
ნებული ვარ, ყურადღებას არ მოაკლე-
ბს ამ მოწყვლად კატეგორიას.

თქვენ თქვით, რომ საქართველოში გატარებული სისხლის სამართლის რეფორმის ზოგიერთი ასპექტები ევროს-ტანდარტებს ეწინააღმდეგება. კონკრეტულად, რომელ ასპექტებს გულისხმობო?

სისხლის სამრთლის საპროცესო კოდექსს, რომელიც სულ ახალია და უცხოელ კოლეგიუმთან და სპეციალისტებთან ერთად თანაბმრომლობის ფარგლებში შეიქმნა, რამდენიმე დიდი ნაკლი აქვს, რომელიც პირდაპირ გვაპირისპირებს სტრატეგიურის სასამართლოს სტანდარტებთან და პრეცედენტებთან. მაგალითად, დაზარალებულის როლი. თქვენ იცით, რომ სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული აღარ არის იმ სტატუსით, რაც იყო წინა კოდექსით, ანუ აქ დაზარალებული არის წარმოადგინს მხარის.

არადა, ჩემი აზრით, ნინა კოდექსის
რეალობაშიც დაზარალებულის სტატუ-
სი იყო არასაკმარისი და გასაძლიერე-
ბელი, მაგრამ ნაციონალურმა მოძრა-
ობამ ის არასაკმარისის სტატუსი კიდევ

უფრო დაასუსტა და დღეს დაზარალებული, ფაქტობრივად, უპრალოდ მოწმეა. ადამიანს როდესაც მოუკლავენ შვილს და მიმდინარეობს ამ საქმეზე გამოძიება, ევროპული სასამართლო გვთხოვს, რომ ამგვარი ადამიანი საქმეში დაზარალებულის სტატუსით იყოს ჩართული და მას ჰქონდეს ზედამხედველობის საშუალება საქმეზე, იცოდეს, რა ლონისძიებებს ატარებს გამოძიება. ბუნებრივია, ეს არ გულისხმობს, რომ გამოძიებელმა ანგარიში უნდა ჩააბაროს დაზარალებულს და დაარღიოს საგამოძიებო საიდუმლოება. დაზარალებულის სტატუსზე მუშაობა დაგვჭირდება და ამ მხრივ რეფორმა გასატარებელია.

გარდა ამისა, ადვოკატის როლი არის უკიდურესად დაკინებული. სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე ადვოკატები არიან აბსოლუტურად ხელებჩამოყრილები, თვლიან, რომ მათმა პროფესიამ აზრი დაკარგა. ამას აკეთებს დღვევანდელი კოდექსი და პროკურატურის ყოვლისშემძლე როლი. პროკურორის როლის გამოსწორება არის ჩემი ერთ-ერთი პრიორიტეტი, და კოდექსის ცვლილება საკანონმდებლო ინიციატივების სახით მოხდება ისე, რომ ადვოკატს ექნება თანასწორი უფლებები პროკურატურის მხარესთან.

ამ ახალმა კოდექსმა შემოიტანა სრული შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეებს – ბრალდებას და დაცვას მოაქვთ მტკიცებულებები და შემდეგ მოსამართლე გადაწყვეტს, ვისკენ გადაწონის სასწორა. თუმცა, დღევანდელი კოდექსი პროკურატურას სასწორზე უფრო მეტის დადების საშუალებას აძლევდა. სრული შეჯიბრებითობის საშუალებას ეს კოდექსი არ იძლევა, ეს ეხება იმ მუხლს, რომელიც ითვალისწინებს ჩხრეკასა და ამღლებას. მაგალითად, დღეს ადვოკატს თუ დასჭირდა მობილური სატელეფონო ზარის ისტორიის ამონანერი, ამას არქმევენ „ამღლებას“, რაც თავისთავად არასწორია. უხეშად რომ ვთქვათ, ადვოკატს ეუბნებიან, რომ შენ „ამღლების“ უფლება არ გაქვს და ადვოკატი ვერ წარადგენს თავის დაცვის ქვეშ

მყოფის ალიბის დამადასტურებელ მტკიცებულებას.

ნაფიც მსაჯულთა რეფორმა საჭირო იქნება, თუმცა უნდა შენარჩუნდეს. მოუხედავად იმისა, რომ ეს ინსტიტუტი არ მომწონს, რადგან მართლმსაჯულება არაპროფესიონალების ხელშია. მეორე მხრივ, ნარმოვიდგინოთ გირგვლიანის საქმის განხილვისას რომ გვქონდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, ჩემი აზრით, ისინი მოსამართლე გიორგი ჩემიაზე უფრო უკეთესად განხილავდნენ ამ საქმეს. ამიტომ თვით ინსტიტუტი გადასაგდები არაა, მაგრამ საჭიროა რეფორმა, იმიტომ, რომ ის საქმეები, რომელიც სტრასბურგში ნაფიც მსაჯულების ინსტიტუტის შესახებ შევიდა მოიტანს დარღვევას ისევე, როგორც ეს მოიტანა ბელგიურ საქმეზე „ტაქსკე ბელგის წინააღმდეგ“. დღესდღეობით ბელგია დასჯილია იმ არქაული მეთოდისთვის, რომელიც ჩვენ გადმოვიდეთ ბრმად.

როგორ გეგმავთ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის რეფორმირებას?

საპროცესო შეთანხმება არ უნდა გაუქმდეს. სახელი შენარჩუნდება, შინაარსი შეიცვლება. საპროცესო შეთანხმება ყველა ქვეყანაში გამოიყენება ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის. არ შეიძლება განზრას მკვლელობაში ბრალდებული სახლში გაუშვა. ძალიან მაინტერესებს, ჩავიხედო დოკუმენტებში და გავიგო, რეალურად რა თანხები შედიოდა ბიუჯეტში საპროცესო შეთანხმებებიდან. ზუსტად ვიცი, რომ ადეკვიტო პირადად ავალებდა რაიონების მიხედვით 80-დან 90 პროცენტამდე საქმეების მოეგვარებინათ საპროცესო შეთანხმებით.

ზურაბ ადეკვიტო იყო ერთპარტიული პარლამენტის საკანონმდებლო ინიციატივების სულის ჩამდგმელი პავლე კუბლაშვილთან ერთად. სწორედ ის იყო ბევრი უსამართლო კანონის ინიციატორი. ტყუილად არ გვითქვამს, რომ პირველი მიმართულება გაფუჭებულის გამოსწორება იქნება და ეს ძალიან შრომატევადი საქმეა. ასევე, მოხდება გამოუძიებელი საქმეების

გამოძიება და ცუდად გამოძიებულის თავიდან გამოძიება. ძალიან ბევრი ადამიანი უსამართლოდ ზის ციხეში.

შეკრებითობის პრინციპიც შეიცვლება?

დღეს მოქმედი შეკრებითობა გაუქმდება. მოსამართლე რამდენიმე ტიპის წევების ქვეშ მოექცა, აღმასრულებელი ხელისუფლების, პროკურატურის, საპრეზიდენტო ვერტიკალის, უზანაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და პარლამენტის. პარლამენტმა მოსამართლეს ისეთი კანონები დაუდგინა, რომ მოსამართლეს ბოლომდე აკონტროლებს. აუზია მინიმალური ზღვარი, მაგალითად, ჩვეულებრივი დანაშაულისთვის, მოსამართლეს რომ უნდოდეს ერთი წლის მისჯა, მას არ აქვს საშუალება, იმიტომ რომ მინიმალური ზღვარი ანულია. ყველა დანაშაულზე რევოლუციურმა ხელისუფლებამ სასჯელის მინიმალური ზღვარი გაზარდა.

რა დროში განხორციელდება ეს ცვლილება?

პირდაპირ გეტყვით, მაგალითად, უპირობო შეკრებითობის შესახებ კანონპროექტი პარლამენტში დევს. ამას სჭირდება უბრალოდ განხილვა, რაც იქნება შესაწირებელი ამას შეასწორებს პარლამენტი და უყრის კენჭს.

თქვენ თქვით, რომ პროკურორების დიქტატისგან სასამართლოს გაათავისუფლებთ. ამის ხელშესახები შედეგი როდის გახდება თვალსაჩინო?

ეს უკვე თვალსაჩინოა. შეგიძლიათ მიბრძანდეთ სასამართლოებში. ნახავთ, რომ მოსამართლეებმა, როგორც 9 წლის განმავლობაში ნაცემმა ბავშვებმა, კარები ჩაკეტეს, ტელეფონები გამორთეს და პროკურორების ზარებს აღარ პასუხისმგებელი პარლამენტში დაგენერირებული გადასახელების შემთხვევაში არიან. ზუსტად ვიცი. ეს ნიშნავს, რომ ისინი უკიდურეს გაჭირვებაში არიან.

მოსამართლეებს, რომლებმაც ცნობილი საქმეები უსამართლოდ განხილება,

რაიმე სახის დისციპლინაური სასჯელი დაუწესდება?

როდესაც ამაზე ესაუბრობთ ვე-ჯახებით პრინციპს, რომელიც უნდა მეფობდეს ყველა ქვეყანაში, ეს არის მოსამართლის უცვლელობის პრინციპი. დემოკრატიულ ქვეყანაში საერთოდ არაფერია უფრო კეთილ-შობილური, ვიდრე მოსამართლეობა. ამიტომ მოსამართლებს ვერ შევეხებით. მე მათ მოვუნდე საკუთარ სინდისთან დარჩნენ. ბევრჯერ ვთქვი და კიდევ ვიტყვი, ისეთ ადამიანებს, როგორებიც არიან გიორგი ჩემია, ნაირა გიგიტაშვილი, ლევან თევზაძე, მიხეილ კეკენაძე, ესენი ჩემს თვალში არ არიან მოსამართლები, მათ არ შეიძლება ებაროთ ადამიანების ბედი, მაგრამ ისე ქნა ბედის უცულმართობამ, რომ მათ მოსამართლები ჰქვიათ და მოსამართლის უცვლელობის პრინციპი მოქმედებს. ჩვენ მოვიფიქრებთ მექანიზმებს, როგორ მოვუაროთ ამ პრობლემას, მაგრამ წინასწარ დაწერილი მექანიზმი არ არის, ეს არის ურთულესი პრობლემა.

გაიხსნება, თუ არა მედიისთვის სასა-მართლო? თქვენ თქვით, რომ ეცდებით გამჭვირვალობის კუთხით ევროპულ სასამართლოს მიყუახლოვდეთ.

ამ შემთხვევაში მედიამაც მინდა გაითვისოს თავის პასუხისმგებლობა და სასამართლომაც. მართლმსაჯულება უნდა იყოს საქვეყნო და გამჭვირვალე გარდა რამდენიმე შემთხვევისა, თუ ეს ეხება არასრულწლოვანის საქ-მეს, მაგალითად, არასრულწლოვნის გაუპატიურებას. თუმცა, გამჭვირვა-ლობისაკენ სწრაფვისას ისე არ უნდა მოხდეს, რომ მედიამ სასამართლოს ხელი შეუძლოს. ამის საუკეთესო მაგალითს სტრასბურგის სასამართლო იძლევა. იქ ასეთი წესია, სასამართლო თავისი ხარჯებით ყველა სასამართლო სხდომის ვიდეო და აუდიო ჩანაწერს აკეთებს. ვიდეო ჩანაწერის გადაცემა ხდება, თუკე ამას მოითხოვს მხარეს. როგორიცაც ეს ტელედანაშვირი მასალა, მაგრამ აუდიო

ნერს მაშინვე გაძლიერენ, როგორც კი მოითხოვთ.

პირობას დებთ, რომ ეს განხორციელ-დება?

მე ამის ინიციატორი ვიქენები. მე იმის პირობას ვდებ, რომ ჩვენსა და მედიას მორის მოხდება ამ საკითხის ძირული განხილვა და შეთანხმების მიღწევას შევუწიობ ხელს, რათა ევროპულ სასა-მართლოს დავემსგავსოთ, უნდა მოხდეს შეთანხმება, რა წესი გვაწყობს. ურნა-ლისტს ადგილი უნდა ჰქონდეს მიჩნილი დარბაზში. მოაქვთ მაგალითები, რომ

ლი, ის არ დარჩება დაუსჯელი, სადაც არ უნდა გადაიხვეწოს დამნაშავე. ამას სტირდება ცივი გონება, დანაშაული ჩადენილია, ის არსად წავა. ჩვენ ის კულტურა უნდა დავამკვიდროთ, რომ გამარჯვებული დამარცხებულს სახლში კი არ უვარდება, არამედ შესაბა-მისი სტრუქტურა და დამოუკიდებელი სასამართლო იპარებს ადამიანს და დანაშაულზე პასუხს სოხოვს.

რა იქნება თქვენი მოღვაწეობის დროს მართლმსაჯულების მთავარი, თეორიუ-ლი, იდეალური პრინციპები?

■ პროკურორის როლის გამოსწორება არის ჩემი ერთ-ერთი პრიორიტეტი, და კოდექსის ცვლილება საკანონმდებლო ინიციატივების სახით მოხდება ისე, რომ ადვოკატს ექნება თანასწორი უფლებები პროკურატურის მხარესთან.

ფრანგულ სასამართლოში აკრძალულია ვიდეო და აუდიო გადაღება და კეთდება ჩანახატები. თუმცა, მიმაჩნია, რომ ვინაიდან მართლა იავარქებილია მართლ-მსაჯულება საქართველოში და ნდობა ნულია, სწორედ ამიტომ უნდა იყოს აქ სასამართლო პროცესი გამჭვირვალე და საჯარო. იმის პირობას ვდებ, რომ შეთანხმების პირობებს თქვენც მოგანვ-დენთ და მოსამართლესაც. მთავარია, არც მოსამართლეს შეემატოს ხელი და არც – ურნალისტს. დემოკრატია შუალედია და ამ შუალედის ძიებაშია მთელი მსოფლიო.

ყოფილი ჩინოვნიკების პასუხისმგე-ბლობა თუ დადგება?

ჩემი გუნდის წევრებისთვის და ჩვენი ერისთვის, ძველი ჩინოვნიკების და ხელისუფლების წევრების დანაშაულის აღკვეთა ისეთი მეთოდებით, როგორითაც ეს ნაციონალურმა მოძრაობამ გააკეთა, შეურაცხმყოფელია. ის ტელედანაშვირი, რასაც ჩვენ ვუყურეთ, არ არის საინტერესო საზოგადოების-თვის. თუმცა, ვინც ჩაიდინა დანაშაუ-

მთავარი პრინციპი არის ის, რომ დანაშაული დაუსჯელი არ დარჩება, იმიტომ რომ საზოგადოება, რომელიც მუშაობს, ცხოვრობს, ზრდის შეიღებს, მას სტირდება დაცულობა, წაინაღმდეგ შემთხვევაში ჩვენ სახელმწიფო არ ვიქენებით. დანაშაული იქნება, ყველა შემთხვევაში დასჯადი, მაგრამ კანონის წინაშე ყველა იქნება თანასწორი. მე თუ ჩავიდენ ქურდობას, მე დავისჯები ჩემი თანამდებობის მიუხედავად არ შეიძლება სახელმწიფო მიზნად ისახავდეს ადამიანის ბოლომდე განადგურებას. პატიმარი შედის ციხეში იმიტომ, რომ უკანვე გამოვიდეს, მთელი პოლიტიკა იქნება შესამუშავებელი, დამნაშავის რესოციალიზაციის, რეპილიტაციისათვის. ადამიანი დღეს რომ შედის ციხეში, ფაქტობრივად იცის, რომ ცხოვრება დამთავრდა. მე არ ვადაგებ დამნაშავის პატიმარების, მაგრამ არ შეიძლება პატიმარი შენ გახადო მკვდარი ადამიანი, ის ცოცხალი სხეული და მთავარი ღირებულებაა, იმიტომ, რომ ადამიანია.

ესაუბრა ლიკა ზაკაშვილი.



მთავრობის მარზე განვითარებული ბაზრი "მილიონების შასანაჩინებლის"

პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მთავრობიდან ოპოზიციაში გადაინაცვლა. პარტიის ლიდერების განცხადებით, ისინი გამარჯვებულ „ქართულ ოცნებას“ ახალი მთავრობის ჩამოყალიბებაში სრულ თავისუფლებას მისცემენ, თუმცა ოპოზიციაში ბრძოლას მათ ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი რესურსით გააგრძელებენ.

გიორგი გოგუა



ფოტო ბერები გ. გურია

ოპონენტები კამერების წინ ცივი სახეებით ართმევენ ერთმანეთს ხელს, 9 ოქტომბერი 2012

პრეზიდენტის რეზიდენციაში ახალი მთავრობის წარმომადგენლებს ელიან. არჩევნების შემდეგ კვირაზე მეტია გა-სული – 9 ოქტომბერს უკვე ოპოზიციაში გადასული „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი, პრეზიდენტი მიხეილ სააკშილი, პრემიერმინისტრობის კან-დიდატს, ბიძინა ივანიშვილს პირისპირ შეხვდება.

შეხვედრა არც ისე გულთბილია. ყვე-ლაფერი რეგლამენტის ფარგლებში მი-მდინარეობს: ოპონენტები კამერების წინ ცივი სახეებით ართმევენ ერთმანეთს

ხელს და სასახლის მინის კარს მიღმა უჩინარდებიან.

ამ შეხვედრას მედია არ დასწრებია, შე-საბამისად, არავინ ამბობს, ზუსტად რაზე ისაუბრეს მხარეებმა. უურნალისტებთან მხოლოდ ზოგადი მინიშნებები კეთდება: „ჩვენ საქართველოს მომავალზე ვისაუ-ბრეთ“.

სამაგიეროდ, ყველასათვის ცნობილია მხარეების განწყობა: პარტიების ლიდე-რებმა ოფიციალური კომენტარები არჩე-ვნების წინასარი შედეგების გამოქვეყნე-ბისთანავე გააკეთეს.

„მე ხელს შევუწყობ, რომ პარლა-მენტმა დაინყოს მუშაობა, აირჩეს ახა-ლი პრემიერი და ჩამოყალიბდეს ახალი მთავრობა. თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ ჩემთვის ფუნდამენ-ტურად მიუღებელია ამ კოალიციის შეხედულებები, მაგრამ დემოკრატია მუშაობს ისე, რომ ქართველი ხალხი უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილე-ბას და ეს არის ის, რასაც ჩვენ ვცემთ პატივს“, – ამბობდა პრეზიდენტი ორ ოქტომბერს და დასძნდა, რომ ოპო-ზიციაში გადასული „ნაციონალური მო-

ବ୍ୟାକିତିରେ

ძრაობა“ საქართველოს განვითარებისა-
თვის ბრძოლას გააგრძელებდა“.

ერთი მხრივ, ახალმა მთავრობამ ქვეყნის მთავარ პრიორიტეტებად რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება, ამავდროულად კი, დასაცლეთთან ურთიერთობის გამყარება და ნატოში შესვლა დასახელა. შესაბამისად, ამ საკითხში ქველი და ახალი მთავრობის პოლიტიკა ერთმანეთს ეძინობა.

თუმცა, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს „ქართული ოცნების“ მიერ გაცხადებულ საგარეო პოლიტიკურ კურსში ეჭვი შეაქვთ. ყოფილი მმართველი პარტიის წევრი, სერგო რატიანი მიჩნევს, რომ მომავალ მთავრობას მყარად ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკური კურსი არ აქვს: „დასავლური ლირებულებები „ნაციონალური მოძრაობის უმთავრესი ლირებულებაა“, – ამბობს რატიანი და დასქენს, რომ მათი ოპონენტების დასავლეთისაკენ სწრაფვასთან ერთად რუსეთის გავლენის საშიშროებაცაა. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, ოპზიციამ ეს საფრთხე შეამციროს: „რაც შეეხება დასავლურ კურსს, „ნაციონალური მოძრაობა“ ამას მხოლოდ ხელს შეუწყობს“, – ამბობს რატიანი.

უმცირესობის წევრები თავიანთი პარტიის მოვალეობად პოლიტიკური პროცესის გაკონტროლებას მიზნებით: „წევნუნდა ვიყოთ შემაკავებელი ძალა იმისა-თვის, რომ უმრავლესობამ უფლებამოსილებები არ გადამეტოს“, – ამბობს სერგო რატიანი. მისი თქმით, საჭიროა, ოპოზიციას გავლენა ჰქონდეს ისეთ მაკონტროლებელ სტრუქტურებზე, რომ იმორიკაა კონტროლის პალატა.

ରୂପାଳିନୀଙ୍କ ତଥିମିତ, ଅନେକିତିକାଳିମ ଉନ୍ଦରା
ଗାହାଙ୍କିତରୁଣଲୋପ ମତାଗୁରିକାଳିମ ଏହା ମାର୍କଟ୍ରୁ
ସାଗାର୍ଯ୍ୟ ଅନେକିତିକାଳିମ କୁରୁଶିଳ, ଏହାମେଇ
ଲୋକ, ରମ୍ଭ ମତ ସାରିକୁଣ୍ଠିତ ଅନେକିତାମାଳି
ଶେଷୁଲୋ ସାକିତ୍ତେବଳୀ ଶେଷରୁଣ୍ଡିଲ୍ଲେ, „ମହୀବା-
ଲେଖାଳିବିଦିବାତିବିଲେ ଗ୍ରହ-ଗ୍ରହି ଉପତାଵର୍ଗେଶି
ଅନେକିତାମାଳି ଅନେକିତାମାଳି ପ୍ରାଣିକାଳିମ
ସାକିତ୍ତେବଳୀ ଏହାମେଇ କିମ୍ବାକିମ୍ବା ଏହାମେଇ

და „ქართული ოცნებაც“. მოსახლეობის უმრავლესობამ უკეთესად ჩვენი იპონეგნტების აზრი მიიჩნია“, - ამბობს რატიანი. მისივე თქმით, ამ შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობის“ უმთავრესი ამიცანაა, ამ დაპირებების შესრულება გაკონტროლდეს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის
წინასწარი შედეგების მიხედვით, ნაციო-
ნალურმა მოძრაობამ საპარლამენტო
მანდატის 40%-ზე თდნავ მეტი მოიპოვა
და საკანონმდებლო ორგანოში უმცირე-
სობაში აღმოჩნდა; მიუხედავად ამისა,
ყოფილ მმართველ პარტიას მაინც დარჩა-
ადგინისტრაციული რესურსი.

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლა-
მენტო კომიტეტის თავმჯდომარის, ნა-
ციონალური მოძრაობის წევრის, დავით
დარჩიაშვილის თქმით, ოპოზიციური
პრძოლის მთავარი იარაღი მათი პარტიი-
სათვის სწორედ ეს ადმინისტრაციული
რესურსი იქნება. „ბუნებრივია, უმრავ-
ლესობას მეტი ბერკეტი აქვს: მთავრობა
მისია და პარლამენტში კანონის გატანა,
გარდა კონსტიტუციის ცვლილებისა,
მის ხელთაა, თუმცა ოპოზიციას პარლა-
მენტში საკმაოდ სერიოზული ფუნქციე-
ბი აქვს“, - ამბობს დარჩიაშვილი. მისი
თქმით, პარტია პარლამენტში შესვლისას
ეფექტურად გამოიყენებს მისთვის გა-
მოყოფილ კვლა თანამდებობას.

„სოციალ-დემოკრატიული“ პარტიის ლიდერისა და „ქართული ოცნების“ სა-არჩევნო სიის მეთორმეტე ნომრის, გია უორჯოლიანის თქმით, შეუძლებელია „ნაციონალური მოძრაობა“ ჩამოყალიბდეს, როგორც სრულფასოვანი ოპოზიციური ძალა. „ეს პარტია იმ სისტემის შემოქმედია, რომლის დანგრევაც საზოგადოებამ მოინდომა, შესაბამისად, მათ არ აქვთ მოსახლეობის ლეგიტიმაცია“, — ამბობს უორჯოლიანი. მისი თქმით, შართალია, ყოფილ მმართველ პარტიას ქალაქისა და მუნიციპალიტეტების საკრებულოებში, ასევე თბილისის მერიაში ჯერ კიდევ დარჩათ წარმომადგენლები, თუმცა. ახალი ხელისუფლების პირობებში ეს არაფერს ნიშნავს. მისი თქმით, ის ვერტიკალური ჯაჭვი, რომლითაც ადამიანების მცირე ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხელისუფლების

2014 წლის ადგილობრივ და საკურე-
ბულოს არჩევნებამდე „ნაციონალურ
მოძრაობას თბილისის საკრებულოში
უმრავლესობა, 37 წევრი ჰყავს. პარტიის
ნარმომანდაგენელია თბილისის მერი, გიგი
უგულავაც, ხოლო რეგიონული მთავრო-
ბები და საკურებულოები, ძირითადად,
ასევე „ნაციონალური მოძრაობის“ წე-
ვრებით არის დაკომპლექტებული.

გარდა ამისა, პარტიის ლიდერი ქვეყნის პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილია, რომელსაც ვადა 2013 წელს ეწურება. დღევანდველი კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყნის პირები პირი, ფაქტობრივად, შეუზღუდავი უფლებამოსილებებითაა აღჭრუვილი, არჩევნებიდან 4 დღის შემდეგ კი, 5 ოქტომბერს მან ეს უფლება-მოსილებები კიდევ უფრო გაიზართოვა.

პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებულებების შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებიდან გამოვიდა სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო, ხოლო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოზე დაკარგა კონტროლი. ეს ორივე სააგენტო სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის იურისდიქციაში გადავიდა.

სამი დღის შემდეგ, 8 ოქტომბერს კი
პრეზიდენტმა შეიარაღებული ძალე-
ბის გაერთიანებული შტაბის უფროსად
გენერალ-ლეტერნაც დევი ჭანკოტაძის
ნაცვლად, ბრიგადის გენერალი, გიორგი
კალანდაძე დანიშნა. ეს უკანასკნელი თა-
ვდაცვის, შემდეგ კი შინაგან საქმეთა ყო-
ფილი მინისტრ, ბარი ახალაისათან ახლო
კავშირითაა (ცნობილი.

ამ ცვლილებების შედეგად, პრეზი-
დენტმა ფაქტობრივად დაიქვემდებარა
სახელმწიფო კონტროლის ორი საკმა-
ოდ მნიშვნელოვნი მექანიზმი: შინაგან
საქმეთა სამინისტროს აღარ მიუწვდობა
ხელი მაღალი თანამდებობის პირების
სატელეფონო ჩანაწერებზე, ხოლო ეკო-
ნომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო პრეზიდენტის ფინანსურ

თავდაცვის მინისტრობის კანდიდატის, ირაკლი ალასანიას თქმით, ეს ცვლილებები სხვა არაფერია, თუ არა „ხელმოწარული პოლიტიკური ძალის პატარა გადაწყვეტილებები“ – „ჩვენ საქმის კურსში ჩაგვაყენება, რომ გენერალში ასეთ ცვლილებას ახორციელებდნენ“, – ამბობს ალასანია და განმარტავს, რომ როგორც კი ხელისუფლებას ახალი მთავრობა გადაიბარებს, და პრემიირ-მინისტრი ივანიშვილი თავისი კაბინეტით შეუდეგება საქმეს, ყველა პროცესზე პასუხისმგებელი „ქართული ოცნება“ გახდება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი რესურსებისა, ყოფილი მმართველი პარტიის ხელში ჯერ კიდევ რჩება ბაზნესი და მედიის ნაწილი. ხელისუფლების მიერ ამ ორი სფეროს კონტროლზე გამომძიებელი უერანლისტები წლების განმავლობაში საუბრობდნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც „ნაცონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში აღარ არის, გახშირდა მინწერები ბიზნეს მონაცემების რლვევისა და მედიის გათავისუფლების შესახებ.

გამომძიებელი უკრანალისტი, სტუდია „მონიტორის“ მთავარი რედაქტორი, ნინო ზურაბშვილი იხსენებს გამოძიებებს ბიზნესის იმ სფერობრივ მიმართ, რომლებიც მმართველი პარტიის დაცვემდებარებაში იყო: „დაწყებული სწრაფი კვების ჯიხურებით, ყვითელი მიკროვატობულსაბისა და საწვავის ბიზნესით დამთავრებული, უშალოდ მთავრობის, ან მათთან დაახლოებული პირების მიერ კონტროლდებოდა“, – ამბობს ზურაბშვილი და დასძენს, რომ შეუძლებელია, ქვეყანაში მონოპოლიები მთავრობის მხარდაჭერის გარეშე არსებობდეს. მისივე თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას“, მთავრობაში პოზიციების დაკარგვასთან ერთად, ეს რესურსიც გამოეცლება ხელიდან: მონოპოლიები ბაზარზე კონკურენციის გაჩენასთან ერთად გაქრება, ხოლო კონტროლირებადი ტელეკომპანიის ძევლმა მფლობელებმა

უკვე დაიწყეს სამართლებრივი ბრძოლა საკუთრების უკან დაბრუნებისათვის.

ხელისუფლების გადაბარებისთანავე
სამართლებრივი პრძოლის დაწყებას პპი-
რებს „ქართული ოცნებაც“. იუსტიციის
მინისტრობის კანდიდატი, თეა წულუკაძე-
ნი ამბობს, რომ გასამართლდება ძველი
მთავრობის ყველა ის წევრი, რომელმაც
დანაშაული ჩაიდინა: „ამას ცივი გონიე-
ბა სჭირდება. დანაშაული ჩადენილია,
თან ისეთი, რომელსაც ხანდაზმულობის
დღიდ ვადა აქვს“, – ამბობს წულუკაძენი.

მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი პრივატურული ნაციონალური მოძრაობა

ზე პოლიტიკური მორგების მცდელობაზე თუ ლაპარაკი ზედმეტია, ნაციონალურ მოძრაობას მოქმედებისათვის საჭირო არეალი დარჩება”, – აღნიშნავს ჭავჭურიძე „ლიბერალთან” მიმოწერაში.

თავის მხრივ, „ნაციონალური მოძრაობას“ ლიდერები ამბობენ, რომ ახალი გამარჯვებული პარტიისათვის მთავრობის ჩამოყალიბებაში წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებენ. ხუთ ოქტომბერს, „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ პირველი სამუშაო შეხვედრის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ, დაუით ბაქრაძემ განაცხადა, რომ ნაციო-

„ბუნებრივია, უმრავლესობას მეტი ბერკეტი აქვს: მთავრობა მისია და პარლამენტში კანონის გატანა, გარდა კონსტიტუციის ცვლილებებისა, მის ხელთაა, თუმცა ოპოზიციას პარლამენტში საკმაოდ სერიოზული ფუნქციები აქვს“.

ბის წევრებს შეეხებათ, სერგო რატიანის თქმით, ოპოზიციაში გადასულ პარტიასა ეს პრობლემას არ შეუქმნის: „თუ რამე გამოსაძიებელია, აუცილებლად უნდა გამოიძიონ. ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ჩევნ პარტიას განვითარების სა-შუალება ჰქონდეს“, – აბბობს რატიანი. მისი თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას“ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრინციპები აქვს და რომელიმე დამნაშავე მინისტრის გასამართლება ამ პრინციპებს ვერ დააზიარებს.

საქართველოს ახალი პარლამენტი
პირველ სხდომას 20 ოქტომბერს გამართავს. კანადაში მოღვაწე ქართველი პოლიტოლოგის, ლაშა ჭანტურიძის თქმით, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“, ასევე „ქართული ოცნების“ წარმატება ახლა არა უხეშ ძალასა და პროპაგანდაზე, არამედ მათი ლიდერებისა და სტრატეგების გამჭრიახობასა და გათვლაზეა დამოკიდებული. „მათ ისიც აქვთ გათვალისწინებული, რომ 4-5 წლის შემდეგ, შეიძლება, პოზიციების გაცვლა მოუწიოთ ამიტომ ერთმანეთის ძალიან შეზღუდვაც არ გამოადგებათ. ერთ კაცზე ან პარტია-

ନାଲ୍ଲୁରି ମନ୍ଦରାମବା ପର୍ଯ୍ୟଥିଦେଖନ୍ତିକିଲାବାଟୁଳି
ଦାଲ୍ଲଙ୍ଗାବ ମିନିଲିକ୍ଷିତର୍ଗତାବାନ ମିଳିବାରଟେହାଶି
ଜମ୍ବିଲିକ୍ଷିତର୍ଗତାବାନ ମିନିଲିକ୍ଷିତର୍ଗତାବାନ
ଗାମ୍ଭୀର୍ଯ୍ୟନ୍ତରାବ ଏବଂ ଆଗର୍ଯ୍ୟରେ
ମିଳିବାଲ୍ଲ ମତାଵରଣବାସ „ସର୍ବାଲ୍ଲ କାରତ୍ବଦିଲାନଶି ହୃ-
ନ୍ଦେଖନ୍ଦ୍ରା“ । ଏହି କିମ୍ବା ନିଶ୍ଚାବ୍ସ, ରମ ପର୍ଯ୍ୟ-
ମିଳିରକବିଲ କାନ୍ଦିଦିଲାତି ଉବାନିଶ୍ଚାଲିଲିଲ ମିଳିର
ନାରଦ୍ଗ୍ରେନ୍ଦ୍ରିଲୀ ମିଳିଲିକ୍ଷିତର୍ଗତାବିଲ ଅନିଶ୍ଚାନାଲ
ପର୍ଯ୍ୟଥିଦେଖନ୍ତି କ୍ଷେତ୍ରରେ ଏହିଲିଲ ଏବଂ ଶ୍ରୀଶ୍ଵରିଲିଲ ।

დავით დარჩიაშვილი ამბობს, რომ
მათი, როგორც ოპოზიციის, მთავარი მი-
ზანია, ასალი მთავრობის პირობებში ძევ-
ლი მიღწევები არ დაიკარგოს: „იმედს
ვიტოვებ, უმრავლესობას, ან მის ნაწილს
მაინც არ ექნება ამ მონაბოროის დაკარ-
გვის სურვილ. საუბარია იმაზე, რომ
პირველად, საქართველოს ისტორიაში,
ამოქმედდა თანამედროვე სახელმწიფო
ინსტიტუტები: დაიწყო გადასახადების
გადახდა, ბრძოლა გამოუვაცხადეთ კრი-
მინალს, აღმოიტხვრა კორუფცია და მე-
ქრთამეობა... ამ ყველაფერს შენარჩუნე-
ბა უნდა“, – განარტავს დარჩიაშვილი და
დასძენს – „ჩვენ ვიქნებით ოპოზიცია,
რომლის მსგავსიც თანამედროვე საქარ-
თველოს არ ჰყოლია“. **ც**

სოფია ასალი პრიუნი

ბოლო ექვსი წლის განმავლობაში საქართველოში ანტიმონოპოლიური კანონი, ფაქტობრივად არ მოქმედებდა. 2012 წლის მაისში ევროკავშირის რეკომენდაციების საფუძველზე პარლამენტმა ახალი ანტიმონოპოლიური კანონი მიიღო. მომავალი მთავრობა მონოპოლის პრევენციის მიზნით უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმას აპირებს.

თათია ხალიანი

„აუცილებლად შევებრძოლებით მონოპოლიებს და კარტელურ შეთანხმებებს, ძალიან მყარი ანტიმონოპოლიური სამსახური გვექნება“, – ეს განცხადება კოლიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა 5 ოქტომბერს ბიზნესმენებთან შეხვედრისას გააკეთა.

არის თუ არა ბაზარი საქართველოში მონოპოლიური? – ამ საკითხთან დაკავშირებით ეკონომიკის ექსპერტების მოსაზრებები ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ნაწილი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში სრულყოფილი კონკურენცია არ არსებობს, ფარმაცევტული და ნავთობპროდუქტულია. მეორე ნაწილი კი ამბობს, რომ ქვეყანაში მონოპოლიების არსებობა დასაბუთებული არ არის.

ანტიმონოპოლიური რეგულირება და კველი კანონი

ანტიმონოპოლიური სამსახური საქართველოში ჯერ კიდევ 1992 წლიდან ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებობდა. 1997 წელს ის დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბდა. ანტიმონოპოლიური სამსახური „მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ“ კანონის აღსრულებაზე იყო პასუხისმგებელი.

ეკონომიკის ექსპერტი ქეთევან ლაფაჩი 1997-2001 წლებში ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მოადგილე იყო. მისი განმარტებით, ანტიმონოპოლიური რეგულირება კონკურენციის ზოგადი პოლიტიკის ნაწილია. კონკურენციის პოლიტიკის მიზანი კი, ყველა ტიპის ანტიკონკურენციული ქმედებების შეზღუდვა, პრევენცია და აღკვეთა.

„ანტიკონკურენციული ქმედება შეიძლება გამოწვეული იყოს სახელისუფლებო წრეების არასწორი პოლიტიკით. ასევე, შესაძლებელია თვითონ ბიზნეს სტრუქტურების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის საფრთხე არსებობდეს“.

კონკურენციის სფეროში ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ხორციელდებოდა მონოპოლისტი კომპანიების საბაზრო ქცევის მონიტორინგი, რათა

მონოპოლის პირობებში ბაზარზე შემცვევა როგორია. ფასებზე კონტროლს ერთი დომინანტი კომპანია ახორციელებს. მონოპოლისტის საბაზრო ძალაუფლება დიდა, მას შეუძლია ბაზრის მონაბილებს თავისი პირობები უკარნახოს.

კონკურენციის პირობებში კი არცერთ ცალკეულ ჯგუფს ბაზრის მდგომარეობაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია. პერვია ერთმანეთის მსგავსი საქონლისა და მომსახურების მწარმეებელი კომპანია. შესაბამისად, ბიზნესი ერთმანეთს პროდუქტის ხარისხით და მომსახურების პირობებით უწევს კონკურენციას.


კარტელური შეთანხმება არის გარიგება კომპანიებს შორის, რომელიც ბაზარზე ფასებზე კონტროლის და მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით იდება.

ამ მონოპოლისტებს დომინირებული მდგომარეობა ბოროტად არ გამოეყენებინათ. რადგან როგორც ძველი, ისე ახალი, ანუ 2012 წელს მიღებული კანონები კრძალავს არა თავად მდგომარეობას, არამედ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოენებას. მაგალითად, კონკურენციული ბიზნესი შეიძლება იყოს ძალზე დარმატებული, კარგი სტრატეგია ჰქონდეს, ჰყავდეს ბევრი მომხმარებელი, შესაბამისად, მან შეიძლება დაიკავოს ბაზრის 80%. ამ შემთხვევაში კანონს აინტერესებს არა ის, რომ კომპანიას ბაზრის დიდი წილი უჭირავს, არამედ ის, რომ მან ეს მდგომარეობა ბოროტად არ გამოიყენოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთი მაღალი ფასი, ან განსაკუთრებული პირობები არ დააწესოს, რაც მომხმარებელს პრობლემას შეუქმინს.

ლაფაჩი ამბობს, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის არსებობის პერიოდში 1997-2005 წლებში არაკეთილ-სინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა აქტიურად მიმდინარეობდა.

მისივე თქმით, აღმსარელებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან მენარმეთა შევიწროების, დისკრიმინაციის და მომხმარებელთა უფლებების შელახვის ფაქტები, აგრეთვე, ხშირი იყო.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2005 წელს ანტიმონოპოლიური სამსახური გაუქმდა და სანაცვლოდ მცვეთად შეზღუდული ფუნქციების მქონე „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენ-



ლევან გურიაშვილი

ცის სააგენტო“ შეიქმნა, რომელიც 7 კაცისგან დაკომპლექტდა. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელისუფლების არგუმენტი იყო, რომ საქართველო პატარა ბაზარია და რეგულირება არ სჭირდება.

კონკურენციის პასუხი კანონი
ევროკომისიის ფაქტების დამდგენ-
მა მისამ 2008 წელს საქართველოში კონკურენცული გარემოს შეფასების შე-
ძლევ განსაკუთრებული აქცენტი ანტი-
მონოპოლიურ რეგულირებაზე გააკეთა.
ამის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ 2010 წელს „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“ შეიმუშავა.

2011 წლის დეკემბერში, კონკურენ-
ციისა და შესყიდვების სააგენტოები
ერთ სამსახურად გაერთიანდა.

ევროკავშირის წარმომადგენელი სა-
ქართველოში, ვაჭრობის საკითხებში
პროექტის მენეჯერი ვირუინი კოსული
ამბობს, რომ კონკურენციის სფეროში

საქართველოს მიმართ ევროკავშირს ორი თხოვნა ჰქონდა. პირველი, მიღებული ყოფილიყო მეტყო კონკურენციის პოლიტიკა და კონკურენციის შესახებ კანონი. მეორე, სათანადო კონკურენციის სააგენტო შექმნილიყო, რომელიც კანონის განხორციელებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი.

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონი საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის მაისში დაამტკიცა. ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაზე მუშაობა და კონკურენციის შესახებ პოლიტიკის რეფორმა ერთ-ერთი პრიორიტეტული სფერო იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა, ყოვლისმომცველ და თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ შეთანხმებაზე მოლაპარაკების დასაწყებად.

„კონკურენცია უპირველეს ყოვლი-
სა, იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ
პირდაპირ კავშირშია ვაჭრობასთან.

ჩვენ ვთვლით, რომ კონკურენცია ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკის სწორი მუშაობისთვის. ის მნიშვნელოვანია როგორც კომპანიებისთვის, ასევე, მომხმარებლებისთვის, რადგან თუკი კონკურენციის ნაკლებობაა ბაზარზე, იზრდება ფასები“, – თქვა ვირუინი კოსულიმ „ლიბერალთან“ საუბრისას.

კოსულის შეფასებით, ახალი კანონი წინა კანონისგან განსხვავებით, კონკურენციის პოლიტიკის მთავარ პრინციპს მოიცავს, 2005 წლამდე მოქმედი კანონი ძირითადად სახელმწიფო დახმარებასთან დაკავშირებულ საკითხებს კურირებდა და, განსხვავებით ახალი კანონისაგან, ანტიმონოპოლიურ რეგულირებას თითქმის არ ეხებოდა.

ახალი საკანონმდებლო რეგულირების მიხედვით, კომპანია მონოპოლისტად ჩაითვლება, თუ მას შესაბამისი ბაზრის არანაკლებ 40% უკავია.

განსაზღვრულია, ასევე, შემთხვევები, როდესაც კომპანიები ბოროტად

იყენებენ დომინირებულ პოზიციას და ადგილი აქვს ისეთი სახის ქმედებებს, რომელიც მიზანმიმართულად და არა-მართლზომიერად ზღუდავს კონკურენციას, მაგალითად, როდესაც კომპანიები ერთი სახის პროდუქტზე შეთანხმებულ ფასს აწესებენ. კანონი კრძალავს ნების-მიერ ფორმით სახელმწიფო დახმარებას, რომელიც კონკურენციას ზღუდავს, ან მისი შეზღუდვის საშიშროებას ქმის.

თუმცა, კანონში არსებობს რიგი ნაკლოვანებები, რომლის შესახებაც როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პროექტის განხილვისას მიუთითებდნენ. ერთ-ერთი საკითხი სააგენტოს მუშაობას ეხებოდა.

კერძოდ, ოფიციალურად სააგენტო დამოუკიდებელ ორგანოა, თუმცა კანონის მე-19 მუხლის მიხედვით, სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს პერიოდულად ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. სააგენტო საჩივრებს და განცხადებებს განხილავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად. არცერთი განცხადება არ იქნება განხილული მანამდე, ვიდრე განმცხადებელი განცხადების განხილვის შესაბამის საფასურს არ გადაიხდის, არადა სააგენტო ბიჯეტიდან ფინანსდება. ასევე, სააგენტო არ არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რომლებიც შეიძლება შესაბამის ბაზარზე დადგეს, თუკი აღნიშნულ საკითხებზე სააგენტოსადმი მიმართვა არ ყოფილა.

ვირუსინი კოსულის თქმით, კანონი სრულყოფილი არ არის, მაგრამ ეს პროცესის დასაწყისია. პრაქტიკაში განხორციელებისთვის საჭიროა გარკვეული ადაპტირება და მორგება სიტუაციაზე, რაც მთავარია, სააგენტო უნდა ცალსახად დამოუკიდებელი, მარეგულირებელი ორგანო იყოს.

**შეიცვლება თუ არა
კონკურენციის პრიოტიკა?**

ექვსწლიანი შუალედის შემდეგ ქვეყანაშ მიიღო კონკურენციის შესახებ ახა-

ლი კანონი და შესაბამისი ფორმალური ორგანოც შეიქმნა, რომლის ფორმირებასა და გაძლიერებაზე კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განცხადება უკვე გააკეთა.

რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი ორგანოს არსებობა? რა მექანიზმებით აპირებს ახალი მთავრობა მონიპოლიურიანი ბრძოლას?

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტის პატა შეშელიძის აზრით, როგორიც არ უნდა იყოს ანტიმონიპოლიური სამსახურის საქმიანობა, ის კი არ შეუწყობს, არამედ შეაფერხებს თავისუ-

**„ანტიკონკურენციული
ქმედება შეიძლება გამოწვეუ-
ლი იყოს სახელისუფლებო
ნრეების არასწორი პოლი-
ტიკით. ასევე, შესაძლე-
ბელია თვითონ ბიზნეს
სტრუქტურების მხრიდან
კონკურენციის შეზღუდვის
საფრთხე არსებობდეს“.**

სავაჩევო სტატუსი ცვილებაზე

მომავალი მთავრობა გეგმავს ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი ანტიმონიპოლიური სამსახური, რომლის ინსტიტუციონალიზაცია, პერსონალის შერჩევა უცხოელი კოლეგების რეკომენდაციით და დახმარებით მოხდება. ასევე, სავარაუდო, შესყიდვების სააგენტო კვლავ გამოყოფა კონკურენციის სააგენტოს და მათი ფუნქციები გაიყოფა.

ფალ საბაზრო თანამშრომლობას და კონკურენციას. მისი აზრით, მონიპოლია მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაწესებული გადასახადების, რეგულირებების, ან პრივილეგიების შედეგია.

„მონიპოლიის არდაშვება, ბაზარში სახელმწიფოს ჩარევის აკრძალვით არის მხოლოდ შესაძლებელი. ამას დამატებითი მაკონტროლებლის სახით ანტიმონიპოლიური სამსახური არ სჭირდება. ჩაურევლობის გარანტი კონსტიტუციია უნდა იყოს, ხოლო მისი შესრულებას პოლიტიკური ცხოვრების ყველა მონაწილის ჩართულობა განაპირობებს.

თუ რომელიმე მომწოდებელი, ან მათი გაერთიანება, ფიზიკურად ზღუდავს პოტენციურ კონკურენტებს – ეს სისხლის სამართლის საკითხია და არ არის მარეგულირებლის არსებობა მიზეზი. ახალი ანტიმონიპოლიური სამსახურის დანიშნულებას ამ შემთხვევაშიც ვერ ვხედავ“.

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს ხელმძღვანელი, პროფესიონალიზაცია ხადური ამბობს, რომ თავდაპირველად ცვლილები კონკურენციის შესახებ კანონში შევა, რადგან არსებული კანონი არ არის კარგი და ის არ შეიცავს ისეთ ნორმებს, რომელიც მონიპოლიური მთავრობის წარმოშობას ხელს რეალურად შეუშლის, რადგან კანონი არ ავალდებულებს სააგენტოს ბაზრის მონიტორინგს.

„ანტიმონიპოლიური სამსახური იქნება არა მუდმივად მაკონტროლებელი და მბრძანებელი ორგანო, არამედ ის მონიტორინგს გაუწევს ბაზარს, რომ არ მოხდეს კომპანიებს შორის გარიგება. ეს სამსახური დაიწყებს მუშაობას, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს კომპეტენცია იქნება“, – თქვა ხადურმა.

ის ეთანხმება მოსაზრებას, რომ ბიზნესის განვითარებისთვის კონკურენციის სუვერენიტეტი სახელმწიფოს ჩაურევლობა მთავარი პრიორიტეტია, თუმცა ამავე დროს არსებობს თავად ბიზნესების მხრიდან ერთმანეთის კონტროლის საფრთხე, რისგან დასაცავადაც მნიშნელოვანია სწორედ ძლიერი ანტიმონიპოლიური სამსახურის არსებობა.



გადაცემა

ლიბერალი



ყოველ სამუშაო დღეს
საღამოს 7 საათზე
რაფილ „ცხელი შოტრადიონ“ ცთარში

www.facebook.com/TalkShowLiberali

სანვაკის ბიზნესის საპატიო მოდელი

საწვავის იმპორტი საქართველოში დღითიდღე იზრდება. 2000 წელს ქვეყანაში 71 მილიონი დოლარის ნავთობპროდუქტები შემოვიდა. 2011 წელს ეს ციფრი 911 მილიონ დოლარამდე, ანუ 13-ჯერ გაიზარდა. 2006-07 წლებამდე ამ სფეროში 120-მდე ნავთობიმპორტიორი მუშაობდა, ასეთი ძლიერი კონკურენციის გამო იმ წლების საქართველოში საწვავზე ფასები შედარებით დაბალი იყო.

ნინო ზურიაშვილი, ცქრიალა შერმადინი, სტუდია „მონიტორი“

2008 წლიდან საწვავის ბაზრიდან წვრილი იმპორტიორების განდევნის პროცესი დაიწყო. მათი ადგილი სულ რამდენიმე მსხვილმა კომპანიამ დაიკავა. გაუჩინარებულ ფირმებს შორის იყო – „სენტია“, „ეკო“, „მაგნატი“, „ლადონილი“ და სხვა მცირე ქსელის მქონე ბენზინგა-სამართლისადან სადგურები. ამ კომპანიებიდან ჩვენ „მაგნატის“ ისტორიით დავინტერესდით.

„მაგნატი“, ბანკები და 2008 წლის ეპონიმური პრიზისი

„მაგნატი“ ქვეყნის მასტებით ერთ-ერთი დიდი ქსელის პატრონი იყო. ის 4 ნავთობ ბაზას, აგრეთვე, 42 ბენზინგასამართლის სადგურს ფლობდა და თვეში დაახლოებით 8 მილიონ ლიტრზე მეტ საწვავს ჰყიდდა. კომპანიის ბრუნვა წელიწადში მინიმუმ 150 მილიონ ლარს აღწევდა, საბრუნვი სახსრებისთვის „მაგნატის“ რამდენიმე ბანკიდან სესხიც ჰქონდა აღებული. მხოლოდ „თიბისი“ ბანკიდან და ბანკ „რესუბლიკიდან“ აღებულმა საბრუნვამა თანხამ 2008 წლისათვის რამდენიმე მილიონი დოლარი შეადგინა.

2008 წელს განვითარებულ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს აგვისტოში მომხდარი რუსეთ-საქართველოს ომიც დაერთო. კრიზისი საბანკო სექტორზე მყისიერად აისახა. ჯემალ ლეონიძე, რომელიც ჩვენ ციხიდან ტელეფონით დაგვიკავშირდა, ამბობს, რომ „თიბისი“-მ კომპანია „მაგნატის“ მილიონ ნახევარი დოლარის დროზე ადრე დაბრუნება

სთხოვა. ანუ, ლეონიძის თქმით, ბანკმა მის კომპანიას გადახდის წინასწარ დადგენილ გრაფიკზე ადრე მოსთხოვა ფულის დაბრუნება.

ჯემალ ლეონიძე კომპანია „მაგნატის“ 75%-ს ფლობდა. ის ამბობს, რომ ვინაიდან ბანკებს ნაღდ ფულს ვერ აძლევდა, „თიბისი“-მ მას ვალის სანაცვლოდ „მაგნატის“ წილში შესულა შესთავაზა. „რომ დავიწყეთ მოლაპარაკება, მილიონ ნახევარი სესხი ჩამომაჭრეს, ჩვენ მაინც ახალი სესხი უნდა მოგცეთო. მეორე ბანკმაც (გულისხმობს ბანკ „რესუბლიკას“) ნაიღო სესხი იმიტომ, რომ ომის მერე იყო კრიზისული მდგომარეობა. დააბრუნე და მერე მოგცემთო, ანუ „თიბისი“-მ ნაიღო მილიონ ნახევარი საბრუნვა თანხა, მეორე ბანკმა წაიღო ერთი მაგდენი, ფაქტობრივად დავრჩით საბრუნვა თანხის გარეშე, ამით ხელივ-ნურად შეგვიმნეს ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენ სახევნარი გაგვხდომოდა იქითკებული“. – ამბობს ლეონიძე.

„თიბისი“ ბანკმა ინტერვიუზე უარი განაცხადა და ჩვენს კითხვებს წერილობით უპასუხა. ბანკმა ლეონიძის მიერ მითითებულ პერიოდში მილიონნახევრიანი სესხის წინსწრებით ჩამოჭრის ფაქტი უარყო.

2008-2009 წლებში ბანკებმა საწარმოებს პრობლემები რომ შეუქმნეს, ამას ეკონომისტი ნოდარ ხადურიც ადასტურებს, რომელიც იმ პერიოდში კომპანია „მაგნატის“ აღმასრულებელი დირექტორი იყო.

„მე, როგორც მაკროეკონომისტმა, შე-

მიძღია ამას მაკროეკონომიკური ახსნა მოვუძებნო, ბანკებში მაშინ დაიწყო სერიოზული პროცესები, რომელიც მხოლოდ გააღმავა ომმა, მაგრამ ომს არ გამოუწვევია. ანუ ამ პერიოდში გაძვირდა საკრედიტო რესურსი, ბანკებს აღარ ჰქონდათ საკრედიტო ფული, მაგრაც ჰქონდა ვალი „თიბისი“ ბანკში და „თიბისმ“ დაიწყო სესხების შემცირება, ანუ საბრუნვა სახსრების შემცირება, რამაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა კომპანია. იმიტომ, რომ მას საბრუნვა სახსრების ნაკლებობა გაუჩინდა და ის უკვე ვეღარ ემსახურებოდა მომხმარებელს, ანუ ვერ ყიდულობდა იმ რაოდენობის საწვავს, რომელიც სტირდებოდა მომხმარებელს, რამაც გამოიწვია კომპანიის პრობლემები“, – ამბობს ხადური.

ნავთობის სადისტრიბუციო კორპორაცია „ენ ეს კა“ და მემორანული „თიბისი“-ს მთა

კრიზისის დასაძლევად „თიბისი“ ბანკსა და „მაგნატის“ დამფუძნებელს, ჯემალ ლეონიძეს შორის მოლაპარაკება შედგა და 2009 წლის 27 მარტს მათ შორის მემორანული გაფორმდა. მემორანულის მიხედვით:

შეიქმნა ნავთობის სადისტრიბუციო კორპორაცია, ანუ „ენ ეს კა“, რომელსაც გადაეცემოდა „მაგნატის“ ყველა ავტოგასამართლისადან სადგური, აგრეთვე, „მაგნატის“ წილები სხვადასხვა კომპანიებში. „ენ ეს კა“-ს აქციონერები იყვნენ, როგორც ფიზიკური პირები, ასევე, ბანკებიც. „ენ ეს კა“-ს ყველა აქციონერი



იყო „მაგნატის“ კრედიტორი, შესაბამისად, ახალ კომპანიაში მათ საკუთარი სესხის პროპორციულად მიღებს აქციები და გადაინანილეს „მაგნატის“ ქონება – ზაალ სამხარაძე – 31%; გიორგი ასლანი-კაშვილი („თიბისი“ ბანკის დირექტორის მოადგილე) – 14%-მდე; „თიბისი“ ბანკი – 10%; ბანკი „რესპუბლიკა“ – 10%; გიორგი კიკნაძე – 10%, კობა ბუჩუკური – 24%. ბუჩუკურის 24% იყო „მაგნატის“ დამფუძნებლის ჯემალ ლეონიძის. ასე შემცირდა ლეონიძის ერთ დროს 75%-იანი წილი 24%-მდე.

„ენ ეს კა“-ს საქმიანობით მიღებული მოგება უნდა განაწილებულიყო ორი მიმართულებით: „ენ ეს კა“-ს მფლობელებისთვის, მათ შორის ბანკებისთვის, რადგან კომპანია „მაგნატის“ სწორედ მათგან ჰქონდა აღებული კრედიტი. მოგების მეორე ნაწილი კი, უნდა წასულიყო კორპორაციის საბრუნავი სახსრების შესავაბად.

მას შემდეგ, რაც „ენ ეს კა“ ამუშავდებოდა და „მაგნატის“ კრედიტებს დაფარავდა, წილები კვლავ ჯემალ ლეონიძეს უნდა დაბრუნებოდა. იგი ამბობს, რომ ეს პირობა ერთგვარი სიტყვიერი გარიგება იყო და ამის იურიდიულად გაფორმება ვერ მოესწრო.

ჯემალ ლეონიძე: „ენ ეს კა“-ს უნდა ემუშავა, განვითარებულიყო, მე უნდა დავრჩინოს კვლავ აქციონერად, წილების გადაფორმება ახალ აქციონერებზე მოხდა ჯენტლმენური გარიგებით, უნდა გაფორმებულიყო უკან დაბრუნების ხელშეკრულება, სამხარაძესთანაც, ასლანიკაშვილთანაც, ბუჩუკურთანაც და ყველასთან. მე დამაკავეს და ეს უკან დაბრუნების ხელშეკრულებები ველარმოვასწარით“.

„თიბისი“-სა და „მაგნატის“ შორის გაფორმებულ მემორანდუმში 42 ბენზინგასამართი სადგურის ღირებულება 21 435 000 დოლარად იყო შეფასებული. სხვადასხვა კომპანიაში „მაგნატის“ წილების ფასი კი – 7 190 000 დოლარით განისაზღვრა. ჯამში, მემორანდუმის მიხედვით, კომპანიის ქონების საერთო ღირებულებამ 28. 5 მილიონ დოლარს გადააჭარბა. მემორანდუმს ხელს „თიბისის“ გენერალური დირექტორი ვახტანგ

ჟურნალისტური გამოძიება

ბუცხრივიდე აწერს. მემორანდუმის გაფორმებიდან 5 თვეში, „თიბისი“ ბანკმა 28 მილიონ დოლარზე მეტად შეფასებული ქონება გაცილებით უფრო ნაკლებად, ანუ 18 მილიონ ლარად შეაფასა. 18 მილიონი ლარი დაახლოებით 11 მილიონი დოლარი, ანუ იმ თანაზე ორნახევარჯერ ნაკლებია, რაც მემორანდუმში იყო მითითებული.

ჩენ ვკითხეთ „თიბისი“-ს, თუ რამ გამოიწვია მემორანდუმში შეფასებული ქონების ლამის გამესამედება? ანუ, როგორ ჩამოვიდა 11 მილიონ დოლარზე იმ ქონების ღირებულება, რაც რამდენიმე თვით ადრე 28.5 მილიონი დოლარად იქნა შეფასებული? ამ შეკითხვაზე ბანკმა ხაზისამით მიგვითითა, რომ „მაგნატთან“ გაფორმებული მემორანდუმი არაიურიდიული ძალის მქონეა: „მითითებული ფასები არის მხოლოდ „მაგნატის“ მხარის მიერ მოწოდებული ფასები. ალნიშნული ფასების მითითება მოხდა აქტივების იდენტიფიცირებისთვის და მათზე პირველად შთაბეჭდილების შესაქმნელად“.

ნოდარ ხადური კი აცხადებს, რომ მემორანდუმის გაფორმებამდე „მაგნატის“ ქონება ბანკის აუდიტორებმა დეტალურად შეისწავლეს. „თიბისი“ ბანკის აუდიტორები დადიოდნენ და „მაგნატის“ ყველა ობიექტი მათ შეფასეს. ყველა ობიექტის ფოტო გადაიღოს და შეფასება განხორციელდა მხოლოდ ამის შემდეგ. ის მონაცემები, რომლებიც „მაგნატის“ ქონების ღირებულების შესახებ, მარტის თვეში გაფორმებულ მემორანდუმშია, იყო არა „მაგნატის“ მხრიდან მიწოდებული ინფორმაცია ამ ქონების ღირებულების შესახებ, არამედ იყო ერთობლივად მიწოდებული ინფორმაცია, რასაც ადასტურებდა როგორც „თიბისი“ ბანკი, ისე – კომპანია „მაგნატი“, – ამბობს ხადური.

კიდევ ერთი ხელშეკრულება „თიბისი“-სთან

მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: 2009 წლის 13 აგვისტოს ჯემალ ლეონიძე დააპატიმრეს. ქონების, ანუ ავტოგასამართი სადგურების გადაცემასთან დაკავშირებით პრობლემა შეი-

ქმნა. აღმოჩნდა, რომ 11 ობიექტი სხვა კრედიტორების მიერ გირაოთი იყო დატვირთული და „ენ ეს კა“-სთვის მათი გადაცემა ვერ ხერხდებოდა. ამის გამო „თიბისი“-მ ჯემალ ლეონიძეს ახალი დოკუმენტის გაფორმება მოსთხოვა და 2009 წლის 31 აგვისტოს შეთანხმების პროექტი საპატიმროში გაუგზავნა.

დოკუმენტის მიხედვთ, „თიბისი“ ბანკი ღირების 5 127 000 დოლარის გადახდას და ამით ობიექტების ყადაღებისა გათავისუფლებას სთხოვდა. წინასწარ პატიმრობაში მყოფ ლეონიძეს „თიბისი“ ბანკმა ამისთვის გარევეული დრო მისცა, მას პროკურატურა საპროცესო გარიგებას და ციხიდან გათავისუფლებას ჰპირდებოდა, რის შემდეგაც ის ობიექტების გამოთავისუფლებას აპირებდა. თუმცა, ლეონიძე პროკურატუ-

„მაგნატის“ ისტორია

ბენზინგასამართი სადგურების ქსელი „მაგნატი“ 4 ნავთობპაზას და 42 ავტოგასამართ სადგურს ფლობდა. იგი საქართველოს ბაზრის დიდ ნანილს საწვავით ამარაგებდა. დღეს ეს კომპანია ალარ არსებობს, მისი ქსელი უკვე ბენზინგასამართი სადგურების ქსელ „გალფის“ საკუთრებაა, რომლის მფლობელი ყოფილი მაღალჩინოსანი დავით კეზერავილია. „მაგნატის“ მფლობელი ჯემალ ლეონიძე თვლის, რომ ბიზნესი სახელმწიფომ ბანკების მშვეობით წართვა. მან ბიზნესთან ერთად თავისუფლებაც დაკარგა. საჯარო რეესტრის თანამშრომლებმა, კომპანია „მაგნატის“ მიწა გაყალბებული საბუთებით მიჰყიდეს. ამ ფაქტის გამოძიებისას პროკურატურამ ჯემალ ლეონიძეს თანამონილებაში დასდო ბრალი. ამ საქმეზე ბრალდებული 15 პირიდან პროკურატურამ 13-ს საპროცესო გარიგება გაუფორმა, ორი პირი, რომელთაგან ერთ-ერთი ჯემალ ლეონიძეა, დღემდე ციხეში იმყოფება. ლეონიძეს 10 წლიანი პატიმრობა აქვს მისვილი.

რასთან ვერ გარიგდა და ობიექტები ყადაღისგან ვერ გაათავისუფლა. შესაბამისად, ბანკთან შეთანხმებაც არ შედგა.

ამის შემდეგ „თიბისის“ ბანკმა გადაწყვიტა „ენ ეს კა“-ში ჯემალ ლეონიძეს წილი შეემცირებინა, რაც აქციონერთა კრებას უნდა დაედასტურებინა. იმის გამო, რომ ჯემალ ლეონიძე პატიმრობაში იმყოფებოდა, მისი წილი „ენ ეს კა“-ში კობა ბურუურზე იყო გაფორმებული. კურბაზეც მას კობა ბურუურზე და ადვოკატი როინ მიგრიაული წარმოადგენდნენ.

შეგახსენებთ, რომ ამ დროისათვის ჯემალ ლეონიძეს „ენ ეს კა“-ში მხოლოდ 24%-ლა ჰქონდა დარჩენილი, რადგან აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი კურდიტორებს „ენ ეს კა“ შექმნისთანავე დაუთმო. ჯემალ ლეონიძე უარს აცხადებდა დარჩენილი წილის შემცირებაზე, რადგან თვლიდა, რომ მისი წილის კიდევ უფრო, ანუ 5%-მდე შემცირებით საკუთრების უფლება ელახებოდა.

აქციონერთა კურბა, რომელიც დილის 11 საათზე წყალსადენის ქუჩაზე, „მაგნატის“ ოფიშში დაწყო, მალევე დაიხურა. კურბა საღამოს 8 საათზე მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე „თიბისი“ ბანკის სათავო ოფიშში გაგრძელდა.

ადვოკატი როინ მიგრიაული იხსენებს, რომ ხელშეკრულების ტექსტი და პირობები ბანკის იურისტების მიერ წინასწარ და საგულდაგულოდ იყო შედგენილი. „ბანკის გენერალური დირექტორი ბუცხრივი იყო კატეგორიული, ან ვიღებთ გადაწყვეტილებას ისე, როგორც ჩვენ გვსურს, ანუ უნდა მოხდეს ისე, რომ შეუმცირდეს წილი ბურუურს (ანუ, ლეონიძეს) 5%-მდე, თუ არადა, მაშინ ჩვენ ყველაფერი მიგვაქვს“, – ამბობს როინ მიგრიაული.

საბოლოოდ, ჯემალ ლეონიძემ დათმო. კურბაზე მისი წილი 24%-დან 5%-ზე ჩამოვალდა. დარჩენილი 5%-ც რამდენიმე თვეში ერთ-ერთმა მევალემ წაიღო. ჯემალ ლეონიძე წილის გარეშე დარჩა. თუმცა, მას ჰქონდა იმედი, რომ „ენ ეს კა“ ამუშავდებოდა, მოგებაზე გავიღოდა, კურდიტებს დაფარად. ამის შემდეგ კი იგი ბიზნესს უკან დაიბრუნებდა.

„წილის გადაცემაზე გარკვეული ვადით შევთანხმდით. იყო 3-დან 5 წლამდე ვადა, ამის შემდეგ ეს აქციები ჩემზე უნდა უნდა გადმოსულიყო. ეგ იცის სამხარაძემაც, ბუცხრიკიძემაც, ჯაფარიძემაც და ყველამ“, – ამბობს ლეონიძე.

„თიბისი“ ბანკმა ეს ფაქტიც უარყოდა განაცხადა, რომ „კომპანიას გააჩნდა იმაზე მეტი ვალდებულებები, ვიდრე იგი შეძლებდა მომსახურებას... თუ თეორიულად დაუუშვებთ, რომ კომპანია გაისტუმრებდა ვალებს, ეს იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ მმართველი გუნდის დამსახურება, სადაც ჯემალ ლეონიძეს არანაირი წვლილი არ ექნებოდა შეტანილი. შესაბამისად, „ენ ეს კა“-ს წილის დაბრუნებაც უსაფუძლო მოთხოვნაა“, – წერია ბანკის მიერ ჩვენთვის მოწერილ პასუხებში.

„მაგნატის“ აღმასრულებელი დირექტორი ნოდარ ხადური ჯემალ ლეონიძეს ნათევამს ადასტურებს. „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაციას რამდენიმე წელი უნდა ემუშავა, ხოლო მას შემდეგ, რაც კომპანია მოახერხებდა ვალების დაფარვას, წილები უნდა დაბრუნებოდათ მათ თავდაპირველ მფლობელებს. ანუ, მუშაობის პროცესში წარმოქმნილი მოგება უნდა წასულიყო ვალის მომსახურებაზე, იმის შემდეგ, რაც კომპანია გათავისუფლდებოდა ვალებისაგან, კომპანიის მმართველობას გააგრძელებდა ძველი მენეჯმენტი“, – აცხადებს ხადური.

მონაცემის სანვავის ბაზარზე, ანუ როგორ გაძრა „მაგნატის“ გადარჩენის პოლო იმავე

„ენ ეს კა“-მ მუშაობა დაიწყო. პარტნიორებმა ჯემალ ლეონიძეს ციხეში ასეთი წერილიც კი მისწერეს: „ჯემალ, კომპანია დგება ფეხზე. სექტემბერში გაიყიდა 800 000 ლიტრი ბეზნიზი, ოქტომბერში – 2 900 000 ლიტრი, ნოემბერში ვეარაუდობთ 4 მილიონი ლიტრის გაყიდვას. თავიდან მუშაობდა 12 კალინა. ახლა მუშაობს 26, წლის ბოლომდე ავალთ 34 კალინამდე. ჩვენ ყველანი დამოკიდებულები ვართ კომპანიის კარგ მუშაობაზე. თუ ხელი არავინ შეგვიძლა, იმედია, გავალთ სერიოზულ რეალიზაციაზე“.

კომპანიის წარმატების იმედი ჰქონდა ლეონიძესაც, რომელიც ამბობს, რომ წელიწადში 7-8 მლნ ლიტრი სანვავის გაყიდვის შემთხვევაში, მოგება „ეყოფოდა სესხებსაც, ხარჯსაც და ყველანაირ ვალდებულებას, რაც „მაგნატის“ ჰქონდა“.

ლეონიძის და მისი კომპანიონების ვარაუდი არ გააჩნდებოდა. „ენ ეს კა“-ს ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელსაც ამ საკითხზე ლიად საუბარი არ სურს, აცხადებს, რომ კომპანიის დისტრიბუცია ვერ გაიზარდა, რადგან ბენზინის შეძენის დროს პრობლემები შეექმნათ.

„იმპორტიორებს დაბრკოლებები ექმნებათ იმ თვალსაზრისით, რომ საწვავს უბრალოდ არ შემოატანინებენ ტერიტორიაზე. ვთქვათ, შემოგატანინებს საწვავი, მაგრამ დაგაჯარიმებენ. შეიძლება საბაზო ტერმინალზე დიდხანს ხელოვნურად გაგარებონ. საქონლის დიდხანს გაერება დაკავშირებულია ყოველდღიურად თანხების გადახდასთან, ანუ ხელოვნურად ისეთ ბარიერს შექმნან, რომ შემოტანას აზრი აღარა აქვს. იმპორტი მოგებაზე აღარ იქნება ორიენტირებული, ნამეგებიანი იქნება“, – ამბობს იზორია.

ლევან იზორია აცხადებს, რომ სახე-

■ „თიბისი“ ბანკმა ეს ფაქტიც უარყოდა განაცხადა, რომ

„კომპანიას გააჩნდა იმაზე მეტი ვალდებულებები, ვიდრე იგი

შეძლებდა მომსახურებას... თუ თეორიულად დაუუშვებთ, რომ

კომპანია გაისტუმრებდა ვალებს, ეს იქნებოდა მხოლოდ და

მხოლოდ მმართველი გუნდის დამსახურება, სადაც ჯემალ

ლეონიძეს არანაირი წვლილი არ ექნებოდა შეტანილი.

შესაბამისად, „ენ ეს კა“-ს წილის დაბრუნებაც უსაფუძლო მოთხოვნაა,

– წერია ბანკის მიერ ჩვენთვის მოწერილ პასუხებში.

„ენ ეს კა“-ს ადგილობრივი ნავთობიმპორტიორები, მათ შორის უმსხვილესი იმპორტიორი „სოკარი“ აღარ ასყიდებდა მოთხოვნილი რაოდენობის საწვავს. თავად კომპანიას კი, აზერბაიჯანიდან საწვავი ვეღარ შემოჰქონდა, რადგან ამის უფლებას ხელისუფლება არ აძლევდა.

„თიბისი“ ბანკმა წერილობით პასუხში ეს ფაქტიც უარყო: „ჩვენი ინფორმაციით, კომპანიას საწვავის პრობლემა არ ჰქონია“, – ნათევამის ბანკის მიერ მოწერილ პასუხში.

საწვავის შემოტანის დროს ხელისუფლების მიერ შექმნილ პრობლემებზე სხვადასხვა იმპორტიორისგან ინფორმაცია აქვს პოლიტიკოს ლევან იზორიას. იგი აწ უკვე ბაზრიდან განდევნილი იმპორტიორების ვინაობას არ ამხელს, თუმცა გვიმზელს მათ პრობლემებს.

ლისუფლებო ჩარევის შედეგია ის, რომ საწვავის შემომტანი კომპანიების რაოდენობა 120-დან 5-მდე შემცირდა. მისი აზრით, ეს მაღალი მოგების მიღების მიზნით გაკეთდა, რაც სხვა არაფერია, თუ არა ელიტური კორუფცია.

„შევინირვეს იმპორტიორთა რაოდენობა, განდევნებს რა კონკურენტები, ამით მოახდინებს ბაზრის და ფასების მთლიანად კინგროლი. ბუნებრივია, რასაც დააწესებენ, მომხმარებლები იმ ფასის მსხვერპლი ეხდებით. საწვავის ბაზარზე დარჩენილი რამდენიმე იმპორტიორი როდესაც თავის სურვილით, ან სხვა კომპანიებთან შეთანხმებით, ადგენს არარეალურ ფასს, ეს სხვა არაფერია თუ არა ძარცვა“, – ამბობს ლევან იზორია.

მისი მონაცემებით, არცთუ იშვიათად ყოფილა პერიოდები, როდესაც პრივი-

შურნალისტური გამოძიება

ლეგირებულ სულ რამდენიმე ნავთობიმ-პორტიორს ერთ ლიტრ საწვავზე 50 და 60 თეთრიანი მოგება უნახავს.

„ენ ეს კა“-ს მოგების მარჯა საშუალოდ 10 თეთრს შეადგინდა. როგორც კორპორაციის ერთ-ერთი თანამშრომელი აცხადებს, „ენ ეს კა“-ს ხელმძღვანელიბისთვის ცხადი გახდა, რომ შეზღუდული მოგების მარჯით და შეზღუდული დისტრიბუციით კომპანიას მიმდინარე ხარჯების და კრედიტების დაფარვა გაუჭირდებოდა, რის გამოც კომპანიის გაყიდვა გადაწყვიტება.

2011 წლის 25 თებერვალს ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ „ენ ეს კა“-მ მთელი ქონება შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, ანუ „გალფს“ მიჰყიდა. „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ 2010 წელსაა რეგისტრირებული. მისი 100%-იანი წილის მფლობელი აშშ-ში რეგისტრირებული კომპანია „ენერჯი ინვესტმენტ ვენერ პოლინგია“, რომლის დირექტორიც არის ისრაელის მოქალაქე იანიკ ადამი.

ბაზარზე გამოჩენისათვავე „გალფს“ თავდაცვის ყოფილ მინისტრს დაგით კეზერაშვილს უკავშირებდნენ, რაც მან ინტერნეტგამოცემა „ნეტგაზეთან“ 2011 წლის დეკემბერში თავადაც დაადასტურა. საწვავის ბაზრიდან გაუჩინარებული ბენზინგასამართი ქსელები „სენტა“ და „ეკოუ“ ამჟამად კეზერაშვილის კომპანიის საკუთრებაა, რის გამოც „გალფს“ დღეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქსელის პატრონია.

„გალფს“ „ენ ეს კა“-მ საკუთარი ქონება, რომელიც 2009 წელს 28.5 მილიონ დოლარად იყო შეფასებული, 13 635 000 დოლარად მიჰყიდა. აქ შედიოდა 41 ავტოგასამართი სადგური, რესტორანი და კომპანიის წილები სხვადასხვა სანარმოში. ჯემალ ლეონიძეს ამ გარიგებიდან არაფერი შეხვდა, რადგან ამ დროისათვის „ენ ეს კა“-ში მისი წილი უკვე ნული იყო. აქციებთან ერთად მან ბიზნესის უკან დაბრუნების შესაძლებლაც საბოლოოდ დაკარგა.

საცვავის პიზენისილან
საპატიმრომდე

როგორ მოხვდა ჯემალ ლეონიძე ციხეში? – და აქვს თუ არა კავშირი ამ სა-

ქმეს ბიზნესის დაკარგვასთან?

2008 წელს „მაგნატის“ ხელმძღვანელობამ ავტოგასამართი სადგურებისთვის მინების შესყიდვა დაიწყო. ჯემალ ლეონიძემ „მაგნატის“ დირექტორს მალხაზ ბაბლიძეს ნაკვეთების გამოსყიდვა დაავალა. პროკურატურის ურადება „მაგნატის“ მიერ შეძენილმა 4-მა მინის ნაკვეთმა მიიქცია. ორი მათგანი „მაგნატის“ ბენზინგასამართი სადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა და მას, ფაქტობრივად, „მაგნატი“ იყენებდა. კერძოდ ეს ნაკვეთები მდებარეობდა აღმაშენებლის მე-9 კმ-ზე, ავტოგასამართი სადგურის გვერდით, წყლისადენის ქუჩაზე (რომელიც ასევე მაგნატის ნავთობბაზის მოსაზღვრე ნაკვეთი იყო), ცაბაძის ქუჩაზე (რესტორან „გვირილას“ მიმდებარედ, რომელსაც ასევე „მაგნატი“ ფლობდა), მეოთხე ნაკვეთი კი, განცალკევებით, მეტროსადგურ „300 არაგველთან“ მდებარეობდა.

„მაგნატის“ დირექტორი ბაბლიძე თავის ქვისლას, ლაშა დვალიშვილს დაუკავშირდა, დვალიშვილი კი თავის ნაცნობს – საჯარო რესტორის ყოფილ თანამშრმელს ალექსანდრე ძამაშვილს, ძამაშვილი და დვალიშვილი შუამავლები იყენენ სახელმწიფო მოხელეებთან – საჯარო რესტორის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსს ჭარხალაშვილსა და მის მეგობარ კაცაძესთან, რომელიც არქიტექტურის სამსახურში მუშაობდა და ნაკვეთების ნახაზების დაგდენა ევალებოდა.

ეს ჯაჭვი სხვანაირად ასე გამოიყენება:

შემსყიდველი („მაგნატი“-ს დირექტორი ბაბლიძე) შუამავლები: (დვალიშვილი და ძამაშვილი) გამყიდველი მესამე პირები.

ე.წ. „მესამე პირები“, რომელთაგანაც „მაგნატმა“ მინის ნაკვეთები შეისყიდა, მინის ფიქტური, არარეალური მფლობელები აღმოჩნდნენ. სწორედ მათზე მინების უკანონო გადაფორმებაა ის დანამაული, რის გამოც დღეს საჯარო რესტორის თანამშრომელებთან ერთად, ეს დასახელებული ოთხივე მინის ნაკვეთი და როგორ უნდა გადასულიყო კომპანიის საკუთრებაში.

დვალიშვილი თაღლითური სქემის კიდევ სამ სხვადასხვა გარიგებაში მონაწილეობდა. ჯემალ ლეონიძე აბბობს, რომ დვალიშვილმა მას საკუთარი თავისუფლების სანაცვლოდ დაადო ხელი, თითქოს ლეონიძემ წინასწარ იცოდა დოკუმენტების გაყალბების შესახებ.

ცაძემ და ჭარხალაშვილმა ყალბი დადგენილებების და გეგმის საფუძველზე ნაკვეთები ჯერ სხვა მოქალაქებზე, ანუ მესამე პირებზე დაარეგისტრირეს. თუმცა, იცოდა კი ჯემალ ლეონიძემ, რომ ადამიანები, ვისგანაც „მაგნატმა“ მინები შეისყიდა, არ იყვნენ ამ ნაკვეთების რეალური მფლობელები?

ჯემალ ლეონიძე აცხადებს, რომ ამონანერები, ანუ ოთხივე მინის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი „მაგნატის“ დირექტორს ბაბლიძეს წარუდგინეს, რომელმაც იურისტის მეშვეობით გადაამონმა, საეჭვო ცერაფერი ნახა და ნაკვეთები შეისყიდა. პროკურატურა კი თვლიდა, რომ ჯემალ ლეონიძემ გაყალბების შესახებ იცოდა და ისიც დანამაულის თანამონაწილე იყო. პროკურორი შუამავალ დვალიშვილის ჩვენებას ეყრდნობოდა. სასამართლო ოქმში შემორჩენილია დვალიშვილის ჩვენებას: „მალხაზ ბაბლიძე ათანხმებდა ყველაფერს ხელმძღვანელთან, ხელმძღვანელი არის ჯემალ ლეონიძე ფირმის დამფუძნებელი“.

ლეონიძის ადვოკატი ზურაბ თოდუა: „ერთადერთი მტკიცებულება, რასაც მტკიცებულება მართლა ჰქვია, კლასიკური გაგებით, ეს არის მოწმე დვალიშვილის ჩვენება. სხვა მტკიცებულებები ფაქტობრივად შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს. დვალიშვილის ჩვენებით, თურმე, ჯემალ ლეონიძე წინასწარ იყო შეტყობინებული, ცნობილი იყო მისთვის, თუ როგორ უნდა გაეყალებოდინა დვალიშვილს საჯარო რესტორის თანამშრომელებთან ერთად, ეს დასახელებული ოთხივე მინის ნაკვეთი და როგორ უნდა გადასულიყო კომპანიის საკუთრებაში.

დვალიშვილი თაღლითური სქემის კიდევ სამ სხვადასხვა გარიგებაში მონაწილეობდა. ჯემალ ლეონიძე აბბობს, რომ დვალიშვილმა მას საკუთარი თავისუფლების სანაცვლოდ დაადო ხელი, თითქოს ლეონიძემ წინასწარ იცოდა დოკუმენტების გაყალბების შესახებ.

სასამართლოზე ჯემალ ლეონიძემ არაერთხელ აღნიშნა, რომ ნაკვეთები, რომლის მისაკუთრებაშიც მას ადანა-

შპულებდნენ, მან კი არ მიისაკუთრა, არამედ იყიდა. ზოგში ათობით ათასი ლარი, ზოგში კი, ასობით ათასი ლარი გადაიხადა, რაც დასტურდებოდა კიდეც ქვითრებით.

„მე ამ მიწებზე ვიხდიდი თანხას არა უკანონოს, არამედ კანონიერს, როცა მე ვიკითხე ერთ-ერთ ნაკვეთან დაკავშირებით, ლაშა დვალიშვილისაგან მივიღე პასუხი, რომ ამ მიწამ გაიარა კომისია და ამ მიწის კანონიერებაში არაფერი არ არის საეჭვო – ვიცოდო, რომ დვალიშვილს უნდა მოეპივებინა საკუთრების უფლება ჩემი და ჩემი კომპანიების სასარგებლოდ... 290 ათასი ლარი და 170 000 დოლარი მაქვს გადახდილი ავლაბრის მიწის შესაძენად, და კიდევ უნდა გადამეხად 500 000 ლარი. წერილობით მივმართე მერიას მას შემდეგ, როცა გაირკვა ამ მიწების უკანონობა, და მერიიდან მოვიდა დასტური, რომ ამ მიწის ფასი 800-900 ათასი ლარი იყო, მე კი ვიხდიდი მილიონს.“

სასამართლო სხდომის ოქმების მიხედვით იკვეთება, რომ მიწის ნაკვეთების „მაგნატის“ მიერ სოლიდურ ფასად შექნა ჯემალ ლეონიძეს ლაშა დვალიშვილმაც დაუდასტურა: „მეტროსადგურ „300 არაგველთან“ 5 500 კვ. მ მიწაში, მე ვიცი მალხაზისგან, რომ, თუ არ ვცდები, 700 ათასი ლარი უნდა გადაგეხადა, ხოლო დანარჩენი ვისთან, როგორ რანაირად, მე არ ვიცი. მე თანხები არ მახსოვს ზუსტად, მაგრამ დაახლოებით ასე იყო, ვადასტურებ რომ წყალსადენის ქუჩა ნომერ 9 თუ 11-ში გადაიხადე 25 ათასი ლარი, დავით ალმაშენებლის ხეივანში – 20 000 ლარი, რესტორან „გვირილას“ მიმდებარე ტერიტორიაზე 150 000 ლარი“.

ლეონიძის 4 მიწის ნაკვეთი სისხლის სამართლის საქმის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო. საქმეში ფიგურირებდა სხვა მიწის ნაკვეთებიც, რომელთანაც „მაგნატს“ საერთო არაფერი ჰქონდა. მაგალითად, ყაზბეგის 34, სადაც მოქალაქე გზით გოგონეს საკუთრებაში მიწა ისევ დვალიშვილი-ძამაშვილი-კაცაძე-ჭარხალაშვილის ჯგუფმა დაურეგისტრირა. შემდეგი ნაკვეთი იყო ბელიაშვილის ქუჩაზე, სადაც სხვა მოქალაქები –

კოტე დავლაძე და დევი კინწურაშვილი ისევ კაცაძეს და ზაზა ჭარხალაშვილს დაუკავშირდნენ. ამ ჯგუფის მიერ დარეგისტრირებული კიდევ ერთი ნაკვეთი ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზე, სასაფლაოს მიმდებარე იყო განთავსებული. მისი დაკანონება 7 პიროვნებას უნდოდა, ისინიც კაცაძეს და ჭარხალაშვილს დაუკავშირდნენ და პრობლემა ასე გადაჭრეს.

იგვე ჯგუფი კიდევ რამდენიმე ნაკვეთან დაკავშირებულ დოკუმენტაციის გაყალბებაში ფიგურირებდა.

საქალაქო სასამართლოს გადწყვეტილებით, 16 განსასჯელიდან 13 მსჯავრდებული საპროცესო შეთანხმებებით

„გვირილა“ თბილისში და „მწვანე კონცხი“ მცხოვრისში.

ლეონიძის ადგომი ზურაბ თოლდუა ამბობს, რომ მილიონ ნახევრიანი სესხის სანაცვლოდ ბანკმა „რესპუბლიკმ“ „მაგნატის“ 3 მილიონიანი ქონება წაიღი.

„ლეონიძის დაკავების შემდეგ დაახლოებით 6 დღეში „მაგნატსა“ და ბანკ „რესპუბლიკას“ შორის ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ბანკი მილიონ 200 ათას დოლარად ყიდულობს რესტორან „მწვანე კონცხს“. კიდევ 3 დღეში 21 აგვისტოს, ლეონიძე უკვე დაკავებულია, ყიდულობს რესტორან „გვირილას“ 1 მილიონ 256 ათას ამერიკულ დოლარად. ამავდროულად

■ სასამართლოზე ჯემალ ლეონიძემ არაერთხელ აღნიშნა, რომ ნაკვეთები, რომლის მისაკუთრებაშიც მას ადანაშაულებდნენ, მან კი არ მიისაკუთრა, არამედ იყიდა. ზოგში ათობით ათასი ლარი, გადაიხადა, რაც დასტურდებოდა კიდეც ქვითრებით.

გაათავისუფლეს. სასჯელს მხოლოდ 3 ინდის, მათ შორის ყველაზე დიდი ვადა – 10 წელი და 6 თვე – ჯემალ ლეონიძეს ერგო. მას საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების გაყალბებაში არავინ დებს ბრალს. უხესვად რომ ვთქვათ, პროკურატურამ ლეონიძეს მხოლოდ იმაში ნარუდგინა ბრალი, რომ მან, ვითომდა, იცოდა, რომ „მაგნატის“ მიერ შესყიდული 4 მიწის ნაკვეთის მფლობელები მიწის ნაკვეთებს გაყალბებული საბუთების საფუძველზე, ფიქტიურად, ფლობდნენ.

დაპატიმრების შემდეგ ჯემალ ლეონიძემ ბიზნესში ნილი საბოლოოდ დაკარგა. ციხეში მყოფს არანაირი შემოსავალი აღარ ჰქონდა და ვალების გადახდა საკუთარი ქონებით უნდევდა. ამ ჰერიოდში იძულებითი აუქციონის წესით გაიყიდა და მისი საცხოვრებელი სახლი მცხოვრის ბანკი იყო ერთი მევალე „რესპუბლიკას“ ბანკი იყო, რომელმაც ლეონიძის დარჩენილი ქონება – ორი რესტორანი მიიღო:

ბანკი „რესპუბლიკა“ ლებულობს „ენ ეს კა-ში, 10%-ს რომლის ნომინალური ლირებულება 3 მილიონი დოლარია. ასევე, დადგენილია, თუ რამდენი ჰქონდა „მაგნატს“ ბანკ „რესპუბლიკის“ ვალი, ეს არის 1 მილიონ 942 ათასი ლარი. ელემენტარული არითმეტიკით, ვალი გასტუმრებული უნდა ყოფილიყო და პლუს ამას ბანკ „რესპუბლიკას“ უნდა გადაეხადა „მაგნატისოვას“ 1 მილიონ 700 ათასი ლარი. რაც არ არის გადახდილი“, – ამბობს ზურაბ თოლდუა.

ჯემალ ლეონიძე და მისი ადგომატი, ბანკ „რესპუბლიკის“ წინააღმდეგ პროკურატურაში ჩივიან. საჩივართან დაკავშირებით, ჩვენ ბანკ „რესპუბლიკას“ ინტერვიუ ვთხოვეთ, თუმცა კომენტარზე უარი მივიღეთ.

ჯემალ ლეონიძემ დაკარგა საწვავის ბიზნესი, რესტორანების ბიზნესი, საცხოვრებელი სახლი მცხოვრისაში და თავისუფლება. დღეს მას თავისუფლების 10 წლიან აღკვეთა აქვს მისჯილი. ■



ფოტო ლევან გრიშაძე

ბერძნის „რუსთავი 2“-ისათვის

„ლიბერალი“
დავით დვალის და ჯარჯი აქიმიძეს ესაუბრა.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლები და ყოფილი მფლობელები – დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე „რუსთავი 2“-ის 60%-იანი წილის სასამართლოს გზით დაბრუნებისთვის სამართლებრივ ბრძოლას იწყებენ. „ჩვენი ამოცანაა განხორციელდეს ჯერ კიდევ 2004 წელს დასახული ტრანსფორმაცია – „რუსთავი 2“ გადაიქცეს სივრცედ, სადაც კამათი, მსჯელობა, ახალი იდეები ხელს შეუწყობს სამოქალაქო, დემოკრატიული საზოგადოების გაძლიერებას“, – ალნიშნულია დამფუძნებელთა მიმართვაში. დვალი და აქიმიძე, ადვოკატებთან ერთად, სასამართლოში წარსადგენად სარჩელს ამზადებენ.

როგორ დაკარგეთ „რუსთავი 2“, რით დაიწყო ეს აბავი?

დავით დვალი: 2004 წლის თებერვალში, ვიდრე წილებს გავასხვისებდით, ჩემი და ჯარჯის ინიციატივა იყო, მოგვიანებით ეროსიც (კინძმარიშვილი, მესამე პარტიის რიგი - ავტ.) შემოგვიერთდა, რომ „რუსთავი 2“ არაოფიციალურ საზოგადოებრივ მაუწყებლად გადაქცეულიყო. გვინდოდა, რომ ამ ტელევიზიას, საზოგადოების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა, ყოფილიყო „პორდი“, სადაც ცნობილი და ავტორიტეტული ადამიანები შევიდოდნენ. შეიძლებოდა თანამშრომლებისთვის წილებიც დაგვერიგებინა. გვინდოდა, „რუსთავი 2“ გადაქცეულიყო იმ არხად, რომელიც არც მთავრობის იდენტის პროპაგანდას მოემსახურებოდა და არც - ოპოზიციისას, იქნებოდა საზოგადოებრივი ფუნქციების შემსრულებელი. ამას ვპირებდით და ეს დღემდე ჩვენს აუსაულებელ ოცნებად რჩება.

ჯარჯი აქიმიძე: ფაქტობრივად, ჩვენ უნდა დაგვეშალა ტანკი და გაგვეაუთებინა ტრაქტორი. ტრაქტორი, რომელიც მოხსნავდა, დათესდა, საქმეს გააკეთებდა და თოვის აღარ ისროდა. თოქოს ყველამ აიტაცა ეს იდეა, მაგრამ საბოლოოდ ეს ვერ განხორციელდა.

ვისთომ საუბრობდით ამ იდეას განხორციელებაზე?

დავით დვალი: შეგნით ყველა პარტიონმა გაიზიარა ეს ინიციატივა, ყველა ფირმობდა, რომ სწორი ნაბიჯი იქნებოდა. ამ წინადაღებით წავიდა ეროსი უკეთ პრეზიდენტ საკავშირთან. ისიც თითქოს ენთუზიაზმით შეხვდა ამ ყველაფერს და დახმარებას დაგვიირდა. უბრალოდ, როგორც გაირკვა, მათი ჩანაფიქრი ჩვენი გეგმისგან განსხვავდებოდა. მათ თავიდანვე მკაფიოდ ჩამოყალიბებული ამოცანა ჰქონდათ, რომ ეს ტელევიზია კონტროლებებს აეყვანათ. მაგრამ რადგან ინიციატივებით გამოვედით, გადაწყვიტეს, ვითომ ხელი შეეწყოთ ჩვენთვის, სინამდვილეში კი ჩვენი ჩამოშორება ჩვენივე ხელით უწოდდათ. დღევანდელი გადასახედიდან ვხვდები, რომ ეს პირველი ეტაპი იყო და რეალურად, „რუსთავი 2“ ვერც ვერასდროს მივიღოდა საზოგადოებრივ მაუწყებლამდე. ეს ტელევი-

ზის ხელში ჩაგდების გამარტივებული გზა იყო, გზა, როგორ გადაექციათ ტელევიზია იმავე, რადაც აქციებს.

ჯარჯი აქიმიძე: მას შემდეგ, რაც მოლაპარაკები საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის შესახებ ჩაიშალა, ხელისუფლებამ სათადარიგო გეგმა აამოქმდა. თუმცა, მანამდე ჩვენს შორისაც დაიძაბა ურთიერთობა.

დავით დვალი: ურთიერთობები იდეალური კარგა ხანია აღარ იყო. რევოლუციის შემდეგ ჩვენმა პარტიონმა კინძმარიშვილმა პირდაპირ გამოაცხადა, რომ ხელისუფლებისთვის დრო უნდა მიგვეცა, რაღაცე-

■ ისეთი განცდა გვქონდა,

რომ სისტემის პირისპირ

მარტო დავრჩით. საბოლოოდ

გადავწყვიტეთ, რომ ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა
და სულ ყველაფერის გარეშე დარჩინას, დათანხმება
ვარჩით. თანაც, ამ ხალხისა-
გან რა იყო მოსალოდნელი,
აღარ ვიცოდით.

ნომინალურად ვიყავი წარმოდგენილი.

როგორი იყო ამ დროისათვის მფლობელებს შორის წილების განაწილება?

დავით დვალი: ამ დროისათვის მე, ჯარჯისა და ეროსის 30-30 % გვქონდა. 10 %-ს ნიკა ტაბატაძე ფლობდა. მისთვის ამ წილის გადაცემა ჩვენივე სურვილით, 2001 წელს მოხდა, როცა ნიკა არხის დირექტორად დავითიშვილი.

როგორ განვითარდა ამის შემდეგ მოვლენები?

დავით დვალი: მასის ბოლოს დაგვიძახეს მაღალიჩნოსნებმა, რომელთა გვარებსაც ახლა არ ვასახელებთ. სანამ სასამართლო პროცესი არ დაწყება, გვირჩევნა ინფორმაციის ნაწილი არ გავასჯაროთ. შეხვედრას მე, ჯარჯი, ხელისუფლების წარმომადგენლები და შეამავალი ესწრებოდა.

ჯარჯი აქიმიძე: მათ პირდაპირ გვითხრეს, ჩვენ გვჭირდება „რუსთავი 2“-ი. შემოგვთავაზეს, რომ მიგვეყიდა მათთვის წილები. უნდა გაყიდულიყო ჩემი და დათოს წილები. ეროსი კი თავის ადგილას დარჩენილიყო. არ ვიცით, შემდეგ რა სქემამ იმუშავა, ეროსიმ და ნიკამ როგორ გაყიდეს წილები. თუმცა, ჩვენ პირდაპირ ასე მოგვითხვეს.

დავით დვალი: ძალიან მკაფიოდ და კატეგორიული უარი ვუთხარით. ამის შემდეგ დაიწყო ჩვენზე ზენოლა. დაიწყო თვალთვალი, მოსმენა. თანაც არა ფარული, არამედ პირდაპირი სამანქანო თვალთვალი. ამას მაჟისმალურად ლია ფორმით აკეთებდნენ. ეს გაფრთხოლება იყო, გვაჩვენებდნენ, რომ გვამონტროლებდნენ. სადაც უნდა წაგულიყოვათ, უკან ორი მანქანა დაგყებოდნენ, რომლებიც სავსე იყო შავიორმიანი ადამიანებით.

ჯარჯი აქიმიძე: როცა ამის ატანა ვეღარ შევეძლით და უკეთ ხმამალლა გამოვხატეთ, შემოგვითვალეს, აპა, რა გეგონათ, როცა უარს გვებნებოდით.

დავით დვალი: პირდაპირ გვითვლიდნენ, დაფიქრდით და ჭკუაზე მოდითო. უნდა გცოლდნოდათ, რომ უარი ასე არ ჩაგვლიდათო. ასეთ სტრუსულ სიტუაციაში ყოფნა უკეთ წარმოუდგენელი იყო. მანამდე ვერც ვხვდებოდით, რასთან და ვისთან გვერდა

საქმე ან როგორ უნდა მოვქცეულიყოთ. თუმცა, ჩვენს პოზიციას მაინც არ ვცვლი-დით. მე და ჯარჯი ხელისუფლების პირის-პირ აღმოჩნდით. ხშირად განვიხილავდით, რა შეძლებოდა ექნათ, როგორ შეძლე-ბოდა წასულიყო საქმე. იყო ერთადერთი რეალური სქემა, არხის გაკოტრების საქ-მის დაწყება, ამ სქემით, უკვე ყველანაირ უფლებას კარგავ, ველარაფერს აკეთებ, მთლიანად ახალ მმართველ ჯგუფზე ხარ დამოკიდებული, რომელიც არ იცი, რას იზამს.

პროცედურულად, გაკოტრების საქმის დაწყება მხოლოდ სანარმოს დირექტორს შეუძლია. მთავარი შეცდომა სწორედ მა-შინ დაუშვით: მიგვაჩნდა, რომ ამ ნაბიჯზე ერთი არ წავიდოდა და ვერც წაიყანდენ. 10 წლის განმავლობაში ერთად ვშ-რომობდით, ვწვალობდით. ეროვნი მაინც ხომ ყველაზე უკეთ იცოდა, რა წვლილი მიგვიძლოდა „რუსთავი 2“-ის შექმნასა და ჩამოყალიბებაში.

ჯარჯი აქიმიძე: სასამართლოში გაკო-ტრების შესახებ განაცხადი 2004 წლის 8 ივნისს შევიდა. 11 ივნისს გაკოტრების პროცესი ოფიციალურად გამოცხადდა, 25-ში კი საბოლოოდ დასრულდა. სწორედ 11-25 ივნისის პერიოდში მოგვინია ჩვენი წილის გასხვისება. „რუსთავი 2“-ს ჰქონდა ჩვეულებრივი მიმდნარე სესხები, რომლის გარანტორიც „ჯორჯიან ონლაინი“ იყო. საფრთხე ემუქრებოდა ამ კომპანიასაც.

დავით დვალი: ეს ჩვეულებრივი კრედი-ტები იყო, ის ვერ გახდებოდა გაკოტრე-ბის მექანიზმის ასამუშავებლად საკმარი-სი საფუძველი. ეს სესხები სპეციალურად მედიასაშუალებებისთვისაა განკუთხილი, გრძელვადანია. ჩვეულებრივ, გრაფიკის მიხედვით ვფარავდით ამ სესხს. უძრა-ლოდ, სესხის გარანტორი „ჯორჯიან ონ-ლაინ“ და ჩვენი პირადი ქონება იყო. რადგან „რუსთავი 2“ გაკოტრების რეზი-მში იყო, კომპანიის სესხების გასტურება „ჯორჯიან ონლაინის“ მოუწევდა.

არჩევნის წინაშე დავდექით: ან ყველა-ფერს ვეარგავდით, ან „ჯორჯიან ონლაი-ნის“ შენარჩუნება მაინც შეგვეძლო.

ჯარჯი აქიმიძე: შიდა განხილვილებამ ცალკე დაგასვა დაღი. ეს პირველი შე-მთხვევა იყო, როცა სახელმწიფო მანქანას ასე შევეჯახეთ. ამ დროს საზოგადოების-

თვის მიმართვაც წარმოუდგენელი იყო. ეს ის პერიოდია, როცა ვერავინ დაიჯერებდა, რომ ასეთი რამე მართვა ხდებოდა. აქმის რევოლუცია ასალი მომხდარი იყო, საზო-გადოება – აღტკინებული. ხელისუფლებაც საქმიად მძლავრი იყო, ყველაფერს სრუ-ლად აკონტროლებდნენ. ასე გამოსვლა და ყვირილი, რომ ვილაც გვაცნოვებდა, წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა.

ისეთი განცდა გვქონდა, რომ სისტემის პირისპირ მარტო დაერჩით. საბოლოოდ გადავწყვიტეთ, რომ ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა და სულ ყველაფრის გარეშე დარ-ჩენას, დათანხმება ვარჩიეთ. თანაც, ამ ხალხისგან რა იყო მოსალოდნელი, აღარ ვიცოდთ.

რა პირობებით გასხვისეთ წილები?

დავით დვალი: ჩვენ ჯერ არ ვამარტოებთ ციფრებს და პირობებს, ეს ყველაფერი სა-სამართლოში გახდება ცნობილი. თუმცა, საუბარი იყო სიმბოლურ თანხაზე.

ჯარჯი აქიმიძე: ერთი, რაც კატეგორიუ-ლად მოეციხოვეთ, იყო, რომ ჩამოშორე-ბოდნენ „ჯორჯიან ონლაინს“, ეს პირობა შეასრულეს. გარანტორიბიდან მოხსნეს „ჯორჯიან ონლაინი“. ამ კომპანიაში მისგან უკვე ამ კომპანიის წილი გა-მოვისყიდეთ და ჩვენ სამნი დავრჩით.

„ჯორჯია ონლაინში“ როგორ ნაწილდე-ბოდა თქვენი წილები?

დავით დვალი: 25-25% გვქონდა, მე, ჯარჯის და ეროვნის, და კიდევ ერთ პარ-ტნიორს. ეროვნის ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ მისგან უკვე ამ კომპანიის წილი გა-მოვისყიდეთ და ჩვენ სამნი დავრჩით.

როგორ მოხდა უშუალოდ წილის გასხვი-სება?

ჯარჯი აქიმიძე: 18 ივნისს წოტარიუს გინტურის ოფისში მივედით და იქ და-გვხვდა ქიბარ ხალვაში, რომელიც მაშინ პირველად ვნახეთ. მას მანამდე არანაირი მონაწილეობა არ მიუღია მოლაპარაკებე-ში. გვითხრა, მეც თქვენსავით გაუგებრო-ბაში ვარ მოხვედრილი, მითხრეს და უნდა გავაკეთოთ. მოვაწერეთ ხელი ხელშეკრუ-ლებას, რომელიც, ფაქტობრივად, არც წა-ვიკითხავს.

დავით დვალი: 25-ში გაკოტრება და-მთავრდა. ამის მერე გაგიგეთ, რომ თურ-მე ეროვნის თავისი წილი გაასხვისა, მანაც

ქიბარზე. არ ვიცი, რა პირობით, ფაქტია, რომ ამ გაკოტრების შემდეგ ცოტა ხანში, დაახლოებით ორ კვირაში, ეროვნიმაც დათ-მო წილი, როგორ მოხდა, არ ვიცით. სა-ბოლოოდ, ნიკა ტბაბატაძის 10 %-იც ქიბარ ხალვაშის მფლობელობაში გადავიდა.

ჩვენი შემთხვევა მფლობელებისთვის კომპანიის ჩამორთმევის კლასიური ნი-მუში იყო, გაკოტრების დაწყება, იძულება – ან ყველაფერს კარგავ, ან თმობ. რამ-დენიმე დღეში აღმოჩნდა, რომ თურმე „რუსთავი 2“ აღარც ვალები აქვს არც გაკოტრების პირასაა და 25-ში მთლიანად დასრულდა პროცესი.

ახლა რა პროცესი მიღის „რუსთავი 2“-ის წილების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით და თქვენ რას გეგმავთ?

დავით დვალი: ჩვენ ვიბრძივით ჩვენი საკონტროლო 60%-ის დასაბრუნებლად, რომელიც ვთვლით, რომ უსამართლოდ წაგართვეს. მოგვიანებით, წილები იმდენ-ჯერ გადაიყიდა, რომ გზა-კვალი აირია. თუმცა, ეს სხვა პრიცესი უფრო იყო, ან მკაფიო გეგმა არ არსებობდა, ან ვიღაც თავის ინტერესებს უფრო წინ აყენებდა, ვიდრე გუნდისას.

ის, რომ კეზერაშვილმა რამდენიმე დღე-ში გაყიდა „რუსთავი 2“-ის წილები, მეტწი-ლად თანამშრომლების დამსახურებაა. მათ კოლექტიურად გააპროტესტეს კუზერაშ-ვილის იქ ყოფნა და მგონი, ნანილობრივ ამ ფაქტორმა მისგან უკვე ამ კომპანიის წილი გა-მოვისყიდეთ და ჩვენ სამნი დავრჩით.

რა ეტაპზეა სარჩელი, რომელსაც თქვენ ამზადებთ?

დავით დვალი: ძალიან ინტენსიურად ვმუშაობთ, ტაქტიკუაზე, სტრატეგიაზე, სა-ბუთებს ვაგროვებთ, მაგრამ დაზუსტებით ვერ ვამბობთ, როდის დაბრუნებით. გვევა-თხებიან, აქამდე სად იყავითოთ.

არჩევნიბით ხელისუფლების შეველა ეპოქური მოვლენა იყო. გზა გაგვეხსნა იმისთვის, რომ სამართალი ვეძიოთ. აქა-მდე ამის ნულოვანი შენსი იყო, ბრძოლა უპერსპექტივო იქნებოდა. ახლა კი ძალიან იპტიმისტურად ვართ განწყობილი. იმედი გვაქვს, რომ სამართალს მივაღევთ. ჩემი და ჯარჯის ათწლიანი იქ ცხოვრების, მუ-

შპობის, ოფლისა და სისხლისლერის შედეგს დავიძნებთ.

რა გვამოძრავებს? მინდა უსამართლობის განცდის მოსამორებლად ყველაფერი გავაკეთოთ. თანაც, ხინჯად მაქს დარჩენილი, იმ იდეების განხორციელება გვინდა, რაც მაშინ გვერდა – „რუსთავი 2“-ის საზოგადოების სამსახურში ჩაყენება, ჯანსაღი, თავისუფალი ტელევიზია რომელიც იქნება ყველასთვის ღია და პროპაგანდის მანქანად არ იქცევა.

ჯარჯი აქმიძე: ახალი „რუსთავი 2“ უნდა იყოს ტრიბუნა სამოქალაქო საზოგადოებისთვის. სამოქალაქო საზოგადოება უკვე ძალიან ძლიერია. ამიტომ სწორედ ახლა არის შანსი, საზოგადოების დაკვეთით მოქმედი მედია ამოქმედდეს და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას უშეუწყოს ხელი. თუ ტელევიზიას დავიძრუნებთ, ეს უკვე იქნება პრეცედენტი. მერე შეიძლება სხვა მედიაც ჩამოშორდეს პოლიტიკურ პროცესებს.

რამდენად არის შანსი იმისა, რომ თუ „რუსთავი 2“ თქვენს მფლობელობაში დაბრუნდება, რეალურ დამოუკიდებლობას მოიპოვებს? რამდენად არსებობს ამის საპაზრო პირობები?

დავით დვალი: ამ იდეების განხორციელებას სჭირდება სახელმწიფო ნებაც. მგონია, რომ ჯერვერობით ეს ნება ჩანს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ტელევიზია ჩვეულებრივი ბიზნესი გახდეს, თორემ სხვაგარად, მედია ყოველთვის დარჩება პოლიტიკური ინტერესების სფეროში. სახელმწიფოს ამოცანაცაა, ამისათვის სწორი პირობები შექმნას.

„რუსთავი 2“-ის ბიუჯეტი, 2004 წლისთვის, დაახლოებით 10-ჯერ იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე ახლაა. მაგრამ ბიზნესი, ასე თუ ისე, მაინც მომგებიანი იყო. გაკოტრების პრობლემა ნამდვილად არ ჰქონდა, მყარად იდგა ფეხზე.

შემდეგ გაჩნდა პრობლემები, შევარდნაქმდი რამდენიმე ფლანგიდან შემოგვიტია, მერე გაჩნდა ბადრის „იმდე“, საშინალად აინია ფასებმა. იმ პრინციპის გამო, რომ რაღაცები არ დაგვეთმო, არარეალურ ფასებს ვიხდიდთ.

2000-იანი წლებიდან დაწყებულმა წერება

ხელისუფლებისგან, შემოვარდნებმა, უურნალისტების მკვლელობებმა პოლიტიკურ თამაში მხარედ გვაქცა, რაც დამდებულია მედიისთვის.

დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ბიზნესს შვებას მოუტანს, სასიკეთო იქნება მედიისთვისაც. სარეკლამო ბაზარიც მუდმივად იზრდება. ამჟამადაც 3-4 ტელევიზიას თავისუფლად შეუძლია არსებობა. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომ მოხ-

■ ახალი „რუსთავი 2“ უნდა იყოს ტრიბუნა სამოქალაქო საზოგადოებისთვის. სამოქალაქო საზოგადოება უკვე ძალიან ძლიერია. ამიტომ სწორედ ახლა არის შანსი, საზოგადოების დაკვეთით მოქმედი მედია ამოქმედდეს და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას უშეუწყოს ხელი. თუ ტელევიზიას დავიძრუნებთ, ეს უკვე იქნება პრეცედენტი. მერე შეიძლება სხვა მედიაც ჩამოშორდეს პოლიტიკურ პროცესებს.

რამდენად არის შანსი იმისა, რომ თუ „რუსთავი 2“ თქვენს მფლობელობაში დაბრუნდება, რეალურ დამოუკიდებლობას მოიპოვებს? რამდენად არსებობს ამის საპაზრო პირობები?

დავით დვალი: ამ იდეების განხორციელებას სჭირდება სახელმწიფო ნებაც. მგონია, რომ ჯერვერობით ეს ნება ჩანს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ტელევიზია ჩვეულებრივი ბიზნესი გახდეს, თორემ სხვაგარად, მედია ყოველთვის დარჩება პოლიტიკური ინტერესების სფეროში. სახელმწიფოს ამოცანაცაა, ამისათვის სწორი პირობები შექმნას.

დეს იმ ფინანსების დეპოლიტიზირება, რომელიც ელექტრონულ მედიაში მიედინება. თუ ეს არ მოხდა, კონკურენტები კვლავ დარჩებიან დოტაციებზე და პოლიტიკური მოთამაშები – მედიაბაზარზე. სასურველია, სახელმწიფომ დააწესოს თამაშის სწორი წესები, როგორც ეს ცივილზებულ ქვეყნებშია. ტელევიზიის ინტერესი მოგების ნახვა უნდა იყოს და არა ვილაცის პოლიტიკურ იარაღად ყოფნა.

რა როლი ითამაშეს „რუსთავი 2“-ის უურნალისტებმა მთელ ამ პროცესში?

დავით დვალი: მთელი 10 წლის განმავლობაში ჩვენი თანამშრომლები აბსოლუტურად დაცულები იყვნენ ყველაფრისაგან. თავს ისე გრძობდნენ, როგორც ბეტონის კედლის უკან, ყველა მხრიდან დარტყმებს ჩვენ ვიღებდთ, მათ არ უნდა ეფიქრათ ამ ყველაფერზე. ახალ რეალობაში უცემები ქმნა სიტუაცია, როცა ისინი დაუცველები აღმოჩნდნენ. ყველას მოუწინა ინდივიდუალური არჩევნის გაცემება, უმიმისი დრო დაუდგათ, პიროვნული ბრძოლისთვის არ იყვნენ მზად. ზოგი იპოზიციურ მედიაში წავიდა, ზოგი – პრესცენტრებში, ზოგი – დარჩა იქვე. არავის ვამტყუნება, პირიქით, ჩვენ თავს ვაპრალებთ, რომ ვერ დავიღიავთ ისინი და მძიმე არჩევნის წინაშე დაუყენეთ.

ახლა რა საფრთხეებს ხედავთ? ახლაც საკმაოდ პოლიტიზირებულია მედიაგარემო?

დავით დვალი: თუ „ნაციონალური მოძრაობა“ დაკარგავს ამ ბერკეტს, მეორე მხარისათვის უკვე მარტვი იქნება ბაზრიდან გასვლა, უკვე ჯანსაღი გარემო შეიქმნება, არა ისეთი, როცა მედიით შეიარაღებული მხარეები ერთმანეთს კრიჭში უდგანან. იქნებ ერთხელ მაინც შევძლოთ ამის გაკეთება.

როგორ აფასებთ თქვენს შანსებს სასამართლოში?

დავით დვალი: ჩვენს ხელთ არსებული მასალებით მტკიცდება, რომ ეს იძულებით და უკანონოდ მიტაცებული ქონებაა. ახლა არის სწორედ ის პერიოდი, რომ ტელევიზია სამართლებრივი გზით დაუცველუნდეს მედიამფლობელებს, თორემ სცენარები სხვადასხვაგარად შეიძლება განვითარდეს. შეიძლება დაილუპოს და გაქრეს „რუსთავი 2“, ან ახალი ჯგუფის ხელში გადავიდეს. ამიტომ ახლაა ჩვენი პრძოლა ძალიან მნიშვნელოვანი. სწორედ ახლაა დრო, „რუსთავი 2“ დაბრუნდეს იმ წიაღში, რომელშიც წარმოიშვა, შეასრულოს ფუნქცია, რომელსაც ასრულებდა, იყოს უფრო დახვეწილი, გაიაზროს შეცდომების გამოცდილება, საზოგადოების სადარჯოზე დადგეს.

ესაუპრა შორენა შვერდაშვილი.

ტელემარკიტინგი - ისევ პოლიტიკის გავლინის ქვემ

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების გარდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ე.წ. „მეოთხე ხელისუფლებას“, მედია სფეროსაც შეეხო.

გიორგი ჭეიშვილი

4 ოქტომბერს ცნობილი გახდა, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის აქციათა 40% გაიყიდა. საჯარო რეესტრის მონაცემებით, 4 ოქტომბერს ჩატარებული პარტნიორთა კრების ოქმის მიხედვით, ლევან ყარამანიშვილმა თავისი კუთვნილი 90%-იანი წილიდან 40% ნახევარ მილიონ დოლარად კომპანია „მედია ჯორჯიას“ მიყდა.

კომპანია „მედია ჯორჯია“, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წილის მფლობელი გახდა, 3 ოქტომბერს, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა – დავით კეზერაშვილმა ერთპიროვნულად დააფუძნა, ისევე, როგორც „ჯორჯიან მედია კომპანია“, რომელმაც ტელეკომპანია „მზის“ აქციათა 40% – 250 ათას დოლარად შეიძინა. ცვლილებების შედეგად ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის აქციათა 100% ასე გადანაწილდა – 10% – გიორგი გეგეშიძე, 50% – ლევან ყარამანიშვილი, 40% – დავით კეზერაშვილი.

5 ოქტომბერს კი მედია-პორტალმა „Media.ge“ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დამუშანებლების – დავით დვალისა და ჯარჯი აქიმიძის მიმართვა გავრცელა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ტელეგარსის ყოფილი მფლობელები კომპანიის 60%-იანი წილის დაბრუნებისათვის სამართლებრივ ბრძოლასა და სასამართლოში წარსადგენი სარჩელის მზადებას იწყებდნენ – „ჩვენი მხრიდან დაწყებული გვაქვს უკომპრომისო სამართლებრივი ბრძოლა კანონიერი უფლებების აღსადგენად“.

ამ განცხადების პარალელურად, „ლი-



ბერალის“ დახურული წყაროს ინფორმაციით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის აქციათა გადანაწილება ამავე კომპანიის თანამშრომლებზე იგეგმებოდა, თუმცა კოლექტივის ნაწილმა შეთავაზებაზე უარი თქვა. ამავე წყაროს ინფორმაციით, კომპანიის თანამშრომლებმა საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის – დავით კეზერაშვილის მიერ „რუსთავი 2“-ის აქციათა 40%-ის შექნა მწვავედ გაპროტესტეს.

ამას მოჰყვა „რუსთავი 2“-ის წილების მორიგი ცვლილება. სამენარმეო რეესტრში 2012 წლის 9 ოქტომბრით დათარიღებული დოკუმენტების მიხედვით, „რუსთავი 2“-ის პარტნიორმა შეს „მედია ჯორჯიამ“ ტელეკომპანიაში კუთვნილი 40%-იანი წილი გიორგი ყარამანიშვილის სასარგებლოდ გაასხია, ისევე, როგორც შეს „ჯორჯიან მედია კომპანია“ ტელეკომპანია „მზის“ აქციათა 40% გიორგი ყარამანიშვილს მიჰყიდა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ლევან და გიორგი ყარამანიშვილები ნათესავები არიან, გიორგი ყარამანიშვილი კი საქართველოს პრეზიდენტის მიხელ საკაშვილის ახლო მეგობარია.

„ურნალისტური ეთიკის ქართის“ საბჭოს თავმჯდომარის – ზვიად ქორიძის თქმით, დღეისთვის, ერთი მხრივ, საქართველოს პრეზიდენტი, მეორე მხრივ კი, „ქართული ოცნება“ პოსტ-საარჩევნო გარემოში საკუთარი ელექტორატისთვის იძრძვიან – „საკაშვილს არ უნდა დაკარგოს თავისი ამომრჩეველი, ამის უზრუნველყოფა კი მედიაპოლიტიკით არის შესაძლებელი. ანალოგიურად, მედია არსებითი იარაღია ბიძინა ივანიშვილის ხელში, რა უნდა დაუპირისპირო „რუსთავი 2“-ის, „იმედის“ და ნაწილობრივ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პოლიტიკას, თუ არ შენი აგრესიული მედიაპოლიტიკა?“ „რუსთავი 2“ მიხეილ საკაშვილის პირადი ტელევიზიადა და ამ გადაჯდულებებით პრეზიდენტი მოქალაქებისათვის და სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის თავგზის აბნევას ცდილობს, რათა ამ ტელევიზიის კონცენტრირება მხოლოდ თავის ხელში მოახერხოს, რა თქმა უნდა, სხვისი მენეჯმენტით“.

ბა გაავრცელა ტელეკომპანია „იმედის“, სადაც აღნიშნულია, რომ „ახლა, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია სიტყვის თავისუფლების უზენაესობის ერთგულება და ჯანსაღი პოლიტიკური კონკურენციისა და კონსტრუქციული ოპონირების გარემოს შეარჩენება“.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საინფორმაციო ფორმატის პირობებში „იმედის“ საზოგადოებას მოელი დღის განმავლობაში მიაწვდის ახალ ამბებს, ეთერს დაუთმობს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსა და პოლიტიკურ-სოციალური ხასიათის ტოქ-შოუებს.

■ „რუსთავი 2“ მიხეილ საკაშვილის პირადი ტელევიზიადა და ამ გადაჯდულებებით პრეზიდენტი მოქალაქეებისათვის და სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის თავგზის აბნევას ცდილობს, რათა ამ ტელევიზიის კონცენტრირება მხოლოდ თავის ხელში მოახერხოს, რა თქმა უნდა, სხვისი მენეჯმენტით“.

დაუთმობს – „იმედი გვაქვს, რომ ახალი ხელისუფლება ღირსეულად გააგრძელებს ნინა ხელისუფლების მიერ დატოვებულ დემოკრატიულ მემკვიდრეობას, ხელს არ შეუშლის თავისუფალი მედიის მუშაობას და არანაირი ფორმით არ შეეცდება თავისუფალი სიტყვის შეზღუდვისა“ – ნათქვამია ტელეკომპანია „იმედის“ განცხადებაში.

„იმედში“ განხორციელებულ ცვლილებებს მოჰყვა ცვლილებები „რეალ ტივი“-ს საინფორმაციო ბადეშიც. არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსის, გურამ დონაძის თქმით, 24 საათიან საინფორმაციო ბადეზე გადასცლის თარიღი ჯერჯე-

რობით უცნობია – „ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას კონკრეტული თარიღი არ დაუსახელება. ცვლილება ალბათ ეტაპობრივად მოხდება. თათბირზე ცნობილი გახდა, რომ ფორმატს ვიცელით, გასართობი გადაცემები ეთერში სავარაუდოდ აღარ გავა. 24 საათიან საინფორმაციო ბადეზე გადასცლის ზუსტი მიზეზი ჩემთვის უცნობია, თუმცა ეს სავარაუდოდ მარკეტინგული სელა“ – აღნიშნა „რეალ ტივი“-ს საინფორმაციო სამსახურის უფროსმა.

ცვლილებაა ტელეკომპანია „მზის“ გარშემოც. საქართველოს კონომიკის ყოფილი მინისტრის, ვანო ჩხარტიშვილის პრესმდივანმა გიორგი გიორგაძემ განაცხადა, რომ ჩხარტიშვილმა რეგიონული ტელეკომპანია „გურია“ დღემდე არსებული მესაკუთრის ინიციატივით დაბრუნა და იმედი გამოთქვა, რომ ტელეკომპანია „მზის“ დღევნდელი მეპატრონები სახელისუფლებო ბერკეტების გამოყენებით მიტაცებულ ტელეკარხს ასევე ნებაყოფლობით დაუბრუნებენ მის კანონიერ მესაკუთრეს – „სხვა შემთხვევაში, მრავალგზის საჯაროდ გვაქვს გაცხადებული, რომ ტელეკომპანია „მზის“ დასაბრუნებლად ყველა კანონიერ ბერკეტს ბოლომდე გამოვიყენებთ და პროცესებს როგორც საერთაშორისო, ისე ქართულ სასამართლოებში გავაგრძელებთ“, – განაცხადა გიორგი გიორგაძემ.

ზვიად ქორიძის აზრით, დღეისათვის არსებულ ვითარებაში მიხეილ საკაშვილი მაქსიმალურად ცდილობს „რუსთავი 2“-ის შენარჩენებას, მისთვის „გაუგებარი არხია“ ტელეკომპანია „მზე“, ხოლო „რეალ ტივი“ მთლიანად არის დამოკიდებული შევ კაპიტალზე – „ეს არის ტელევიზია, რომელიც ლეგალურ რეკლამაზე მუშაობს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ „რეალ ტივის“ ყველა შინაგან საქმეთა სამინისტროს ტელევიზიად ალიქვამს, ეს კომპანია შევი ყულაბიდან ნამოსულ ფულზეა დაფუძნებული. ეს ტელევიზიუბი უნდა დასუროს, თუმცა მხოლოდ ბაზრის კანონებიდან გამომდინარე“.

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მედიაში მომხდარ ცვლილებებამდე, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლება-

თა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისის განცხადებაში – წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ აღნიშნულია: მედის წინასწარი მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ საარჩევნო კამპანიის დაბალანსებული გაშუქება მხოლოდ „საზოგადოებრივმა მაუწყებლმა“ შესთავაზა მაყურებელს.

28 სექტემბრის დღის მთავარ საინფორმაციო გამოშეხვაში, „რუსთავი 2“-მა „დინამი არენაზე“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებთან გამართულ შეხვედრას საეთერო დროს დაახლოებით 30 წუთი დაუთმო, მომდევნო ორ სიუჟეტს კი, რომლებშიც „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობისათვის მზადება და პარტიის საარჩევნო პროგრამით განერილი 4 წლის აქტივობები იყო მიმოხილული, 9 წუთი გამოუყო.

2, 3, 4 სექტემბერს ტელეკომპანია „იმედის“ დღის მთავარი საინფორმაციო გამოშეხვა საარჩევნო თემატიკის ახალი ამბებით, წარწერით – „ოცნება: ზენოლა საარჩევნო კომისიებზე“ ინყებოდა, 5 სექტემბერს კი ეს წარწერა – „ოცნება: ზენოლა გამგეობის თანამშრომლებზე“ – შეიცვალა.

ქვეყანაში არსებული პოლარიზებული მედია გარემო დასტურდებოდა „ODIHR“-ის სადამკვირვებლო მისის ჩატარებული მედიამონიტორინგის შედეგებით, რომელის მიხედვითაც „რუსთავი 2“-მა და „იმედი“ „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ მკერძოებულობის დემონსტრირება მოახდინება.

„ურნალისტური ეთიკის ქარტის საბჭოს“ აღმასრულებელი დირექტორი თამარ კორძაია მიიჩნევს, რომ მედიასაშუალებები მომხდარი ცვლილებებით რეალურად არაფერი შეიცვლება და სწორედ ამ მოვლენებმა დაადასტურა, რომ ყველა ტელევიზია, რომელმაც სტრატეგია შეცვლა, რეალურად მხარეებს წარმოადგენდნენ – „ამ არხებმა სტრატეგია არსებულ რეალობას მიუსადავეს და თვლიან, რომ იმავე მხარის სამსახურში უნდა იყენებ, ვისაც აქამდე ემსახურებოდნენ. უბრალოდ, უფრო ეფექტურები უნდა გახდნენ და რადგან მომზიდი გადაინაცვლეს, საზოგადოება უნდა გამოაფხიზლონ. ახლა გაახსენდათ, რომ მედიის ერთ-ერთი ფუნქცია სელისუფლების კონტროლია“.

დის ერთ-ერთი ფუნქცია ხელისუფლების კონტროლია“, – ამბობს კორძაია.

ზეად ქორიძეს თქმით, კონკრეტული ტელევიზიების პოლიტიკამ – გასართობი გადაცემებით საზოგადოებისათვის ინფორმირებული არჩევნის გაკეთების საშუალება შეეზღუდათ, არ გამართლა, ამიტომაც – „ახლა მათ გადაწყვიტეს რომ სამი არხი: „რუსთავი 2“, „იმედი“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ერთი და იგვე შინაარსის მატარებელი იქნება, რათა ანარმონ ტოტალური საინფორმაციო შეტევა საზოგადოებაზე. საინ-

„ამ არხებმა სტრატეგია არსებულ რეალობას მიუსადავეს და თვლიან, რომ იმავე მხარის სამსახურში უნდა იყვნენ, ვისაც აქამდე ემსახურებოდნენ. უბრალოდ, უფრო ეფექტურები უნდა გახდნენ და რადგან მომზიდი გადაინაცვლეს, საზოგადოება უნდა გამოაფხიზილონ. ახლა გაახსენდათ, რომ მედიის ერთ-ერთი ფუნქცია სელისუფლების კონტროლია“.

ფორმაციი პოლიტიკის შეცვლით ხელისუფლების მიზანი საზოგადოებაზე საინფორმაციო ზენოლის შემოღებაა“.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი დავით ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ ყოფილი ხელისუფლების მომხრეები პროპაგანდისტულ მედია-პოლიტიკას ვერ გაატარებენ, რადგან ეფექტური არ იქნება, საზოგადოებაზე ვერ იმოქმედებს და ახალი ხელისუფლების პოზიციებს გაამაგრებს: „ჩემთვის უცნობია, რა ბედი ეწევა ტელეკომპანია „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ს, რადგან ჩვენი გამარჯვებული პოლი-

ტიკური ძალის მიზანი ქვეყანაში თავისუფალი მედიის არსებობაა. ამ ტელეკომპანია ბიუჯეტიდან დაფინანსება მოაკლდათ, ყოფილ მფლობელებს კი ქორების დაბრუნების პრეტენზია უჩნდებათ. ამ საკითხებს სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლო გადაწყვეტის“, – აცხადებს ზურაბიშვილი.

7 ოქტომბერს ეთერში „ინფო 9“-ის ტელევიზია გავიდა. კომპანია ამჟამად „Global TV“-ის მეშვეობით მაუწყებლობს. ტელეარხი 6 საათიანი მაუწყებლობისა და 6 საათიანი განმეორების ფორმატში გადის ეთერში და არხი ძირითადად საინფორმაციო გამოშვებებით, ტოკ-შოუებითა და სავტორო გადაცემებით იქნება დატვირთული.

წინასაარჩევნო პერიოდშივე გაიყიდა აქარის რეგიონული ტელევიზია „ტელეარხი 25“, ის ბიზნესმენმა ჯემალ ვერძაძემ და ნალენჯიხის მაჟორიტარმა დეპუტატმა, „ნაციონალური მოძრაობის“ სიით – ლევან ქარდავამ 2012 წლის 24 თებერვალს იყიდეს. თუმცა, ეს ინფორმაცია საზოგადოებამ სულ რამდენიმე დღის წინ გაიგო. ახალი მფლობელები ტელეკომპანიის ურნალისტებმა გააპროტესტეს, რადგან ეჭვი აქვთ, რომ დამოუკიდებელი ტელეკომპანია პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცევა.

თამარ კორძაია მიიჩნევს, რომ 50%-იანი წილის მფლობელ პოლიტიკოსს საკმარისი და რეალური ბერები აქვს იმისთვის, რომ სარეალური დამოუკიდებლობაზე გავლენა მოახდინოს, თუმცა, მისივე განმარტებით, ეს მაუწყებლობისა და საჯარო სამსახურის შესახებ კანონებს არ ეწინააღმდეგება.

12 ოქტომბერს ცნობილი გახდა, რომ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ტელეკომპანია „საქართველოს“ კუთვნილი კერძო მაუწყებლობის ლიცენზიები „სამოქალაქო განათლების ფონდს“ გადასცა. ფონდის დირექტორი და ერთ-ერთი დამარჯვებული ურნალ „ტაბულას“ რედაქტორი თამარ ჩერგოლებიშვილია.

ჯერჯერობით, პოლიტიკური მოთამაშეები მედია-სამსახურების ვერ ელევიან და ცვლილებების მოუხდავად, მედია-ბაზარი ისევ პოლიტიკური გავლენის სფეროდ რჩება. **■**

ჯანდაცვა

სახელმწიფო სალაშვილო პრობენამდები ბიბილიანი

ანი ჭანკოტაძე



საპარლამენტო არჩევნების წელს, ანუ 2012 წლის 30 აპრილს საქართველოს პარლამენტმა ჯანმრთელობის დაზღვევის ახალი, გაფართოებული პროგრამა დაამტკიცა. ამჟამად კვეყანაში ახალ პროგრამასთან ერთად ძველი სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამაც მოქმედებს. ორივე პროგრამის საერთო ღირებულება წელს 174 მილიონ ლარს შეადგენს.

პროგრამა, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბრიდან ამოქმედდა, 6 წლამდე ასაკის ბავშვების, სტუდენტების, პენ-

სიონერების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევას ითვალისწინებს.

სახელმწიფო დაზღვევა მოძრაობები

ამ ახალი პროგრამის გარდა 2007 წლიდან მოქმედებს ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამაც, რომელიც სოციალურად დაუცველებს, პედაგოგებს, დევნილებს, მსახიობებსა და რუსთაველის პრემიის ლაურეატებს აერთიანებს.

2012 წელს ახალი პროგრამის დამატების შემდეგ დაზღვეულ მოქალაქეთა რაოდენობა ჯამში 2.1 მილიონამდე გაიზარდა.

1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო დაპირებების ავტომატურად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. გამარჯვებული კოალიციის ლიდერმა ქალაქ ლაზიკის შშენებლობისა და მთავრობის მიერ ინიცირებული 1000 ლარიანი ვაუჩერების პროგრამის

საზოგადოება

შეჩერების შესახებ განცხადება გამარჯვებიდან რამდენიმე დღეში გააკეთა.

ასეთი განცხადებების ფონზე კითხვები 1 სექტემბერს ამოქმედებული გაფართოებული სადაზღვევო პროგრამის მიმართაც გაჩნდა.

დაფიქსირდა, რამდენიმე შემთხვევა, როცა პროგრამის ფარგლებში დაზღვეულ მოქალაქებს ამბულატორიაში ექიმი არ მოემსახურა და უთხრა, რომ სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა შეწყდა.

ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი სადაზღვევო კომპანიები და პროგრამი კლინიკები პროგრამის შეჩერების ფაქტს უარყოფენ.

„რატომ მოხდა ეს, ჩემთვის გაუგებარია, რადგან სადაზღვევო პროგრამა ისევ მოქმედია და კველა მზღვევილი ვალდებულია აუცილებლად შესასრულოს ამ კონტრაქტის ფარგლებში აღებული ვალდებულებები“, – ამბობს „ლიბერალთან“ საუბრისას ჯანდაცვის სამინისტროს მედიაციის ცენტრის ხელმძღვანელი, სოფო ლებანიძე.

თბილისში, სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში მოქალაქებს სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს პლიუს ჯორჯია“ აზღვეს.

კომპანიამ 10 ოქტომბერს სპეციალური პრესკრიპტურის მოაწყო მედიის-თვისაც და უურნალისტებს გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისგან თავშეკავება სთხოვა.

მზღვეველი კომპანიები და პროგრამერი სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებიც ადასტურებენ, რომ პროგრამა ჩევეულებრივ გრძელდება.

ახალი სადაზღვევო პროგრამა და ქველი პროგლემინი

ჯანმრთელობის დაზღვევის სფეროში არსებული პრობლემები კი, ახალი არ არის და ის არჩენების შემდეგ არ დაწყებულა.

„ყველაზე რთული პრობლემა იყო და მომავალშიც დარჩება ფინანსები. მე არ ვეხები კლინიკისთვის ანაზღაურების გადაუხდელობის, ან გადარიცხვის დაგვიანების საკითხს, რომელიც ცალკე

თემაა. პრობლემა ისაა, რომ საადაზღვევოებს არ აქვთ თავისუფლად მუშაობისთვის საკმარისი თანხები. ჩვენ კიდევ გვინდა, რომ პაციენტებს მაღალტექნოლოგიურად ვუმკუნალოთ“, – ამბობს „ლიბერალთან“ საუბრისას „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის“ ხელმძღვანელი გოჩა ინგოროვა. თუმცა, მისი თქმით, თანხების დეფიციტურობით გამოწვეულ პრობლემას მზღვეველები და კლინიკები მოლაპარაკებებით აგვარებენ და პაციენტი არ ზარალდება.

ფინანსების სიმწირეზე ღუდუშეურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელი სოსო ბრეგვაძეც საუბრობს. „ჩვენი დაწესებულება დიდია და მის შესანახად საჭიროა ბე-

ვრი ისეთი ხარჯი, რაც უშუალოდ არ არის მკურნალობასთან დაკავშირებული. ამას გარდა, მრავალპროფილიანი დაწესებულება (ამიტომაცაა დიდი) და არის მომსახურების სახეები, რომლებიც კომერციულად მომგებიანი არაა, მაგრამ სამედიცინო დახმარების ციკლში ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო ადგილი უჭირავს. მაგალითად, რეანიმაციული დახმარება“.

მომსახურების ხარისხის დაცვისა და მნიშვნელოვანი, მაგრამ არამოგებიანი მომსახურების სახეების შესანარჩუნებლად კლინიკას სხვა მომსახურებაზე საბაზო ფასთან შედარებით ლირებულების გაზრდა უწევს. „ასეთი, მრავალპროფილიანი დაწესებულებები მზღვეველებსაც სჭირდებათ, მაგრამ შედარებით უკაყაფილოები არიან ფასებით“, – ამბობს ბრეგვაძე.

სადაზღვევო კომპანიებიც და კლინიკების წარმომადგენლებიც პრობლემებზე საუბარს გაურბიან და ამბობენ, რომ დაზღვევის გარშემო არსებული ყველა პრობლემის მართვას მოახერხებენ.

სადაზღვევო კომპანიების ფინანსური სიძლიერის პრობლემა 2012 წელს საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვითაც იკვეთება.

2008-2010 წლებში სახელმწიფო პროგრამა 2012 წლის პირველ სექტემბერს ამოქმედდა. ექსპერტებმა და მმართველი პარტიის პოლიტიკურმა იპონენტებმა დაზღვევის ახალ პროგრამის კრიტიკა მაღავე დაიწყება.

„დღეს ძალაში შედის სადაზღვევო პოლისი, რომელიც არც მედიკამენტების თანხას ანაზღაურებს და არც იმ სამედიცინო სერვისების მომსახურებას, რომელიც გაჭირვებულ ოჯახებს ესაჭიროებათ“, – აცხადებდა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი მაგდა ანგაშვილი.

კვლევიში ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ სადაზღვევო კომპანიები სათანადოდ ვერ აფასებენ რისკებს, რაც კომპანიასაც და მის ბენეფიციარებსაც შემდგომში ფინანსურ პრობლემებს უქმნის. მთავრობას კი, ჯერჯერობით არ შეუძლია დაზღვევის ხარჯების ჩამდა და ზუსტი გამოანგარიშება, თუ რომელ კომპონენტზე ხარჯე-

ხელისუფლების ხელი ღამისის სამისახური

ნინასაარჩევნო პერიოდში, დაზღვევის გაფართოებული პროგრამა

მედიის ყურადღების ქვეშ მოექცა.

5 წლამდე ასაკის ბავშვების 15-ლარიანი პაკეტით დაზღვევის გეგმებშე მიხეილ სააკადემიურმა თებერვალში პარლამენტში საანგარიშო მოხსენებით გამოსვლის დროს ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2012 წელს კვეყანაში დაზღვეული „ყოველი მეორე მოქალაქე“ იქნებოდა.

ახალი სახელმწიფო პროგრამა 2012 წლის პირველ სექტემბერს ამოქმედდა. ექსპერტებმა და მმართველი პარტიის პოლიტიკურმა იპონენტებმა დაზღვევის ახალ პროგრამის კრიტიკა მაღავე დაიწყება.

„დღეს ძალაში შედის სადაზღვევო პოლისი, რომელიც არც მედიკამენტების თანხას ანაზღაურებს და არც იმ სამედიცინო სერვისების მომსახურებას, რომელიც გაჭირვებულ ოჯახებს ესაჭიროებათ“, – აცხადებდა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი მაგდა ანგაშვილი.

ბის რა წილი მოდის. თუმცა, კვლევაში გამოთქმული რეკომენდაციის მიხედვით, სიტუაცია მეტ-ნაკლებად სტაბილური გახდება მაშინ, როდესაც მთავრობა ასეთი ხარჯების აღრიცხვას დაწყებს და სადაზღვეო პოლიტიკის კორექტირებას ხარჯის რეალური ციფრების შესაბამისად მოახდენს.

დაზღვეული მოქალაქეების უმეტესობას ამ დრომდე წლების განმავლობაში არ ჰქონია სამედიცინო მომსახურებაზე წვდომის საშუალება, რამაც დაზღვევის ამოქმედების პირველ თვეებშივე ბუმი გამოიწვია კლინიკებში.

„მოქალაქეები, ვისაც არ ჰქონიათ საშუალება, რომ ჰოსპიტალური, თუ ამბოლატორიული მომსახურებით ესარგებლათ, ახლა კლინიკებს ერთბაშად მოაწყდნენ. ამიტომ, სექტემბერი და პირველი ორი თვე ზარალის დათველა ცოტა მნელია. ჩვენ გაკეთებული გვაქვს სტატისტიკა კლინიკებიდან მოსული ინფორმაციის მიხედვით, თუმცა ის მაინცდამანიც ზუსტი არ არის“, – უთხრა „ლიბერალს“ ზეზვა კანიშვილმა, „არქიმედეს პლიუს ჯორჯიას“ სამედიცინო დირექტორმა.

ექსპერტების ნაწილს მიაჩნია, რომ დაზღვეულთა დიდი სეგმენტის მიუხედვად, სადაზღვეო ფონდი და ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო პასუხისმგებლობა უნდა გაიზარდოს.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საყოველთაო ჯანდაცვა გამოსავალია არა მხოლოდ მოქალაქეებისთვის, არამედ კლინიკებისთვისაც. ამ უკანასკნელთ უფლება არა აქვთ გადაუდებელ და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დამარებაზე უარი უთხრან მოქალაქეებს, რომლებსაც დაზღვევა არ აქვთ. ასეთ ხარჯებს კი სამედიცინო დაწესებულებებს არავინ უნაზღაურებს.

„მე 15 წელია კერძო სექტორს ვემსახურები და საქართველოში პირველი კერძო სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი ვარ, მაგრამ ჯანდაცვა ის მიმართულებაა, რომელსაც ძალიან დიდი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა სჭირდება. ჩვენ გვაქვს ისრაელის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების შესანიშნავი მაგალითი, სადაც მთელი

■ ფინანსების სიმწირეზე ღუდუშაურის სახელობის

ეროვნული სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელი სოსო

ბრეგვაძეც საუბრობს. „ჩვენი დაწესებულება დიდია და მის შესანახად საჭიროა ბევრი ისეთი ხარჯი, რაც უშუალოდ მოახდენს.

არ არის მკურნალობასთან დაკავშირებული. ამას გარდა, მრავალპროფილიანი დაწესებულება (ამიტომაცაა დიდი) და არის მომსახურების სახეები, რომლებიც კომერციულად მომგებიანი არაა, მაგრამ სამედიცინო დაწმარების ციკლში ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო ადგილი უჭირავს. მაგალითად, რეანიმაციული დაწმარება“.

კასიმისახი ხევა

ჯერ კიდევ ამოქმედებამდე ჯანმრთელობის დაცვის გაფართოებულ სახელმწიფო პროგრამას სამოქალაქო სექტორის ზოგიერთი წარმომადგენელი აკრიტიკებდა. მათ შორის იყო „საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი“.


ორგანიზაციამ მაისში გამოთქვა ვარაუდი, რომ პროექტი არაეფექტური იქნება, რადგან „გაფართოების“ მიუხედავად, ჯანდაცვის გარანტიების გარეშე მოსახლეობის ნახევარი რჩება. მათი აზრით, საჭირო იყო არა გარკვეული ჯერულების, არამედ საყოველთაო დაზღვევა. „მმართველ გუნდს უბრალოდ, საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის დანერგვის პოლიტიკური ნება არ აქვს და ის ლიბერალურ-დერებულაციურ პოლიტიკას ატარებს, რისი შედეგიცაა ხელმიუწვდომელი ჯანდაცვა“, – აცხადებდა კვლევითი ინსტიტუტის სამედიცინო მიმართულების ხელმძღვანელი ელენე აზმაიფარაშვილი.

მოსახლეობა დაზღვეულია. ალბათ, ვერავინ დაიჯერებს, რომ ეს სახელმწიფოს ჩარევის გარეშე შესაძლებელია“, – ამბობს „ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის“ დირექტორი, დავით ტატიშვილი.

ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატმა, ამირან გამყრელიძემ უკვე გააკეთა განცხადება, რომ სახელმწიფოს რეგულირება ჯანდაცვის სფეროში უნდა გაძლიერდეს. ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ აისახება ეს კერძო სადაზღვეო კომპანიებისა და კლინიკების მუშაობასა და ინტერესებზე, თუმცა ამ მიღებომის მომხრეებს საკუთარი არგუმენტები გააჩნიათ.

„ნამდვინი ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ თავისუფალი ბაზრის პრიციპი ჯანდაცვის სფეროში ვერ იმუშავებს, სანამ სახელმწიფო რეგულაციები არ მოაწესრიგებს სისტემას“, – ამბობს ელენე აზმაიფარაშვილი. ადამიანის ჯანმრთელობის ლინებულებისა და ბაზრის პრიციპების აუცილებელ შეთანხმებაზე საუბრობენ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებიც.

„ჩვენ ვართ ერთი მხრივ, მკაცრი საბაზრო კანონების, მეორე მხრივ კი, უდიდესი ლინებულების ადამიანის სიცოცხლის წინაშე“, – ამბობს ღუდუშაურის ეროვნული ცენტრის დირექტორი „ლიბერალთან“ საუბრისას. **■**



სამუშაო / სამუშაო / სამუშაო / სამუშაო / სამუშაო

კალიგრა

წარმატები პოლიტიკური მოძრობის

კულტურული რევოლუცია, რომლის მოლოდინიც 2003 წლის „ვარდების რევოლუციამ“
გააჩინა, კრიტიკოსთა ნაწილის შეფასებით, არ შედგა.

ლაშა ქავთარაძე

ნისძიებების პარალელურად კი საფუძველი ჩაეყარა თბილისისა და ბათუმის კინოფესტივალებს, რამდენიმე ჯაზფესტივალს, თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ „არტისტერიუმს“.

კრიტიკოსს დათო ბუხრიკიძის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი პროექტები უდავოდ მნიშვნელოვანი იყო ჩვენი კულტურული ცხოვრებისათვის, ეს ყველაფერი საერთაშორისო პროცესებში მონაწილეობის მიღების მცდელობას ჰგავდა და ვალდებულების გამო უფრო კეთდებოდა, ვიდრე სუვილის გამო.

ხელოვნებათმცოდნებისგან მნიშვნელოვან ინიციატივად ფასდება ეროვნული კინოცენტრის არსებობაც, რომელმაც წლების განმავლებოში არაერთი პროექტი დააფინანსა. როგორც კინომცოდნე გოგი გვახარია ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, კინოცენტრს არ უნდა დავუკარგოთ ის, რომ რამდენიმე კარგი პროექტი დააფინანსა, მათ შორის რუსუდან ჭყონიას ფილმი „Keep Smiling.“ თუმცა აღსანიშნავია, რომ პროექტის დაფინანსებას რამდენიმე წელი დასჭირდა მაშინ, „როდესაც საეჭვო კინოპროექტები თავისუფლად ფინანსდებოდა“.

თუმცა, გოგი გვახარიას თქმით, გასულ ცხრა წელს ქარათული კულტურისათვის განსაკუთრებული შენაძენი არ მოუტანია. პოზიტიური ქრები, რომელიც რევოლუციიდან პირველი 4-5 წლის მანძილზე ამ სამინისტროში შეინიშნებოდა, თავდაცვის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის, ნიკა რურუს მინისტრად დანიშვნის შემდეგ რეგრესით შეიცვალა.

დრამატურგი დათო გაბუნია 2003 წლის შემდგომ კულტურული პოლიტიკის შეფასებას შეუძლებლად იმ მარტივი მიზეზის გამო მიჩნევს, რომ ასეთი ცნება ჩვენს რეალობაში საერთოდ არ არსებობდა. ცალკეულმა კულტურულმა ინიციატივებმა ერთიანი სისტემური პოლიტიკის სახე ვერ მიიღეს.

„საინტერესოა, რომ გადაწყვეტილებების მიღება ხშირად ინდივიდების

პოლიტიკური მიკუთვნებულობის ნიშნით ხდებოდა და ამას კულტურის სამინისტრო და თბილისის მერია, ხშირ შემთხვევაში, არც მაღავდნენ. პერსონალიების მნიშვნელობას თუ არ ჩავთვლით, გაუგებარია, რა პრინციპით ფინანსდებოდა ცალკეული კულტურული პროექტები,“ – აღნიშნავს გაბუნია.

ერთ-ერთი შეცდომა, რომელიც რევოლუციურმა მთავრობამ ამ სფეროში დაუშვა, ინტელიგენციის წარმომადგენლობათ, „ჩარეცხვა“ გახდლათ. სწორედ აქედან დაიწყო გაუცხოვება მთავრობასა და კულტურის სფეროს წარმომადგენლობათ ნაწილს შორის.

თანამედროვე ხელოვნების კურატორის, მაგდა გურულის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ეს ადამიანები ბევრისათვის ღირებულ პროდუქტს ვერ ქმნიან, გარკვეული სივრცე მათთვისაც უნდა ყოფილიყო შენარჩუნებული. არსებულმა მიდგომამ კი, საბოლოოდ, უკმაყოფილების კერების გაჩენამდე მიგვიყვანა.

„მე წინააღმდეგი ვარ ასეთი დაყოფების, მით უმეტეს როცა საქმე ხელოვნებას ეხება“, – აღნიშნავს მაგდა გურული. თუმცა, მისი თქმით, თუკი გავიხსენებთ, რა ხდებოდა კულტურის სფეროში სესილი გოგიბერიძის მინისტრობისას, აშკარაა, რომ გარკვეული სახის კულტურის პოლიტიკა, თუნდაც ჩანასახოვან მდგომარეობაში, მაინც გაჩნდა; საფუძველი ჩაეყარა სხვადასხვა სერიოზულ ინიციატივას, რომლისკენაც მეტი ძალისხმეული მიმართვა იყო საჭირო.

კრიტიკოსი და ჟურნალისტი დავით ბუხრიკიძე კი აღნიშნავს, რომ გარკვეული ჯგუფის განდევნება კულტურული სივრციდან და მათი ხელოვნური სტიგმატიზირება, დიდი შეცდომა იყო. სწორედ პრეზიდენტ მიხეილ სააკაძეილის მიერ ნახსენები სიტყვა „ჩარეცხილებისაგან“ გამოყოლილი რეციდივი გაპყვა შლილი ყოფილ ხელისუფლებას. რევოლუციური მთავრობისათვის დამახასიათებელ აქცენტირებას ვიზუალურ ფორმებსა და განსაკუთრებულად არქიტექტურაზე, დავით ბუხრიკიძე ხელისუფლების დამანგრეველი თვითდამკიდრების ინსტინქტს უკავშირებს,



ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ტოტო კუტურის არაერთი ვიზიტი, შავირას, *Modern Talking*-ის, *Boney M*-ის, მამა-შეილი იგლესიასების, პლასიდო დომინგოს, ანდრეა ბორელის, კრის დე ბურგის, შარლ აზანაურისა და გორან ბრეგოვიჩის უფასო კონცერტები ახალციხეში, რუსთავში, თბილისა და ბათუმში ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და კულტურის სამინისტროს მიერ იყო ორგანიზებული და დაფინანსებული.

ასეთი მასობრივი კულტურული ღო-

რაც საბოლოოდ კულტურულ შოკი გადაიზარდა.

ქართული კულტურის „შოკიდან გამოყვანა“ კი უკვე ახალ ხელისუფლებას და მინისტრს მოუწევს.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში, კულტურის ბლოკს მხოლოდ ერთი გვერდი აქვს დათმობილი. თუმცა, „ლიბერალთან“ ინტერვიუში, კინორეჟისორმა ლანა ლოლობერიძემ აღნიშნა, რომ კოალიციისათვის, სხვადასხვა დარგის ასამდე წარმომადგენელმა, 600-გვერდიანი საპროგრამო დოკუმენტი შეიმუშავა. ამ საპროგრამო დოკუმენტში ძირითადი აქცენტი ამ სფეროს ერთპიროვნული გადაწყვეტილებებისაგან გათავისუფლებაზე, დაფინანსების გაზრდაზე, ეთნიკური უმცირესობებისთვის ერთიან კულტურულ სივრცეში ჩართვის ხელშეწყობასა და კულტურული მემკვიდრეობის ადეკვატურ დაცვაზე კეთდება.

8 ოქტომბერს წარდგენილმა მინისტრობის კანდიდატმა, გურამ ოდიშარიამ კი ჩვენთან საუბრისას ხაზი გაუსვა, რომ კულტურული მემკვიდრეობის სათანადოდ გაფრთხილებასთან ერთად, ერთ-ერთი პრიორიტეტი ახალგაზრდა ხელვანებისათვის დახმარების განევა იქნება. იგი უკვე იმყოფებოდა სამინისტროში, სადაც ყოფილ მინისტრის მოადგილებს შეხვდა და სამინისტროს გადმობარების პროცესიც დაწყებულია. ოდიშარის თქმით, სტრუქტურისა და სხვადასხვა დარგში არსებული მდგომარეობის გაცნობის შემდგომ ის და მისი გუნდი ახალ კონცეფციას შეიმუშავებენ. რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, მინისტრობის კანდიდატი გარკვეულ ცვლილებებს განახორციელებს, თუმცა მისი თქმით, ეს არ ნიშნავს, რომ ძველი გუნდიდან ყველა გათავისუფლდება.

„სამინისტროში არიან ადამიანები, რომლებიც უნდა დარჩენენ. არც არასოდეს გვითქვამს და გვიფიქრია, რომ ჩვენ მოვიდოდით და იქ არავის დავტოვებდით. ვინც საჭიროა, ყველა დარჩება, დაემატება კადრები და გუნდი ახალი კონცეფციით დაიწყებს მუშაობას“, – აღნიშნა ბატონმა გურამმა.

მისივე თქმით, აუცილებლად დაიწყე-

ბა მუშაობა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დაარსებაზე. ეს ინიციატივა ჰქონდა მისი პოლიტიკური გუნდის ლიდერს ბიძინა ივანიშვილსაც, ხოლო მინისტრობის კანდიდატის თქმით, თანამედროვე სახელმწიფოსთვის ასეთი მუზეუმის არსებობა ნამდვილად მინიშვნელოვანია.

„მე ვიცი, ჩვენზე პატარა ქვეყნები, სადაც არათუ ერთი, არამედ ორი და სამი თანამედროვე ხელოვნების მუზემიც აქვთ, ამიტომ ჩვენთანაც აუცილებლად შეიქმნება“, – აღნიშნა მან.

თავად მინისტრობის მწერალ კანდიდატს კულტურის სფეროს წარმომადგენლები და კრიტიკოსები დადებით პიროვნებად ახასიათებენ და ხაზს მის

■ „რამდენადაც ვიცნობ, არის ძალიან რბილი კაცი, მეტისმეტად რბილიც კი, რომელიც ყველას მოუსმენს.

რაც მთავარია, მის უკან

არ მოიაზრება რაღაც

კულტურული მაფია და

გარკვეული ჯგუფები“.

პიროვნულ თუ შემოქმედებით ღირსებებს უსვამენ.

გოგი გახასრიას თქმით, გურამ ოდიშარია ნიკა რურუს სრული ანტიპოდია. „რამდენადაც ვიცნობ, არის ძალიან რბილი კაცი, მეტისმეტად რბილიც კი, რომელიც ყველას მოუსმენს. რაც მთავარია, მის უკან არ მოიაზრება რაღაც კულტურული მაფია და გარკვეული ჯგუფები. თუმცა რამდენად კარგად იმუშავებს სამინისტრო ასეთი მინისტრის პირობებში, ამას დრო გვიჩვენებს, – აღნიშნა კინომცოდნება.

დავით ბუხრიკიძის თქმით კი, მნიშვნელოვანია, რომ მინისტრმა მოახერხოს თანამედროვე ხელოვნებასთან კონ-

ტაქტი, ამისათვის მას ძალიან კარგი თანამედროვე ხელოვნებათმცოდნები, კურატორები, ექსპერტები და მრჩევლები დასჭირდება. სწორედ მათზე იქნება დამოკიდებული სამინისტროს გამართული მუშაობა მომავალში.

ამავე შეხედულებას იზიარებს საერთაშორისო ფესტივალ „არტისტერიუმის“ კურატორო მავდა გურულიც. მისი თქმით, სულაც არ არის აუცილებელი, რომ მინისტრს თანამედროვე ხელოვნება უყვარდეს. მთავარია, ესმოდეს მისი მნიშვნელობა და ისეთი გუნდი შექმნას, რომელიც ადეკვატურად მიუდგება ამ საკითხს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია რომ ქვეყანაში ზოგადად არ მოხდეს სიტუაციის კონსერვატიული პოლუსისაკენ შებრუნება, რადგან ასეთ შემთხვევაში ვერც მინისტრი და ვერც სამინისტრო ვერ შეენინაღმდეგება ხელოვნების ანდერგრაუნდში გადასვლას, რაც შეიძლება არტისათვის სასარგებლოც კი იყოს, თუმცა ზოგადი კულტურული თვალსაზრისით ქვეყნისათვის წამგებიანი იქნება.

დათო გაბუნიას თქმით კი, მინისტრმა, უპირველეს ყოვლისა უნდა შექმნას კულტურული პოლიტიკა, რათა მოხდეს პრიორიტეტების განსაზღვრა, ხოლო შემდგომში თავად სამინისტროს მუშაობა არ შეფერხდეს. მისი თქმით, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს დეცენტრალიზაცია მოხდეს და გადაწყვეტილებები ერთპიროვნულად აღარ მიიღებოდეს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში „კულტურული სამინისტრო ისევ ძალების მნიშვნელობის როლში დარჩება, რომელიც ერთ ცალკედონულ ჯორს სწრაფად მოუტანა“. გარდა იმისა, რომ ქართული კულტურა თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს, ხელოვნებათმცოდნები დავით ბუხრიკიძის თქმით, აუცილებელი იქნება მწერლობის, თეატრისა და კლასიკური მუსიკის წინ წამოწევა, რადგან ეს არის საბაზისო კულტურული მოედანი, საბაზისო სივრცე და არტეტიპი, რომელიდანაც აღმოცენდება კულტურა თანამედროვე



www.radiotavisupleba.ge



რადიო თავისუფლება

იპოვე თავისუფლება



09:00 - 10:00

FM 107.4

18:00 - 19:00

15:00 - 15:45

00:00 - 00:45

FM 105.9

საზოგადოება





პრამიტარი

სახითიფო შემნიშვნელი სახითიფოს ვალებულებების

ლელა რეხვიაშვილი

სოციალური პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით ახალ მთავრობას რეალური ინიციატივები აქვთ: ის პენსიების საარსებო მინიმუმამდე გაზრდას, სავალდებულო დაზღვევის შემოღებას, უმუშევრობის კომპენსაციას, შრომის კოდექსის გადამიაწურებას და მსგავს მისასალმებელ ცვლილებებს გვპირდება.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ძალიან სახიფათოც – მოსახლეობას ისევ პოპულისტური განაცხადების სახით ეძლევა ინფორმაცია ახალი მთავრობის მიერ დაგეგმილი სიკეთების შესახებ; კონკრეტულ სტრუქტურულ გეგმებზე და გრძელვადიან მიზნებზე არავინ გვესაუბრება. მეორეც, – „ფულს ყველას დავურიგებთ“ – ეს პოლიტიკა, თუ მას დამატებითი ინსტიტუციური ცვლილებით არ მოჰყვა, პრობლემური იქნება.

ქართული საზოგადოება ბოლო წლის მანძილზე ისე შეეჩვია იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო სოციალური პრობლემების გადაჭრაზე პასუხისმგებლობას არ იღებდა, მგონი, საერთოდაც დაგვავიწყდა, რა შეიძლება მოვითხოვოთ. შევარდნაძის დროს კი- დევ შემორჩენილი იყო სოციალური

კეთილდღეობისთვის განკუთვნილი ინსტიტუტები, მაგრამ არ მუშაობდა. სააკაშვილის მთავრობამ კი ტვირტეცა იმის ძახილით, რომ სახელმწიფოს მიერ საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვა კომუნიზმია.

სააკაშვილის მთავრობის დისკურსსა და პოლიტიკაში ძირითადი პრობლემა სოციალურ პრობლემათა კერძო სექტორის საშუალებით გადაჭრის მცდელობა იყო. მთავრობა გამოთქვამდა კეთილ სურვილებს „მოქსპო და განედევნა“ სიღარიბე და უმუშევრობა, მაგრამ სახელმწიფოს პირდაპირ ჩარევას არასდროს მოიაზრებდა გამოსავლად. დღეს ყველამ კარგად ვიცით კერძო სექტორის „მხარდაჭერა“ როგორ დაეხმარა საქართველოს მოსახლეობის გაჭირვებულ ნაწილს. ჩვენი მთავრობა რეალურად არც კერძო სექტორს ახარებდა და არც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას.

დამოუკიდებლობის ოცი წლის თავზე მმართველმა ძალამ გადაწყვიტა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის (რომელიც საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტია) პრობლემების სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის გზით გადაჭრის მნიშვნელოვნება აღიაროს.

ეს უკვე დიდი მიღწევაა, მაგრამ თუ არასწორად განხორციელდა, ამ იდეის დისკურსიტაცია გარდაუვალია. საფრთხე ირგვარია – სოციალური კეთილდღეობის პროგრამების დაფინანსება უკიდურესად ძვირია. აქ სახელმწიფოსთვის საყურადღენი რესურსი საშუალო ფენის სიძლიერე და მის მიერ გაღებული გადასახადები არის ხოლმე. ჩვენთან ეს ფრნა თოთქმის არ არსებობს და თუ უმუშევრობას, როგორც სტრუქტურულ პრობლემას ვერ გავუმკლავდებით, სახელმწიფო კეთილდღეობის პროგრამების გრძელვადიან შენარჩუნებას და დაფინანსებას ვერ მოახერხდეს. მეორე – უმუშევრებისთვის და ლარიბებისთვის მხოლოდ პირდაპირი ტრანსფერების გზით დახმარება საკმარისი არ არის. არსებობს რისკი, რომ იმ პირობებში, როცა სამსახურის შოვნა რთულია, ხოლო სოციალურად დაუცველები შემწერობას და უფასო ჯანდაცვას იღებენ, სამსახურის ძიების მოტივაცია დაიკარგოს.

მსგავსი საფრთხეების თავიდან ასარიდებლად უამრავი, უკვე აპრობირებული მეთოდი არსებობს. თუ ჩვენს მთავრობას აქ განხილული მეთოდები უკვე გეგმაში აქვს, საჭიროა მალევე გაგვაცნონ. თუ არ აქვს გეგმაში, მაშინ ჩვენ უნდა მოვითხოვთ.

პირველი და ყველაზე მთავარი ამოცანაა, სახელმწიფომ შეხედოს საკუთარ სოციალურ როლს არა როგორც „შემწერის დამრიგებელმა“, არამედ როგორც უმუშევრობის და სიღარიბის სტრუქტურული მოგვარების ფასილიტატორმა.

უმუშევრობის შემცირება კომპენსაციის გაცემის ხარჯზე არ მოხდება. ამას შრომითი პოლიტიკის დაგეგმვა და გამართვა სჭირდება. შრომითი პოლიტიკის ორ მხარეს გამოყოფება – პირდაპირს და არაპირდაპირს. პირდაპირი პოლიტიკა ისაა, რასაც ახალი ხელისუფლება გვპირდება – კომპენსაციის გაცემა, ანუ პირდაპირი ტრასფერი. თუმცა აღიარებულია, რომ კომპენსაციის გაცემა არაპირდაპირი პოლიტიკის ამუშავების გარეშე არაეფექტურია. მგონია, რომ ახალმა მთავრობამ

სწორედ ამ არაპირდაპირ პოლიტიკაზე უნდა იფიქროს.

ჩემთვის სასურველი ცელილებების ნუსხა ასეთი იქნებოდა:

1. შრომითი ბაზრის კვლევა. პოლიტიკა პრობლემების შესწავლის საფუძველზე უნდა დავგეგმოთ. სანამ შრომითი ბაზარი არ იქნება შესწავლილი, სანამ სახელმწიფო სააგენტოებს არ ექნებათ კარგი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა სახის უმუშევრობასთან გვაქვს საქმე, რა სახის გადამზადებას საჭიროებენ სხვადასხვა გენდერის, ეთნიური წარმომავლობის, რეგიონული კუთვნელების, ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლები, რა სახის დაკვეთა არსებობს ბაზარზე და ა.შ. ვერანაირი პოლიტიკა ვერ დაიგეგმება.

2. შრომითი ინსტიტუტების შექმნა. სააკაშვილის მთავრობამ გააუქმია ყველა სტრუქტურა, რომელსაც შრომით

■ ჩვენი მთავრობა რეალურად

არც კერძო სექტორს ახარებდა და არც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას.

ურთიერთობებზე ზრუნვა ევალებოდა. ვიცით, რომ ეს სტრუქტურები არ მუშაობდა, მაგრამ არც მათ გაუქმებას მოჰყევა კარგი შედეგი. საჭიროა ხელახლა შეიქმნას სტრუქტურები, რომელსაც დაევალება ბაზრის შესწავლა, დაუსაქმებლების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, კონსულტაციების გამართვა, გადამზადების პროგრამების ორგანიზება, დამსაქმებლის და სამუშაოს მძებნელის დაკავშირება. დამსაქმებლების მოთხოვნების და დასასაქმებელთა კვალიფიკაციების აღწერისათვის საჭიროა მონაცემთა ბაზის შექმნა.

3. კოორდინაცია. შრომითი პოლიტიკის დაგეგმვისას აუცილებელია სამინისტროებს შორის კოორდინაცია. ამ შემთხვევაში განათლების

სფეროს გამოვყოფი როგორც უმნიშვნელოვანეს საკითხს. განათლების პოლიტიკის დაგეგმვა შრომითი ბაზრის შესახებ არსებული ცოდნის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. შრომითი პოლიტიკა კი უნდა იგეგმებოდეს განათლების სისტემის შესწავლის, დაკვირვების საფუძველზე. მხოლოდ ის არ უნდა ისწავლებოდეს, რაც „ბაზარზე მოთხოვნადა“. პირიქით, უნდა გამოიყოს სფეროები, რომელიც დღეს არ არის მოთხოვნადი, მაგრამ მნიშვნელოვანია. მაგალითად, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა და ბევრი სხვა. სახელმწიფომ უნდა დაიწყოს მეცნიერების დაფინანსება, არსებული სპეციალისტების უნარების გამოყენება, მათი გადამზადება და დასაქმება კვლევით ინსტიტუტებში. ასევე საჭიროა კოორდინაცია სამოქალაქო საზოგადოებასთან, პროფესიულ კავშირებთან, ბიზნესმენთა ასოციაციებთან. მათი ინტენსიური ჩართულობა პოლიტიკის დაგეგმვაში, გაძლიერება და დამოუკიდებლობის, საკუთარი ინიციატივების წარმოჩენის წახალისება უზომოდ მნიშვნელოვანია უმუშევრობის შემცირების და უკვე დასაქმებულთა უფლებების დაცვისთვის.

4. გადამზადება. პროფესიულ გადამზადებაზე უკვე ვისაუბრე, მაგრამ მინდა ცალკეულ გამოვყო. ქართველი და უცხოელი ექსპერტების დაკვირვებით საქართველოში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სტრუქტურული უმუშევრობაა. რაც გულისხმობას უამრავი კვალიფიკაციური კადრის არსებობას, რომელთა კვალიფიკაციის შესაბამისი სამსახურები აღარ მოიძებნება. არ უნდა დაგვაფინანსოდეს, რომ ამ კვალიფიკაციებულ კადრებს, მიუხედავად დღევანდელ ბაზარზე მათი განათლების და გამოცდილების ნაკლები რელევანტურობისა, ძალიან ძვირფასი უნარები გააჩნიათ, და საჭიროა ამ უნარების გამოყენება და განვითარება. პროფესიული გადამზადების ცენტრები უკვე არსებობს მასწავლებლებისთვის, ასევე არსებობდა ერთჯერადი პროექტები უმუშევრთათვის. მაგრამ რამდენადაც ეს პროექტები ზოგადი კონტექსტიდან

ამოგლეჯილად ტარდებოდა, ფაქტობრივად შედეგი არ მოჰყოლია.

5. ინსტიტუტები და არა პროექტები, სახელმწიფო ვალდებულება და არა „მოწყალება“. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საფეხური უნდა ემსახურებოდეს გრძელვადიანი მიზნებისთვის შექმნილი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქცეს პოპულისტური, ერთჯერადი პროექტების განხორციელების მექანიზმად. უშედეგო პროექტებით წინა მთავრობამ ქვეყნის ეკონომიკას უკვე საკმარისი ზიანი მიაყენა. თან ეს ყველაფერი კეთდებოდა, როგორც „პრეზიდენტის მოწყალება“. სახელმწიფო ამბობდა, რომ მისი პასუხისმგებლობა არ არის სოციალური დაცვა, მაგრამ თუკი მოეპრიანება, მაშინ ხალხს „რამეს გადაუგდებს“. მოსახლეობაც შეჩვეული იყო იმას, რომ ზოგადად მთავრობისგან არაფერს

ელოდა და როცა კი რამე დახმარებას გაიღებდნენ, მადლიერების გრძნობა ეუფლებოდა. არადა, არავინ არ უნდა იყოს „მოწყალების მადლიერი“; სოციალური დაცულობა უფლებაა და მისი უზრუნველყოფა უნდა მოვითხოვთ როგორც სახელმწიფოს მთავარი ვალდებულება.

დღეს ერთ-ერთი ძირეული პრობლემა სიღარიბის ნორმალური დეფინიციის უქონლობაცაა. არსებული დეფინიციით მიღებული მონაცემები დარიბთა რაოდენობაზე მცდარ წარმოდგენას იძლევა, მეორეც – ის სიღარიბის როგორც „არმქონეს“ გაგებაზეა მიბმული. ლირს ამარტეა სენის მიერ შემოთავაზებული დეფინიციის გახსენება, რომელიც გვიჩვევს, რომ სიღარიბეს შევხდოთ არა როგორც შემოსავლის შეზღუდულობას, არამედ როგორც შესაძლებლობების შეზღუდულობას; ალვიქვათ არა ის, თუ რა რაოდენობის

რესურსი გააჩნია ადამიანს, არამედ ის, თუ როგორ შეუძლია ამ რესურსების გამოყენება.

ქართულ კონტექსტში, ვისურვებდი რომ ფოკუსირება მოხდეს არა შემოსავლის რაოდენობაზე, არამედ სხვადასხვა სოციალური სიკეთის ხელმისაწვდომობაზე. პრიორიტეტად უნდა იქცეს თანასწორი ხელმისაწვდომობა განათლებაზე, ჯანდაცვაზე, ინფორმაციაზე, ინფრასტრუქტურაზე და სხვ.

P.S. მაპატიეთ, ძალიან ბეჭრი „უნდა“ და „აუცილებელია“ ვიძახე. ვიცი, ყველას გაგვაჩნია ჩვენებული ხედვა იმის შესახებ, თუ რა „უნდა გაკეთდეს“. მგონია, მნიშვნელოვანია ერთმანეთს გავუზიაროთ ეს შეხედულებები და პოლიტიკის კრიტიკოსებიდან პოლიტიკის დამკვეთებად ვიქცეთ. ხელისუფლებას კი ევალება გაგვიზიაროს და უკეთ გაგვაგებინოს, ის, რასაც გეგმავს და აპირებს. ■

Radio Commersant

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რალიო

Commersant.ge



ფინანსურული
მეცნიერებები

რუსთავის მატალურგიული ქარხანა

თემო ბარძიმაშვილი



ფოტორეპორტაჟი



საბჭოთა დროს ცნობილი როგორც ინდუსტრიალური ქალაკი, 90-იანების დროს რუსთავი გაჩირებული და ნახევრად დანგრეული ქარხნების ტერიტორიად იქცა. ქარხნებიდან გაიტანეს და ჯართის ფასად გაყიდეს დანადგრები.

ასეთივე ბედი ეწია რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასაც. ქართული ინდუსტრიის ეს ერთ-ერთი სიმბოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 15 წლის განმავლობაში უმოქმედო იყო.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა 1944 წელს დაწყო და პირველი საამქროები უკვე 1946 წელს ამუშავდა. 1950 წელს ქარხანამ პირველი მარტენული ქართული ფოლადი გამოაღნო. მისი წარმოების ყველაზე ინტენსიურ წლების განმავლობაში ქარხანა უშევებდა კოქსს, აგლომერატს, ფოლადს, თუკს, უნაკერო მილებს და სხვას. 1960-იან წლებში ქარხანაში 9000 ადმინისტრატორი იყო დასაქმებული.





ფინანსურული მეცნიერებები




1991 წელს ქარხანამ ფუნქციონირება შეწყვიტა. მის პროდუქტზე მოთხოვნის დაცემისა და ყოფილ საბჭოთა კვეყნებს შორის საზღვრების გაჩენის შედეგად მეტალურგია წამებიან ინდუსტრიად გადაიქცა და წლების განმავლობაში სახელმწიფოსაც უფირდა თოთქმის 600 ათას კვადრატულ მეტრზე გაშლილი ქარხნის შენახვა. 2004 წელს ქარხნის პრივატიზირება მოხდა და სახელიც შეცვალა. ახალი ბრენდით, „ქართული ფოლადი“, ქარხანა ნელ-ნელა

ამჟემედდა. 2007 წელს, ქარხანა ქართველმა ბიზნესმენმა, ბადრი პატარკაციშვილმა შეიძინა. მისი გარდაცვალების შემდეგ, 2009 წელს სახელმწიფომ ბიზნესმენის ოჯახს სანარმო ჩამოართვა, თუმცა სამი წლის მერე ისევ დაუბრუნა მფლობელობაში.

ამჟამად, ქარხანაში 1750 ადამიანია დასაქმებული და ის ძირითადად სამ პროდუქტს აწარმოებს: თუჯს, ფოლადს და უნაკერო მილებს. **■**





ქართული ბანაციტისაზე

პატა ქურდაძე
მწერალი



ვატერლოოს ორი მხარე ჰყავდა – გამარჯვებული და დამარცხებული. თუმცა, ეს სიტყვა ყველა ენაში მარცხის სინონიმად შევიდა. გამარჯვებული ბრიტანულ-გერმანული კოალიციის ვატერლოო საქართველოსათვის ჯერ კიდევ შორს არის, თუმცა, არც დამარცხებული ფრანგების ვატერლოოა ახლოს. მით უმეტეს, არავინ იცის, თუკი ეს დღე დადგა, ვინ აღმოჩნდება დეპრესიული ბონაპარტის ადგილზე, სააკადემიული, ივანიშვილი თუ ვინმე სხვა, მესამე... რომელსაც ჯერ სამკუთხა ქუდიც კი არ შეუძნია, ამდენად არც „იმპერატორის“ რანგში განუიღავს ვინმეს.

სინამდვილეში, ეს თეორიულად შესაძლო მარცხი, ერთი ბონაპარტის ვატერლოო არ იქნება. ეს გაცილებით მასშტაბური, შესაძლოა, გამანადგურებელი აპოკალიფსი აღმოჩნდეს საქართველოსთვის. და ეს საფრთხე სულაც არ განეცუთვნება ფანტასტიკის უანრს. ქართული სახელმწიფო ბრიობა ჯერ კიდევ ძალიან მყიფეა და 2008 წელს ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიის იცი პროცენტი ამის უტყუარი დასტურია.

საქართველოს სამხედრო ძალით ომი უკვე რამდენიმე საუკუნეა არ მოუგია. მისა პოტენციური მონინააღმდეგების ძალის გათვალისწინებით, ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს დღეს, ან ოდესმე შეძლოს დამოუკიდებლად. ეს ყველამ იცის, ამიტომაც ვცდილობთ თავი მოვაწონოთ დასავლეთს, და რატომდაც არ ვითვალისწინებთ, რომ ჩვენი ერთადერთი შანსი, „იარაღი“ – დასავლეთ-

თან კულტურული და არა სამხედრო ინტეგრაციაა.

ყოველთვის, როდესაც კულტურა იმარჯვებს უხეშ ძალაზე, მთავარი მოგებული ქვეყანა რჩება. ესე იყო 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ დროსაც. მისი არაძალადობრივი დასასრული არ იყო მხოლოდ რევოლუციონერების დამსახურება. თუკი ამ მოვლენებს ხავერდოვან რევოლუციათა სერიაში მოიხსენებ, ეს უდაბოდ შევარდნაძის ხელისუფლების დამსახურებაცაა, რადგან პოლიტიკურ დაპირისპირებას ორი მხარე აქვს, ბრძოლის კონტექსტს ირივე ქმნის. მაშინ გახარებულები ვიმეორებდით ყველა, რომ ევროპა გაოცებულია ჩვენი კულტურით, რომ ერთი ვიტრინაც არ ჩამსხვრებულა ქალაქში... გვიხსაროდა.

მას შემდეგ კიდევ მრავალჯერ „გავაოცეთ“ ევროპა ჩვენი მაღალი კულტურით. განსაკუთრებით 2007 წლის შემდეგ – ისე ვატარებთ მრავალათასიან საპროტესტო მანიფესტაციებს „ერთი ფოთოლი არ ვარდება ხიდინ“, როცა საფრანგეთში, საბერძნეთში, ინგლისში, მანიფესტაციები ყველაფერს ანადგურებენ და წვავენ... მართალია, ამას დასავლეთში ძირითადად ხულიგნები და მოროდიორები აკეთებენ, და არა შეუასაკა გადაცილებული ადამიანები, როგორებაც საქართველოში აბჯარასხმული და კარგად შეიარაღებული პრეზიდენტის „ცენტრინიორები“ წვიმაში ასფალტზე დაგებულ გაკოჭილ-დასისხლიანებულებს უმოწყალიდ სცემდნენ ბოლო წლების განმავლობაში... სინამდვილეში, მანიფესტაციასაც ორი მხარე აქვს – და პროტესტის გამოხატვის საერთო კონტექსტის შექმნაში ორივე მონაწილეობს. საერთო კონტექსტი კი ბოლო წლებში საქართველოს უახლესი ისტორიის განმავლობაში ყველაზე სასტიკი, ბარბაროსული, თან პროგრესიონებადი იყო – თუ, რა თქმა

უნდა, 90-იანი წლების პირველი ნახევარის კრიმინალურ ანარქიას არ ჩავთვლით, როდესაც მანიფესტაციებს უბრალოდ ესროდნენ.

ძალადობის შესანიშბად დემოკრატიისა და ლიბერალიზმის საბურველი ბევრად უფრო მოსახერხებელი აღმოჩნდა, ვიდრე მოდიდან გასული საბჭოური იდეოლოგიური „კოსმეტიკი“. თუმცა, ჯოვობეთის ახალ გარსად ტრანსფორმირებულმა გლდანის ციხეში ცოტა ხნით მაინც გვაიძულა საკუთარი სისასტიკისათვის თვალი გაგვესწორებინა. ამ კადრებმა ჩვენზე დაახლოებით იგივე ეფექტი მოახდინა, რაც ბუჰენვალდის საკონცენტრაციო ბანაკმა გერმანელ ჩვეულებრივ მოქალაქებზე და სამხედროებზე, სადაც გენერალმა ეიზენჰაუერმა ბანაკის გათავისუფლების მეორე დღეს იძულებით შეიყვანა ისინი, რომ საკუთარი თვალით ენახათ თავიანთი თანამოძმებების მიერ კაცობრიობის ნინაშე ჩადენილი დანაშაული. შეძრწუნებული გერმანელები დღემდე ბოდიშებს იხდიან – ამბობდნენ, რომ არ იცოდნენ ამის შესახებ... გაზის კამერების შესახებ მართლაც არ იცოდნენ. მაგრამ ყველამ ნახა, რომ ებრაელებს ჯერ ქონება წაართვეს, მერე ყვითელი ვარსკვლავები დააკერეს, ბოლოს კი სადღაც წაიყვანეს. ეიზენჰაუერის მიერ მოწყობილი „ექსკურსა ჯოვანებთში“ მხოლოდ კოლაბორაციონისტული სიჩუმის ვიზუალიზაცია იყო, რომელმაც გერმანელები აიძულა საერთო, კოლექტიური პასუხისმგებლობა ეგრძნოთ მათივე ოჯახის წევრების მიერ ჩადენილ ბარბაროსაბაზე. ეს მათ ახალ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ჰუმანური ქვეყნის აშენებაში დაეხმარა.

ჩვენ სულ ახლახან ვიცხოვრეთ ყველაზე სამარცხვინო სექტემბერი, რომელსაც მე პირადად საქართველოში შევსწორებივარ, და ის 1 ოქტომბერს

დავამთავრეთ. არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ ძალგვიძის თვალებში ჩატებდოთ ჩვენს ფიზიურ და მორალურ სისასტიკეს, რომელმაც ეს მახინჯი საარჩევნო კომისანის თვეები შვა. გლდანის „ბუჟენვალდმა“ ყველაფერი გადაფარა. ქვების სროლა. დაუნდობელი ალისტრასოიზმი, ვერბალური აგრესია... უკულტურობის ზეიმი ყოველ ნაბიჯზე და სიბნელე, რომლის განათებას ერთად აღებული მთელი მსოფლიოს ელექტროსადგურებიც ვერ შეძლებენ, თუ საკუთარ სისასტიკეს, სიბრიუეს, ჯიუტ უგუნურებასა და გაუნათლებლობას თვალებში არ ჩატებდეთ და არ შეგვრცხვა. ამის ნაცვლად ჩვენ კიდევ ერთხელ რამდენიმე კარგად ორგანიზებული ხალხმრავალი მანიფესტაცია ჩავატარეთ ისე, რომ „შემოდგომის ხებიდან ერთი ფოთოლიც კი არ ჩამოვარდნილა“ და ამით „ევროპა კიდევ ერთხელ გავაკვირვეთ...“ მერე „დემოკრატიული გზით“ გაყალბებული არჩევნები ასე თუ ისე გადავაგორეთ, და ახლა ცოტა დაბნეულები მინისტრის პორტფელების კანდიდატების შერჩევით ვართ დაკავებული „ცეისბუჟეზე“. ყოველ ჩვენგანს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პოლიტიკურ ბანაკს ეკუთვნის, გულწრფელად სჯერა, რომ „ალისტრახებებისა“ და ციხის ჯალათების კუთვნილ საქართველოს ნაწილს არ ნარმოადგენს და რომ ასეთები მხოლოდ საქართველოს იმ ნაწილში არიან, რომელსაც ის არ ეკუთვნის, და რომელიც სტულს...

სინამდვილეში არჩევნების მეორე დღესვე სისასტიკე ჩვეული ტემპით გაგრძელდა. ვიღაცას ვიღაცის გამოხატვის ფორმა, ნამუშევარი არ მოეწონა, და ავტორი სასტიკად „დასაჯა“. მსხვერპლის პროფესიას მნიშვნელობა არ აქვს. მუსიკოსების ისევე დასჯიდნენ, როგორც მნერალს, ან ტაქსის მძლოლს, დეპუტატობის კანდიდატს, მის ამორჩეველს... ამ დასჯას ნინარანაკლებად აგრძესიული და სამარცვინო მანიფესტაცია უძღვოდა, რომელიც საეჭვოა, ევროპელებს ჩვენგან კულტურის სასწავლებელ მაგალითად გამოადგეთ... ეს სულ სხვა, ლოკალური

მნიშვნელობის პირუტყვული გრძნობების იმ „მანიფესტაციათა“ სერიიდანაა, რომელსაც თვეების განმავლობაში ყოველდღე ვუყურებდით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში... და რომელსაც CCN და „ევრონიუსის“ კამერები არ იღებენ, თბილისის ცენტრში გამართული დანომრილმაისურიან პოლიტიკურ კარნვალებისაგან განსხვავებით.

უნდა დავამთავროთ საკუთარ თავთან ფლირტი, და ვალიაროთ, რომ



■ ქვეყნისთვის რომელიმე

პოლიტიკური ძალის

არჩევნებში გამარჯვება ბევრს

არაფერს ნიშნავს. ნამდვილი

გამარჯვება სიბნელეზე,

უკულტურობაზე გამარჯვებაა,

რომელიც აბსოლუტურად

აუცილებელი პირობაა

ნამდვილი დემოკრატიის და არა

იმიტაციის ასაშენებლად.

საქართველოში კულტურული კატასტროფაა... რომ კულტურა ისეთივე მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, როგორც ეკონომიკა, უსაფრთხოება, თავდაცვა. მივხდეთ, რომ კულტურა უცხოელი არტისტებისთვის „ქართული ტურისტული საფარის“ მოწყობით არ ვითარდება. რომ სწორედ კულტურული დეცენტრალიზაციაა საქართველოში საჭირო.

სანამ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის ხელმიუწვდომელი იქნება თანამედროვე ხელოვნება და ლიტერატურა, მანამ არ დამთავრდება ლინჩის წესით ცემა-ტყეპა განსხვავებული აზრის გამოხატვისათვის, ჩვენც ყოველთვის სოლიდარული ვიქენებით ნაცემთა მიმართ, აღმფოთებას არ დავმალავთ უხეში ბრბოს მიმართ, და ვამაყებთ, რომ მათგან ისე განვსხვავდებით, როგორც სინათლე სიბნელისგან... ოღონდ, სინათლე, რომელიც სიბნელეს ვერ ანათებს.

ქართული კულტურის პოლიტიკა რადიკალურ რეფორმებს საჭიროებს. თუნდაც კულტურის სამინისტროს გან ძეგლთა დაცვის გამოყოფას, ისე, როგორც თავის დროზე სპორტი და ტურიზმი გამოიყო ამ უწყებას. ისტორიული ძეგლები ისეთივე კატასტროფულ მდგომარეობაშია, როგორც თანამედროვე ცოცხალი კულტურა. ორივე ცალკე, დამოუკიდებელ სტრუქტურას იმსახურებს, სადაც ნამდვილი პროფესიონალები იმშვავებენ, და არა უბრალოდ, ასე თუ ისე განათლებული ადამიანები.

დღეს თითქმის არავინ სვამს კითხვის ნიშნის ქვეშ ფაქტს, რომ განვლილი არჩევნები ეტაპი იყო დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე. აუცილებელია ორივე პროტაგონისტ შეარეს ესმოდეს, რომ ქვეყნისთვის რომელიმე პოლიტიკური ძალის არჩევნებში გამარჯვება ბევრს არაფერს ნიშნავს. ნამდვილი გამარჯვება სიბნელეზე, უკულტურობაზე გამარჯვებაა, რომელიც აბსოლუტურად აუცილებელი პირობაა ნამდვილი დემოკრატიის და არა იმიტაციის ასაშენებლად.

სხვანაირად ჩვენ „ომს“ სახელმწიფო ბრიობისათვის ვერ მოვიგებთ.

პოლიტიკური და ეთნ(ს)წატიკი

ბექა ქურხული
მწერალი



დამთავრდა. გაიმარჯვეს, იზეიმეს, იყინეს, იპრძოლეს, იჩუბეს. დილით სასოწარკუეთილი ნიშნისმოგებით ნათქაამი: – „ჩვენ ხომ ერი არა ვართ“, იმავე სალამოს, იმავე ადამიანის მიერ, ამჯერად გულწრფელად ნათქაამი: – „მანიც მაგრები ვართ, მაგის დედა ვატირე“ მოჰყვა. ორიოდ დღეში კი, ამ სიხარულს და ეიფორიას, უცნაური და ამავე დროს, ბუნებრივი დაბნეულობა და შიში ჩანაცვლა. დამთავრდა კა? ნუთუ მართლა დამთავრდა ეს 8 წლიანი ბავქანალია, ნუთუ მართლა გადავრჩით? კიდევ რამეს ხომ არ გვიპირებენ? თითქოს ძალიან „იოლად“ დათმეს ყველაფერი. მთელი ქვეყანა სამოქალაქო ომის თუ არა, სამოქალაქო დაპირისპირების მოლოდინში იყო და უცებ ძალიან „იოლად“ დამარცხდნენ, მრისხანე და უძლეველი „ნაცეპი“ ძალიან „იოლად“ შეეგუნდა შეირგეს ეს დამარცხება. საეჭოდ „იოლად“. და რა თქმა უნდა, მსწრაფლ გაჩნდა ვერსიები, დაინყო ღრმაბაზოვანი სუბრები – „ამერიკა“, „ეუთო“, „გაერო“, „მიშას უთხრეს“, „ბიძინას უთხრეს“, მღვდლები ლოცულობენ“ და ა.შ.

პანიკას ინვენეს სააკვილის ყოველი ნაბიჯი: „მიშაბ ცალკე გაიტანა მოსმენების სამსახური, პრეზიდენტის ფონდი, მერიამ შექმნა ალტერნატიული დაცვის სამსახური“, „ნინო კალანდაძის ძმა გენერალური შტაბის ხელმძღვანელად დაინიშნა“, „ისევ ფართხალებები“, „ესენ კუდს მოიქნევენ“, „რევანშისთვის ემზადებიან“. არც მთავარია, არც ისე „იოლად“ მოხდა ყველაფერი და არც „ნაციონალურ მოძრაობას“ დაუთმია რამე „იოლად“. ჩვენ არ დაგვვინებია, არც განუწყვეტელი დემაგოგია, არც NDI-ის კვლევის შედეგები, არც მუქარა, შანგაური და პროვოკაციები. არც ის 50-მდე დაკავებული ადამიანი, მათ შორის, პოლეონიკი ნიკა ჯანჯვალავა, რომელიც 19 აგვისტოს „პოლიციისათვის წინააღმდეგობის განხევისათვის დააკავეს“ და რომ არა არჩევნების შედეგები, არავინ იცის, რა ბედი ეწეოდა. არც დაჩი ცაგურიას 10 დღიანი პატიმრობა, არც სტუდენტებზე განხორციელებული თავდასხმები, არც დათა ახალიას და სოსო თოფურიძის სტუმრობა საპატრიარქოში და არც ხაშურის საარჩევნო უბნებზე სპეციალის მიერ შეშვებული გაზი და საარჩევნო კომისიის წევრების და მოსახლეო-

გაბაზება მოხდა. ასე რომ, ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ არა-ვითარ შემთხვევაში ასეთ მდგომარეობაში დარჩენა არ შეიძლება.

არსებობს ლეგენდა, რომ როდესაც სტალინი მოკვდა, კრემლის ექიმები მთელი კვირა გავეთას ვერ ბედავდნენ, ემინოდათ, ფიქრობდნენ, „რამე რომ მოხდეს“, რა გვეშველებაო. ვიდრე ჩვენც ამ ექიმებს არ დავემსგავსეთ, ჩვენი პოლიტიკური ცხედარი ჩვენვე უნდა გავკვეთოთ და ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიოთ, რა მეტასტაზზება მოიდებული და საერთოდ, რა უბედურება გვჭირს. უნდა გავკვეთოთ რაც შეიძლება მალე, ვიდრე მართლა „რამე არ მომხდარა“, ცხედარი არ გაცოცხლებულა და ახლა უკვე მთლად ზომბად ქცევული არ დაგვრევია.

ამავე დროს, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. რა თქმა უნდა, სააკაველი და „ნაციონალური მოძრაობა“ „ფართხალებს“, „რაღაცას გვიპირებს“, „შეიძლება კუდიც მოიქნიოს“ და რა თქმა უნდა, „რევანშისთვისაც ემზადებიან“, ოლონდ, მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ზედმეტ ეიფორიაში ჩავარდებით, ან კიდევ უფრო უარესი, ყველაფერზე ელეო-მელეთი დაგვემართება, დავფრთხებით და ავირევით.

რაც მთავარია, არც ისე „იოლად“ მოხდა ყველაფერი და არც „ნაციონალურ მოძრაობას“ დაუთმია რამე „იოლად“. ჩვენ არ დაგვვინებია, არც განუწყვეტელი დემაგოგია, არც NDI-ის კვლევის შედეგები, არც მუქარა, შანგაური და პროვოკაციები. არც ის 50-მდე დაკავებული ადამიანი, მათ შორის, პოლეონიკი ნიკა ჯანჯვალავა, რომელიც 19 აგვისტოს „პოლიციისათვის წინააღმდეგობის განხევისათვის დააკავეს“ და რომ არა არჩევნების შედეგები, არავინ იცის, რა ბედი ეწეოდა. არც დაჩი ცაგურიას 10 დღიანი პატიმრობა, არც სტუდენტებზე განხორციელებული თავდასხმები, არც დათა ახალიას და სოსო თოფურიძის სტუმრობა საპატრიარქოში და არც ხაშურის საარჩევნო უბნებზე სპეციალის მიერ შეშვებული გაზი და საარჩევნო კომისიის წევრების და მოსახლეო-

ბის დახეთქილი თავები. არ დაგვვინებია თბილისის საარჩევნო უბნებზე სიებით მორბენალი „ნაცეპის“ აქტივისტები და შავ მანქანებში ჩაპრესილი, სამოქალაქო ფორმაში გადაცმული „ორგანოს თანამშრომლები“. არ დაგვვინებია, ზუგდიდში, როლანდ ახალიას ბიულეტენში ციფრ 15-ის სხვა ფერის კალმით მინერილი 3-იანი, ანუ 315. არც ის, რომ საბჭოთა პროკურორი როლანდ ახალია დასავლეთის ცივილიზებული სამყაროსკენ და ნატოსკენ მიმავალი ნათელი გზის გამკვლევია, ამერიკაში გაზრდილი და საქართველოს ყოფილი ელჩი გაეროში, ირაკლი აღასანია კი „ბელი ნარსულის გადმონაშთი“.

უნდა გავთვალისწინოთ ისიც, რომ სააკავილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა არც გუშინ და არც ერთი წლის წინ არ დაწყებულა, სულ ცოტა 2007 წლის ნოემბრიდან დაიწყო და ამდენი შეცდომის, ლალატის და სისულელის მოხედავად, როგორც იქნა, აქამდე მოვედით. ასე რომ, ეს ყველაფერი არც ისე „იოლად“ და „მოულოდნებულად“ მოხდა. სააკავილმა და მისმა გუნდმა, რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს თავისი გადასარჩენად და ახლაც, ამ წუთასაც, ყველაფერს აკეთებწნ. უბრალოდ, მეტი ვერ გააყალბეს. თბილისმა კი პოლიტიკური ვენდეტა გამოუცხადა „ნაციონალურ მოძრაობას“. ამიტომ, არა მგონია, ხალხს რამე იოლად და ხონჩაზე მირთმეული მიეღო. პირიქით, ძალიან ბევრი დრო დაგვარგეთ და ძალიან დიდი მსხვერპლი გაიღეთ.

რა თქმა უნდა, არაფერი დასრულებულა. პირიქით, სწორედ ახლა ინყება ყველაფერი, მაგრამ ვიდრე ხალხს და საზოგადოებას ხელისუფლების შემნძებება, ვგულისხმობ, ნარსულ, ახლანდელ თუ მომავალ ხელისუფლებას, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება და არცთუ სახელმწიფოდ, ერადაც ვერ ჩამოვალისდებით. პირიქით, ნებისმიერ ხელისუფლებას ცეცხლივით უნდა ეშინოდეს საზოგადოების და ხალხის, რამე არ შემძმალოს, არ გამოცვილებული და საიდანაც მოვბრძანებულვარ, იქით არ მიმაბრძანონ და თუ



ფოტო ლევან ხერეულიშვილი

„ბატონი ირაკლის მინდა შევახსენო, რომ რაც ამ ბოლო 8 წლის განმავლობაში, ამ ქვეყანამ პოლიტიკოსებისა და ხელისუფლებისგან გადაიტანა, მხოლოდ საზოგადოებას და მოქალაქეებსა აქვთ ხელისუფლებისადმი ნულოვანი ტოლერანტობის უფლება!“

შევყოვნდი, პანლურიც არ მომაშველონო. საქართველოში თავისუფლებისათვის ბრძოლისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში ყოველთვის, ტრადიციულად, განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა თ ხელოვანებს, საზოგადო მოღვაწეებს, მწერლებს. იქ კი სადაც საზოგადო და სამოქალაქო თავისუფლების ინსტიტუტები ჩამოყალიბებულია, საერთოდ ნარმოუდგენელია ხელოვანი, ლიტერატორი და მწერალი, ნებისმიერ ხელისუფალს, კაბინეტში ეჯდეს ან მისაღებში ატუზული ელოდებოდეს. ცნობილია ფოლკნერის პასუხი კენედისადმი, მარკესი ზესტად იმდენჯერ აჯანყდა, რამდენჯერაც მისი აურელანო ბუნებია, ლიოსამ „ქალაქი და ძალები“ დაწერა და კინაღამ დახვრიტეს, ივან ბუნინი გაგანია წითელი ტერორის დროს „დაწყევლილ დღეებს“ წერდა, ის დამთხვეული ჰემინგუეი კი ჰარი ტრუმენს სულ გაკოტრებულ მეგალინტერიეს და ნაბოზარს ეძახდა – „სიცოცხლეში გაკო-

ტრებული მეგალანტერიე არ ვყოფილვარ და არც ხელგამოწვდილს ჩამომეფლია, სამოწყალოდ ხმები მომეცითო“.

სწორედ ამიტომ „უსწორდებოდნენ და დევნიდნენ ასე სასტიკად ბოლშევიკები მწერლებს. სწორედ ხელოვნებისა და შემოქმედების კისრის მოგრეხვით იწყება ხალხის დამონება. საქართველოშიც ხელისუფლება შემოქმედს და მწერალს გაცილებით მეტად უნდა უფრთხოდეს, ვიდრე იარაღიან ამბოხებულს. იმისთვის კი, რომ შემოქმედის და მწერლის სიტყვას ფასი ჰქონდეს, ის მკეთრად უნდა გაემიჯონს ხელისუფლებას და მუდმივ ოპოზიციიში უნდა იყოს. პროსახელისუფლო ხელოვანი, მწერალი თუ რეპერი მხოლოდ ჩვენი, დაავადებული მენტალიტების და აზროვნების მუტაციის შედეგია.

სააკამპილი და „ნაციონალური მოძრაობა“ უკვე ნარსულია და ყველა თავისას მიიღებს. ახლა ჩვენ საქმე პრემიერმინის-

ტრობის კანდიდატ ბიძინა ივანიშვილთან და მის გუნდთან გვაქვს. მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიუცეთ ისეთი კარტბლანში, როგორიც სააკამპილს და „მის რაზმს“ ჰქონდა და რამაც ამ უბედურებამდე მიგიყვანა. ბატონ ივანიშვილს პოლიტიკაში გამოჩენის დღიდან კარგად უნდა ესმოდეს, რომ ყოველ ნამოცდენილ სიტყვაზე, ფრაზაზე თუ რეაციაზე აგებს პასუხს. დაწყებული იქმდან, რომ „რუსებთან სააკამპილმა დაიწყო იმი,“ რაზეც მერე მთელი წელი თავს იმართლებდა და ტალიავინის კომისიის დასკვნას იფარებდა, დამთავრებული, რამდენიმე დღის წინანდელი იალიოშით, როცა საქართველოს ეთნიკურად სომებს მოქალაქეებს „შეახსენა,“ რომ „მათი სამშობლო აქვა“ და მერე ისევ თავის მართლებას მოჰყვა. პოლიტიკოსის ბედი და ხელობა ეგ არის, რომ ჯერ უნდა დაფიქრდეს და მერე ილაპარაკოს, მით უმეტეს, რომ იცის – მის ყოველ ნათევაში კუდს კი არა, კუდეს გამოაბამენ და მერე ახსნაგანმარტება მოუწევს – რა თქვა, რისი თქმა უნდოდა და რას გულისხმობდა.

P.S. აქვე არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა, შს-ს მინისტრობის ახალი კანდიდატის პირველივე კომენტარზე, როდესაც მან კვლავ ის ავადსახსენებელი სიტყვები – „ნულოვანი ტოლერანტობა“ ახსენა.

ბატონ ირაკლის მინდა შევახსენო, რომ რაც ამ ბოლო 8 წლის განმავლობაში, ამ ქვეყანამ პოლიტიკოსებისა და ხელისუფლებისგან გადაიტანა, მხოლოდ საზოგადოებას და მოქალაქეებსა აქვთ ხელისუფლებისადმი ნულოვანი ტოლერანტობის უფლება!“ არც ის დაგავინდეთ, რომ ამ უბედურებას სწორედ შსს ახორციელებდა, სწორედ ის უნცია, რომლის ხელმძღვანელობასაც თქვენ აპირებთ. ძალიან არ მინდა თქვენი წინამორბედების მსგავსად, თქვენც ლამის 12 საათის მერე მოგიწიოთ სარფის საბაჟოდან ქვეყნის დატოვება, თან აქეთ-იქით ყურებით, თავში რამე არ ჩამარტყანო.

ჯერ არ მოსულა და უკვე „ნულოვანი ტოლერანტობა“! გამომივიდა აქ!

„ნულოვანი ტოლერანტობა“ მხოლოდ საკუთარი თავის მიმართ! **ც**

ჩუბი, ტვაზი ღ ჯაჭუ



კახა თოლორდავა
შურალისტი

დღეს ვერთობით. ყოველთვის მომწონდა ამ სიტყვებით რუბრიკის დაწყება. სამწუხაროდ, იშვიათად ვახერხებ ხოლმე.

ანრი ლეფევრი, ფრანგი სოციოლოგი, ფილოსოფოსი და ავტორი ძალიან საინტერესო ტექსტებისა ურბანულ საკითხებზე, ამბობდა, რომ ადამიანისთვის საკუთარი ყოველდღიური ცხოვრების რიტმის ანალიზი შეუძლებელია, რადგანაც ის უშუალოდად რიტმის ნაწილი, ანუ, ის თვითონაა რიტმი. რიტმი კი რიტმისვე ანალიზს ვერ მოახერხებს. იგივე შეიძლება ითქვას ყოველდღიური ცხოვრების ტემპზეც, მეორე მხრივ, ნებისმიერი გარე დაკვირვებლის-თვის სრულიად შესაძლებელია თუნდაც ფეხით მოსიარულებზე დაკვირვების მეშვეობით გაარკვიოს, თუ რამდენად სწრაფად ცხოვრობს არა მარტო კონკრეტული ადამიანი, არამედ ესა თუ ის ქალაქი. მაგალითად, ბრიტანეთის საბჭოს მკვლევრების და ჰერთონის უნივერსიტეტის კვლევების თანახმად, მსოფლიოს ყველა ქალაქს თავისი განუმეორებელი რიტმი და ტემპი აქვს და მათზე დაკვირვების მეშვეობით ადვილად შეიძლება დადგინდეს, თუ რა კავშირშია ტემპი და რიტმი სოციო-გეოგრაფიულ, საზოგადოებრივ და კულტურულ მაჩვენებლებთან ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, როგორი ცხოვრებით ცხოვრობენ ადამიანები ამ ქალაქებში.

ერთ-ერთი ასეთი უკანასკნელი კვლევა 2007 წელს ჩატარდა. მსოფლიოს ოცდათერთმეტ ქალაქში ტემპის სამი ინდიკატორი იქნა შერჩეული, – ქალაქების ცენტრალურ ნაწილებში ფეხით მოსიარულეთა საშუალო სიჩქარე, ფოსტების მუშაობის ტემპი და ქალქების ქუჩებში არსებული საათების სიზუსტე.

საბოლოო დასკვნის მიხედვით, როგორც აღმოჩნდა, დღევანდელ დიდ ქალაქში სამოც მეტრის გავლას ადამიანი საშუალოდ 12,5 წამს ანდომებს, რაც იმას ნიშავს, რომ მსოფლიოს ქალაქები (შესაბამისად, მათი მაცხოვრებლები) 10% უფრო „აჩქარებულები“ არიან, ვიდრე ეს ათი წლის წინ იყო.

პირველ ათეულში მოხვედრილი ქალაქების სია ასე გამოიყერება: სინგაპური, კოპენჰაგენი, მადრიდი, გუანჯოუ (ჩინეთი), დუბლინი, კურიტიბა (ბრაზილია), ბერლინი, ნიუ-იორკი, უტრეჟტი, ვენა. პირველი, რაც ამ კვლევის შედეგების გაცნობისთანავე შეიმჩნევა, ისაა, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ტემპი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებად ან ჩამორჩენილ ქვეყნებში. აგრეთვე, „აჩქარებულთა“ შორისა ქვეყნები ცივი კლიმატით და შედარებით ინდივიდუალისტური საზოგადოებით. საინტერესოა ისიც, რომ „აჩქარებულ“ ქალაქებში უფრო მაღალია სიკვდილიანობა გულ-სისლარდვთა და-ავადებებისაგან და მწეველთა რიცხვიც, თუმცა სრულიად მოულოდნელია, ვთქვათ, დუბლინის მოხვედრა ამ სიაში, რადგანაც, სავარაუდოდ, დუბლინელები საქმაოდ

მოშვებულნი არიან ქალაქში სიარულისას.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ამ და დანარჩენი კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით, არტისტების ერთმა ჯგუფმა, რომელსაც წარმოშობით ესტონელი ვარგარა გულჯაევა ხელმძღვანელობდა, შესაძლებლად ჩათვალა ქალაქების რიტმის და ტემპის ბეგრაში გადმოტანა, მაგრამ არა ქალაქში მოსიარულებზე დაკვირვების, არამედ გეოლოგიური მონაცემებში საშუალებას იძლევა თვალყური გა-ადეგნოს მობილური ტელეფონების თუ ინტერნეტში შეერთებული კომპიუტერების მოხმარების სიხშირეს და ეს სწორედ ისაა, რასაც ზემოთ ნახსენები არტისტების ჯგუფი დაეყრდნო. მათი ძირითადი გეოლოგიაციური წყარო „ტვიტერი“, ფლიკერი“ და „იუთიუბი“ იყო.

ასე გაჩნდა ათი მეტრონომი, მუსიკალური ტემპის სიჩქარის გასაზომი ხელსაწყო, რომელიც მსოფლიოს ათი ქალაქის გეოლოგიაციურ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაბამისად იყო მომართული, რაც ნიშნავს იმას, რომ მოხმარების სიხშირიდან გამომდინარე, ათივე მეტრონომის ქანქარა სხვადასხვა ტემპში იწეოდა. თუ თავს შეიწუხებთ და აი, ამას (<http://varvarag.wordpress.com/the-rhythm-of-city/>) შეხედავთ, თვითონ შეძლებთ მსოფლიოს ქალაქების სოციალური ქსელების ხმაურის „მოსმენას“, “თანაც ყველა, ვისაც რიტმის შეგრძება გაქვთ, იმასაც ადვილად დაიჭროთ, თუ როგორი შეწყობილი რიტმიული მონახაზით ხმაურობს ეს ათივე ქალაქი ათი მეტრონომის მეშვეობით.

თბილისი ამ ქალაქების რიცხვში სამწუხაროდ არაა. ყველა ზემოთ ხსენებულ კვლევას გვლობისხმობ, მაგრამ ფაქტია, რომ, ისე-ვე როგორც ნებისმიერ სხვა ქალაქს, მასაც თავისი საკუთარი და განუმეორებელი ტემპი, რიტმი და ბეგრა ექნება. ყველაზე უფრო ეს უკანასკნელი მანგტერესებს. დღევანდელობიდან გამომდინარე, რამდენადაც ვხვდები, მეტრონომის ქანქარა ნაგიურივით უნდა დახტოდეს აქეთ-იქით. ■





www.ucnobifm.ge

თუ გამოგრჩა რომელიმე სიუჟეტი ან გადაცემა,
ეწვია “მეცხრე პრეზი” YouTube-ს.

tv9.ge/youtube



ეცალე ღამის მეტი

აქ იხილავ ყველა საინფორმაციო გამოშვების და გადაცემის არქივს. კონკრეტული ვიდეო ფაილის მოსახებინად გამოიყენე ძიების ველი, ან გადადი Playlist-ების გვერდზე, სადაც მასალა გადაცემების და თარიღების მიხედვით არის დალაგებული.